ბ.ჯიჯელავა

ნისლის წარმოშობის მექანიზმები და პროგნოზირების მეთოდები

მესტიის აეროპორტის კლიმატოლოგია



Mestia

2023 წელი

ავტორი

შპს საქაერონავიგაციის მეტეოროლოგიური სამსახურის უფროსი,

ფიზიკის აკადემიური დოქტორი

ბადრი ჯიჯელავა

ნისლის წარმოშობის მექანიზმები და პროგნოზირების მეთოდები

(თბილისის, ბაქოს და განჯის საერთაშორისო აეროპორტებში ნისლიანი ამინდების ფაქტიურ შემთხვევათა ანალიზი)

მესტიის აეროპორტის კლიმატოლოგია

(კლიმატოლოგიური ნაწილი დაფუძნებულია თამარ მეფის სახელობის მესტიის აეროპორტის სააეროდრომო რეგულარულ შეტყობინებებზე - METAR-ებზე)

თბილისი 2023

გამოცემის ხელმძღვანელი

შპს საქაერონავიგაციის გენერალური დირექტორი

გოჩა მეზვრიშვილი

სარედაქციო საბჭო

შპს საქაერონავიგაციის მეტეოროლოგიური სამსახურის პროგნოზირების განყოფილების სინოპტიკოსი

ლიკა ნანობაშვილი

გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის უფროსი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი WMO-ში

რამაზ ჭითანავა

გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი

თამარ პაპაშვილი

შპს საქაერონავიგაციის მეტეოროლოგიური სამსახურის პროგნოზირების განყოფილების უფროსი

ნოდარ აფრიამაშვილი

დაკაბადონება

შპს საქაერონავიგაციის მეტეოროლოგიური სამსახურის უფროსი, ფიზიკის აკადემიური დოქტორი

ბადრი ჯიჯელავა

შპს საქაერონავიგაციის მეტეოროლოგიური სამსახურის პროგნოზირების განყოფილების სინოპტიკოსი

გიორგი გეწაძე

გრაფიკული დიზაინი

შპს საქაერონავიგაციის მეტეოროლოგიური სამსახურის უფროსი, ფიზიკის აკადემიური დოქტორი

ბადრი ჯიჯელავა

შინაარსი

საავიაციო მეტეოროლოგიური ტერმინოლოგია და წიგნში გამოყენებული შემოკლებები 4

წინასიტყვაობა 7

შესავალი 8

ნისლების ჩამოყალიბების მექანიზმები. 10

რადიაციული და ადვექციური ნისლის ზოგადი თვისებები 17

რადიაციული ნისლი (ადვექციური ფაქტორის გათვალისწინებით) 18

სინოპტიკური რუკების ანალიზი 26

რადიომეტრის (მეტეოროლოგიური თანამგზავრის) მუშაობის ზოგადი პრინციპები და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნისლის იდენტიფიცირება. 36

ნისლების პროგნოზირება UPS მეთოდის (ტექნიკის) გამოყენებით 56

რადიაციული ნისლის ფაქტობრივ შემთხვევათა ანალიზი UPS მეთოდის გამოყენებით. 68

აბსოლუტური ტოპოგრაფიის AT - 500 მბ რუკების მნიშვნელობა რადიაციული ნისლის პროგნოზირებისას 73

ნისლის პროგნოზირების კლიმატოლოგიური ფაქტორი 74

ადვექციური ნისლი 77

ადვექციური ნისლის დროს სინოპტიკური სიტუაციის ანალიზი ფაქტიური მიწისპირა ანალიზის რუკებზე დაყრდნობით. 81

ადვექციური ნისლის დროს სინოპტიკური სიტუაციის ანალიზი ფაქტიურ სინოპტიკურ რუკებზე დაყრდნობით. 93

ადვექციური ნისლის დროს სინოპტიკური სიტუაციის ანალიზი რადიომეტრულ (თანამგზავრულ) ინფორმაციაზე დაყრდნობით 99

ნისლის პროგნოზირების ოროგრაფიული თავისებურება 104

ნისლის პროგნოზირების კლიმატოლოგიური ფაქტორი 106

რადიაციული და ადვექციური ნისლის თვისებები 109

გამოყენებული ლიტერატურა 113

საავიაციო მეტეოროლოგიური ტერმინოლოგია და წიგნში გამოყენებული შემოკლებები

ბურუსი (MIST/BR) - შეზღუდული ხილვადობა 1000 მეტრიდან 5000 მეტრამდე მნიშვნელობით, ხილვადობის შემზღუდავ ფაქტორს წარმოადგენს აეროზოლებზე კონდენსირებული წყალი.

მკმ (μm) - მიკრომეტრი. სიგრძის საზომი ერთეული.

მბ - მილიბარი (წნევის საზომი ერთეული,)

ნისლი (FOG/FG) - შეზღუდული ხილვადობა 1000 მეტრამდე მნიშვნელობით, ხილვადობის შემზღუდავ ფაქტორს წარმოადგენს აეროზოლებზე კონდენსირებული წყალი.

ნამის წერტილის დეპრესია- ჰაერის ტემპერატურისა და ნამის წერტილის ტემპერატურის სხვაობით მიღებულ მნიშვნელობა (T_a-T_d).

სედიმენტაცია (subsidence) - მეტეოროლოგიური სედიმენტაცია გულისხმობს ზედა ატმოსფერული ფენების დაღმავალი დინებების შედეგად ქვედა ატმოსფერულ ფენაზე დაწოლას, ძირითადად დეფინიცია (ნისლის დროს) - სედიმენტაცია (subsidence) გამოიყენება ინვერსიული ფენის ჩამოყალიბების დროს, როცა თბილი ჰაერის მასა მოექცევა ცივი ჰაერის მასებს შორის, იგი ზედა (ცივი) ატმოსფერული ფენის შედეგად განიცდის დაწოლას და/ან ატმოსფერული სედიმენტაცია დაიკვირვება ანტიციკლონური ბარიული ველის დროს შექმნილი დაღმავალი დინებების დროს.

გაჯერების დეფიციტი (ტენიანობის ინდექსი) - ატმოსფეროს გარკვეულ მოცულობაში, გაჯერებულ წყლის ორთქლის წნევასა (E_w) და ფაქტიური წყლის ორთქლის წნევას (E) შორის სხვაობა (Ew-E).

სადაც,

Ew - გაჯერებულ ატმოსფეროში არსებული წყლის ორთქლის წნევაა

E - ფაქტიურ ატმოსფეროში არსებული წყლის ორთქლის წნევაა.

ჯანღი (HAZE/HZ) - შეზღუდული ხილვადობა 1000 მეტრიდან 5000 მეტრამდე მნიშვნელობით, ხილვადობის შემზღუდავ ძირითად ფაქტორს წარმოადგენენ აეროზოლები.

ADV - ადვექციური ნისლი.

AT 850 – 850 მბ აბსოლუტური ტოპოგრაფიის რუკა.

AT 500 – 500 მბ აბსოლუტური ტოპოგრაფიის რუკა.

BKN - მნიშვნელოვანი ღრუბელი. ცის თაღზე 5/8 ან 6/8 ან 7/8 ნაწილი დაფარულია ღრუბლით.

BR - ბურუსი.

CAVOK (cloud and visibility OK) – როდესაც დაკვირვების დროს ერთდროულად ადგილი აქვს შემდეგ მეტეოროლოგიურ პირობებს:

ა) ხილვადობა 10 კმ-ია და მეტი;

ბ) ფრენებისათვის მნიშვნელოვანი ღრუბლის არარსებობის შემთხვევაში - თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის ღრუბლის ფუძის სიმაღლე უნდა შეადგენდეს 7100 ფუტზე მეტს, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტისთვის - 11300 ფუტზე მეტს, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტისთვის - 15 600 ფუტზე მეტს, მესტიის ადგილობრივი აეროპორტისთვის სრულად მოწმენდილი ცას ანუ მხოლოდ SKC (Sky Clear) შემთხვევას.[1]

გ) ავიაციისთვის მნიშვნელოვანი ამინდის მოვლენების არარსებობა.

CBL - ფენა ღრუბლის დაწევით ჩამოყალიბებული ნისლი.

DZ - ჟინჟღლი.

EVP - დილას, აორთქლების შედეგად ჩამოყალიბებული ნისლი.

FEW - უმნიშვნელო ღრუბელი. ცის თაღზე 1/8 ან 2/8 ნაწილი დაფარულია ღრუბლით.

FOG - ნისლი.

FZFG - გადაციებული ნისლი.

HZ - ჯანღი.

IR - ელექტრომაგნიტური გამოსხივების ინფრაწითელი დიაპაზონი.

IR Near – ახლო ინფრაწითელი დიაპაზონი.

IR Short – მოკლე ინფრაწითელი დიაპაზონი.

IR Midd - საშუალო ინფრაწითელი დიაპაზონი.

IR Long – გრძელი ინფრაწითელი დიაპაზონი.

IR Far - შორი ინფრაწითელი დიაპაზონი.

METAR - სააეროდრომო რეგულარული შეტყობინებები (ფაქტიური ამინდები).

MIFG –VCFG - ნისლი რომლის ვერტიკალური განვითარება 2 მეტრამდეა (MIFG) - ნისლი აეროპორტის შემოგარენში - 8-16 კმ რადიუსში (VCFG).

OVC - ღრუბლით სრულად დაფარული. ცის თაღზე 8/8 ნაწილი დაფარულია ღრუბლით.

PCP - ნისლი ნალექების შემდგომ.

RAD - რადიაციული ნისლი.

RA - წვიმა.

PBL (Planetary Boundary Layer) - ზოგადად ითვლება, რომ იგი შეადგენს მიწის პირიდან 1500-2000 მეტრს.

SCT - გაფანტული ღრუბელი. ცის თაღზე 3/8 ან 4/8 ნაწილი დაფარულია ღრუბლით.

Startus (St) – ფენა ღრუბელი.

SN - თოვლი.

---

[1] CAVOK-ის აღნიშნული მეტეოროლოგიური კრიტერიუმები, კონკრეტულად ფრენებისთვის მნიშვნელოვანი ღრუბლის ფუძის მინიმალური სიმაღლე უახლოეს მომავალში (2023 წლის მაისი-ივნისის თვიდან) მცირედი მნიშვნელობით შეიცვლება.

Ta – ჰაერის ტემპერატურა (Ambient Temperature).

Txover - გარდამავალი ტემპერატურა (Crossover Temperature).

TS - ელ-ჭექები.

UTC - უნივერსალური კოორდინირებული დრო.

WV (Water Vapor) - რადიომეტრის WV არხი.

წინასიტყვაობა

მადლობა მინდა გადავუხადო საგანმანათლებლო ვებ პორტალს - https://www.meted.ucar.edu/, იმ ულევი მოდულებისთვის, რომელიც წარმოდგენილი აქვს ციფრულ სივრცეში. წიგნში გამოყენებული ზოგიერთი გრაფიკული ინფორმაცია ამოღებულ და შემდგომ მოდიფიცირებულ იქნა ამ ვებ-პორტალიდან. მადლობა მინდა გადავუხადო https://view.eumetsat.int/ ვებ პორტალს საიდანაც მოხდა თანამგზავრული სურათების ამოღება და შემდგომ ჩემს მიერ მოდიფიცირება. მადლობა მინდა გადავუხადო https://ogimet.com/ ვებ პორტალს სადაც მოძიებულ იქნა თბილისის, განჯის და ბაქოს საერთაშორისო აეროპორტებში გამოცემული სააეროდრომო რეგულარული შეტყობინებები (METAR), რომელიც წიგნში გამოყენებულ მაქვს მიწისპირა სინოპტიკური სიტუაციის ანალიზის ჩასატარებლად. წიგნში არსებული აბსოლუტური ტოპოგრაფიის, მიწისპირა სინოპტიკური ანალიზის რუკები ამოღებულ იქნა გლობალური სატელეკომუნიკაციო სისტემის (GTS) არხის მეშვეობით, რომელიც გვაწვდის რადიოზონდირების და სხვა მეტეოროლოგიური საშუალებებზე დაყრდნობით ფაქტობრივი სინოპტიკური ხასიათის სიტუაციურ ინფორმაციას, როგორც მიწისპირზე, ასევე გარკვეულ ბარიულ სიმაღლეებზე.

მადლობა მინდა გადავუხადო სარედაქციო საბჭოს ყველა წევრს წიგნის გამოცემისას გამოთქმული მოსაზრებებისა და შენიშვნებისთვის.

შესავალი

საფრენოსნო ხომალდების ფრენების უსაფრთხოების საკითხში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მეტეოროლოგიური საკითხი წარმოადგენს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საავიაციო შემთხვევათა საშუალოდ 30% ფრენების მეტეოროლოგიური პირობების გამო ხდება. ფრენებისთვის საშიშ ამინდის მოვლენებს წარმოადგენს ტურბულენტობა, ქარის წანაცვლება, ელ-ჭექი, მიკრო და მაკრო ამოფრქვევები, ქარიშხლები, ნისლები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ნახსენები საავიაციო შემთხვევათა 30%-დან, დაახლოებით ნახევარი (50%) დაკავშირებულია ისეთ ამინდის მოვლენასთან, როგორიცაა აეროპორტებში არსებულ შეზღუდული ხილვადობის პირობები ანუ ნისლი, როცა ხილვადობა შეადგენს 1000 მეტრზე ნაკლებს და შესაძლებელია დაეცეს ნულოვან მნიშვნელობამდეც კი. სწორედ ამიტომ მიზნად დავისახე შემესწავლა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნისლიანი პერიოდები და ნისლიანი ამინდების გამომწვევი მიზეზები[2].

საერთაშორისო რეგულარული (ფაქტიური ამინდების) შეტყობინებების (METAR) საარქივო მასალიდან შევარჩიე როგორც რადიაციული, ასევე ადვექციური ნისლის შემთხვევები, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში.

ყურადსაღებია, რომ წიგნში გამოყენებული საერთაშორისო რეგულარულ შეტყობინებებში - METAR-ებში ტემპერატურისა და ნამის წერტილის დამრგვალება ხდება შემდეგი პრინციპით:

1. +1.5 +1.6 ..... +1.9 Metar-ში აისახება როგორც +2^{0}C
2. +1.1 +1.2 ..... +1.4 Metar-ში აისახება როგორც +1^{0}C
3. -1.5 -1.4 ..... -1.1 Metar-ში აისახება როგორც -1^{0}C
4. -1.6 -1.7 ..... -1.9 Metar-ში აისახება როგორც -2^{0}C

ტემპერატურის -0,5^{0}C-ზე მეტი და 0^{0}C-ზე ნაკლები მნიშვნელობის შემთხვევაში METAR-ში აისახება როგოც M00 ანუ -0^{0}C-ი. ტემპერატურის 0^{0}C-ზე

[2] სტატისტიკური მონაცემები ამოღებულია აშშ-ის სტატისტიკის დეპარტამენტის არქივიდან, რომელიც გვაწვდის მრავალწლიანი დაკვირვების გასაშუალოებულ მონაცემებს.

მეტი და 0,4^{0}C -ზე ნაკლები მნიშვნელობის შემთხვევაში METAR-ში აისახება როგოც 0^{0}C-ი.

წიგნში განხილული სინოპტიკური ხასიათის ანალიზი დაფუძნებულია ფაქტობრივ შემთხვევათა ანალიზის (Case Study) პრინციპზე, რომელიც მოიცავს თბილისის, განჯის და ბაქოს საერთაშორისო აეროპორტებში გამოცემული სააეროდრომო ფაქტიურ ამინდებზე (METAR-ებზე) საათობრივ (UTC დრო) დაკვირვებას. სინოპტიკური სიტუაციური ანალიზი გამყარებულია თანამგზავრული სურათებით და აბსოლუტური/ფარდობითი ტოპოგრაფიის და მიწისპირა ანალიტიკური რუკების მოკლე ანალიზით. წიგნში ასევე შესწავლილი და განხილულია ამერიკის და ევროპის ქვეყნებში, ნისლების და წინარე ნისლების პერიოდების ანალიზის საფუძველზე თანამედროვე პროგნოზირების მეთოდები.

წიგნი ძირითადად გამიზნულია საავიაციო სფეროში დასაქმებული მეტეოროლოგებისთვის და სინოპტიკოსებისთვის. ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მეტეოროლოგიის (არასაავიაციო) სფეროში დასაქმებული სხვა სპეციფიკური მიმართულების მქონე სპეციალისტების მიერ.

თავისი შინაარსით (თეორიული და პრაქტიკული ნაწილში არსებული საკითხების განხილვით) იგი შესაძლებელია გამოყენებულ იქნა სახელმძღვანელო წიგნის სახითაც. ზოგადად ფაქტობრივ შემთხვევათა ანალიზზე (Case Study) დაფუძნებული სწავლებები დიდ პოპულარობით სარგებლობს მთელს მსოფლიოში და თანამედროვე ტრენინგების წამყვან მიმართულებას წარმოადგენს.

ნისლების ჩამოყალიბების მექანიზმები.

ნისლების ჩამოყალიბების მიხედვით, ძირითადად ორის ტიპის ნისლებს განასხვავებენ. ესენია ადვექციური და რადიაციული ნისლი. სააეროდრომო სივრცეში ნისლების პროგნოზირებისას სინოპტიკოსმა აუცილებელია განსაზღვროს რომელი ტიპის ნისლი იქნება პირველადი და რომელი დომინანტური - რადიაციული პროცესებით გამოწვეული, თუ გარკვეული ჰაერის მასის ადვექციური გადაადგილებით წარმოქმნილი ნისლი.

ზოგადად რადიაციული ნისლის ადვექციურისგან თვისობრივი განსხვავებაა გავრცელების მცირე მასშტაბი, არაერთგვაროვნება და ნისლის თხელი ფენა;

პროცესუალურად ნებისმიერი სახის ნისლის ან/და ფენა (stratus) ღრუბლის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია, რომ ნამის წერტილისა და ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელობები ერთმანეთს გაუტოლდეს. აღნიშნული პროცესის მიღწევა შესაძლებელია მოხდეს ორი გზით.

1. მიწისპირა ფენაში (ნისლის მაქსიმალური ვერტიკალური განვითარება შეადგენს 500-600 ფუტს) ჰაერის ტემპერატურის შემცირებით ან/და ტენიანობის გაზრდით;
2. ინვერსიული ატმოსფერული შრის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს მიწისპირა ფენაში ტენიანობის შეკავებას.

თუ ნისლის დროს (ან წინარე ნისლის პერიოდში) არ ჩამოყალიბდა მყარი ინვერსიული შემაკავებელი ატმოსფეროს ფენა, მაშინ ადგილი ექნება ატმოსფეროს ზედა ფენიდან, შედარებით მშრალი ჰაერის მასის აღრევას რადიაციული გადაციების შედეგად წარმოქმნილ ტენიან მიწისპირა ფენაში, რაც გამოიწვევს არსებული ფენა (Stratus) ტიპის ღრუბლების ან/და ნისლების გაფანტვას.

ზემოთ განხილული ორი მარტივი პროცესით შესაძლებელია მოხდეს ატმოსფეროს მიწისპირა ჰაერის ფენის გაჯერება, რაც შემდგომ უზრუნველყოფს ნისლის ან/და დაბალი სიმაღლის ფენა ღრუბლის წარმოქნას.

განვიხილოთ ექვსი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მოვლენა, რომელიც ნისლის ან/და დაბალი იარუსის ფენა ღრუბლის წარმოქმნის წინაპირობა შეიძლება იყოს.

1. **რადიაციული გადაცივება.**
   დედამიწა მზის „პირდაპირ“ (რომელიც მოიცავს ულტრაიისფერ, ხილულ და ინფრაწითელ დიაპაზონს) და „ირიბ რადიაციას“ (ღრუბლის მიერ შთანთქმულ და შემდგომ გამოსხივებულ რადიაციას) გარდაქმნის სითბურ ენერგიად და თავისთავად ასხივებს ელექტრო მაგნიტური გამოსხივების ინფრა-წითელი დიაპაზონის გრძელი ტალღების სახით. რაც უფრო მაღალი ტემპერატურა გააჩნია გამომსხივებელ სხეულს, მით უფრო მოკლე ტალღებს, მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტურ რადიაციას ასხივებს და პირიქით რაც უფრო ნაკლები ტემპერატურა გააჩნია უფრო გრძელ IR დიაპაზონის ტალღებს ასხივებს. დედამიწის მიერ ინფრა-წითელი დიაპაზონის მაქსიმალური ინტენსივობა გამოსხივდება დაახლოებით 10 μm (მკმ) სპექტრის დიაპაზონში (იხ. სურათი #1).

სურათი #1 - მზის და დედმიწის მიერ გამოსხივებული/შთანთქმული ელექტრომაგნიტური გამოსხივება ულტრაიისფერ, ხილულ და ინფრაწითელ დიაპაზონში.



რადიაციული ნისლი ძირითადად ყალიბდება საღამოს ან/და გამთენიისას დილის საათებში. რადიაციული ნისლის ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობაა, რომ პირველი - მიწისპირა ატმოსფერო იყოს გარკვეულწილად

ტენიანი და მეორე - ცა მოწმენდილი, ანუ დედამიწის ინფრაწითელი დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივებისთვის ატმოსფერო იყოს გამჭვირვალე, რათა დედამიწამ დაკარგოს სითბო, გაცივდეს და სითბოცვლის შედეგად უზრუნველყოს ტროპოსფეროს მიწისპირა ფენის (PBL – Planetary boundary layer) გადაცივება, რაც გამოიწვევს ფარდობითი ტენიანობის გაზრდას, ატმოსფეროში არსებულ აეროზოლებზე წყლის ორთქლის კონდენსაციას და ნისლის წარმოქმნას. თუ ცა მოწმენდილი არ არის ზემოთხსენებული ინფრაწითელი დიაპაზონის რადიაცია ძირითადად შთაინთქმება ღრუბლების მიერ. წყლის ორთქლი - H2O და ნახშირორჟანგი- CO2 წარმოადგენენ ინფრაწითელი რადიაციის ძირითად მშთანთქმელ იზოტოპებს. შთანთქმის შედეგად ადგილი აქვს ატომის „აღგზნებას“. ფიზიკის ჭრილიდან ამ დროს ელექტრონი გადაადგილდება ატომბირთვიდან უფრო დაშორებულ „მაღალ“ ორბიტალურ შრეზე, ხოლო გამოსხივებისას - ატომი პირვანდელ სტაბილურ მდგომარეობაში ბრუნდება. ამ დროს იგი ისევ ასხივებს იგივე IR დიაპაზონის რადიაციას და დედამიწას ისევ უბრუნდება სითბური ენერგია (შედარებით ნაკლები ინტენსივობის, ვიდრე გამოასხივა).

ზემოთ აღწერილი პრინციპიდან გამომდინარე რადიაციული ნისლის ვერტიკალური გავრცელება (ვერტიკალური სისქე) ძალიან პატარაა და ზოგადად არ აღემატება ტროპოსფეროს მიწისპირა ფენას (200-300 ფუტი).

სურათი #2 რადიაციული ნისლი

2. მე-3 სურათზე მოცემულია ზღვისპირა რეგიონში ადვექციური ნისლის ჩამოყალიბების წინაპირობის ამსახველი სიტუაცია, როცა ტენიანი ჰაერის მასა გადაადგილდება თბილი ხმელეთიდან შედარებით ცივ, წყლისპირა ზედაპირზე. ხმელეთზე ჰაერის მასის მოძრაობისას, დედამიწის მხრიდან ინფრაწითელი დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების შედეგად მოძრავი ჰაერის მასა თბება, ხოლო ცივ წყლისპირა ზედაპირზე გადაადგილებისას ჰაერის მასის ტემპერატურა ეცემა, შესაბამისად იზრდება ფარდობითი ტენიანობა და როცა ჰაერის მასის ტემპერატურა გაუტოლდება ნამის წერტილს ჩამოყალიბდება ადვექციური ტიპის ნისლი.

სურათი #3 ადვექციური ნისლი წარმოქმნა თბილი ჰაერის მასის გაცივების შედეგად.

3. მე-4 სურათზე ნაჩვენებია ადვექციური ნისლის წარმოქმნა, როცა ცივი კონტინენტური ჰაერის მასა გადაადგილდება თბილი წყლის ზედაპირზე. ამ დროს აორთქლებული წყალი პირდაპირ აღწევს ცივი ჰაერის მასაში, რაც იწვევს ცივი ჰაერის მასის ტენიანობის ზრდას, შემდგომ მის გაჯერებას და ადვექციური ნისლის ჩამოყალიბებას.

სურათი #4 ადვექციური ნისლი წარმოქმნა ცივი ჰაერის მასაში აბსოლუტური ტენიანობის ზრდის ხარჯზე.

4. მე-5 სურათზე ნაჩვენებია ადვექციური ნისლის ჩამოყალიბება ზღვის ბრიზის ცირკულაციური პროცესის შედეგად. ბრიზები ზოგადად ყალიბდება კონტინენტური და ზღვაური ჰაერის მასების ტემპერატურული გრადიენტის გამო. როცა ზღვაური ჰაერის მასა მეტად ცივია, შესაბამისად უფრო მაღალი წნევის მქონეა, ვიდრე კონტინენტური და ამ დროს იწყება ზღვის ჰაერის მასის გადაადგილება მიწის მიმართულებით. ბრიზული ადვექციური ნისლის ჩამოყალიბება, იწყება იმ დაშვებით, რომ წყლის ზედაპირის ზემოთ არსებულ ჰაერის მასაში აბსოლუტური ტენიანობის გაზრდით ჩამოყალიბდა ნისლი. წყლის (ტბების, ზღვების) ზედაპირის ზემოთ განვითარებული ნისლი ბრიზის ფენომენის შედეგად გადაადგილდება ხმელეთისკენ, უფრო თბილი ზედაპირისკენ, შესაბამისად დაბალწნევიანი ჰაერის მასისკენ და ამ დროს ადგილი აქვს ნისლის ადვექციას.

სურათი #5 ზღვის ბრიზის შედეგად გამოწვეული ნისლი

5. ადვექციური ნისლის ჩამოყალიბების შემდგომი მექანიზმი ცნობილია, მთა-ხეობების ნისლების სახელით. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ტენიანი ჰაერის მასა განიცდის იძულებით ადიაბატურ აღმასვლას ხეობებიდან მთის მწვერვალებისკენ, ამ დროს ადგილი აქვს აღმავალი ჰაერის მასების გადაციებას, რაც იწვევს ფარდობითი ტენიანობის ზრდის ხარჯზე, ჰაერის მასის გაჯერებას, ხოლო ჰაერის შემდგომი აღმასვლა (გადაციება) კონდენსაციის ბირთვაკებზე (აეროზოლებზე) წყლის ორთქლის კონდენსაციას, ანუ ფენა (Stratus) ღრუბლების და ნისლების ჩამოყალიბებას იწვევს. მთა ხეობის ნისლების ჩამოყალიბება ხშირად ხდება სხვა ნისლის ჩამოყალიბების მექანიზმის პარალელურად, რაც ერთგვარად მთიან რეგიონებში აჩქარებს ნისლის ჩამოყალიბების პროცესს.

სურათი #6 მთა-ხეობის ნისლი



6. ნისლის ჩამოყალიბების მეექვსე მექანიზმი გულისხმობს მშრალ მიწისპირა ჰაერის მასაში ნალექების (წვიმის სახით) მოსვლას. რის შემდგომაც ადგილი აქვს ნალექების აორთქლებას, ანუ ამ დროს ჰაერის მასაში არსებული სითბოს რაოდენობა ხმარდება წყლის აორთქლებას, რაც იწვევს ჰაერის მასის გადაციებას და პარალელურად ადგილი აქვს როგორც აბსოლუტური

(მიწისპირა ჰაერის მასაში ტენის შესვლით), ასევე ფარდობითი ტენიანობის ზრდას (გადაციების შედეგად). ეს მექანიზმი იწვევს ნისლის ჩამოყალიბებას.

სურათი #7 წალექების შედეგად ნისლის ფორმირება



ჩვენ ჩამოვთალეთ ის ძირითადი მექანიზმები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ავიაციისთვის საშიში ამინდის მოვლენის, ხილვადობის შემზღუდავი ნისლების ან/და მიწისპირა ფენაში „ფენა“ (Stratus) ტიპის ღრუბლების ჩამოყალიბება. გასათვალისწინებელია, რომ აღწერილი მექანიზმებიდან კონკრეტულ დროის პერიოდში შესაძლებელია ნისლის წარმოქმნისას რამდენიმე მექანიზმი ერთდროულად მუშაობდეს.

კლიმატოლოგიური მონაცემების და დაკვირვებების საფუძველზე ნისლები ხშირად წარმოიშობა თბილი ფრონტის წინ და ცივი ფრონტის ზურგში მდგარ ჰაერის მასებში, მაგრამ ზემოთ აღწერილი ნისლების წარმოშობის მექანიზმები ყველასთვის საერთოა.

რადიაციული და ადვექციური ნისლის ზოგადი თვისებები

ნისლების პროგნოზირებისას აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ შემდეგი საკითხებზე:

1. ზოგადად ნათელი წარმოდგენა გვქონდეს ადვექციური და რადიაციული ნისლების თვისებებზე, კარგად ვიცოდეთ მიწისპირა ფენაში არსებული ადგილობრივი კლიმატოლოგიური და ოროგრაფიული ფაქტორები, რომლებიც წარმოადგენენ ადვექციური და რადიაციული ნისლების ხელისშემწყობ და ხელისშემშლელ ფაქტორებს.
2. აუცილებელია ნათელი წარმოდგენა გვქონდეს ადვექციურ და რადიაციულ ნისლებს შორის განსხვავებაზე.
3. ვიცოდეთ კონკრეტულ შემთხვევაში ნისლის ჩამოყალიბებაში რომელი პროცესია პირველადი და რომელი დომინანტური (რადიაციული თუ ადვექციური ფაქტორი).

რადიაციულ და ადვექციურ ნისლებს შორის ძირითადი განმასხვავებელი თვისებაა მათი ხანგძლივობა (დაკვირვების დრო). რადიაციული ნისლი ხასიათდება არსებობის მცირე პერიოდით, იგი დაიკვირვება ძირითადად ღამე ან დილის საათებში (როცა ადგილი აქვს მიწისპირა ატმოსფეროს ფენაში ტემპერატურის დაცემას და ნამის წერტილთან გათანაბრებას) და შუადღისთვის, უმეტეს შემთხვევებში რადიაციული ნისლი იფანტება. ადვექციური ნისლი ხასიათდება არსებობის დიდი პერიოდით 24 საათი და შესაძლებელია მეტი პერიოდითაც დაიკვირვებოდეს (არსებული დაყოვნების პერიოდი დამოკიდებულია ადგილობრივ კლიმატოლოგიაზე, მაგ. კალიფორნიის „Central Valley"-ზე, რომელიც წარმოადგენს მთებს შორის მოთავსებულ სანაპიროსთან ახლოს მდებარე დაბლობს, ოროგრაფიული თავისებურებების გამო დაიკვირვება საკმაოდ მკვრივი რადიაციული ნისლი, რომელიც რამდენიმე დღეც კი გრძელდება[3]).

[3] https://www.meted.ucar.edu/ - სასწავლო პროგრამის მასალის კლიმატოლოგიური მონაცემები.

შესწავლის და ანალიზის მიზნით განვიხილოთ თბილისის, ბაქოს და განჯას საერთაშორისო აეროპორტში დაკვირვებული რადიაციული და ადვექციური ნისლის პერიოდებში, ნახევარსაათიანი პერიოდის ფაქტიური ამინდები, საავიაციო რეგულარული შეტყობინებების - METAR-ების სახით.

რადიაციული ნისლი (ადვექციური ფაქტორის გათვალისწინებით)

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის ამინდი (METAR) - UGTB.

2021 წლის 12 თებერვალი:

1. 202102120100 METAR UGTB 120100Z VRB02KT CAVOK 05/M01 Q1018 NOSIG=
2. 202102120130 METAR UGTB 120130Z 14004KT 7000 0300NW SCT003 02/01 Q1018 TEMPO 0500 FG=
3. 202102120200 METAR UGTB 120200Z 03003KT 0200 0150NW R31/0250N FG VV002 03/03 Q1018 =
4. 202102120230 METAR UGTB 120230Z 05004KT 0200 R31/0225N FG VV001 03/03 Q1018 =
5. 202102120300 METAR UGTB 120300Z 05003KT 0200 R31/0250N -DZ FG VV001 03/03 Q1018 =
6. 202102120330 METAR UGTB 120330Z 05003KT 0250 R31/0275N -DZ FG VV001 03/03 Q1018 =
7. 202102120400 METAR UGTB 120400Z 04003KT 350V090 0250 R31/0300N FG VV001 04/03 Q1018 R31L/19//60 BECMG 0500=
8. 202102120430 METAR UGTB 120430Z 07003KT 030V100 0300 0250NW R31/0375 FG VV002 04/03 Q1018 R31L/19//60 BECMG 0500=
9. 202102120500 METAR UGTB 120500Z 05003KT 0300 R31/0400N FG VV002 03/03 Q1018 R31L/19//60 BECMG 0500=
10. 202102120530 METAR UGTB 120530Z VRB01KT 0250 R31/0300 FG VV002 04/03 Q1017 R31L/19//60 BECMG 0500=
11. 202102120600 METAR UGTB 120600Z 18003KT 120V240 0350 R31/0350V0600N FG VV002 04/04 Q1017 BECMG 1000 BR=
12. 202102120630 METAR UGTB 120630Z VRB02KT 0400 0350NW R31/0450N FG FEW001 OVC004 04/04 Q1017 R31L/19//60 BECMG 1000 BR=

13. 202102120700 METAR UGTB 120700Z 08003KT 030V150 2000 BR BKN002 OVC005 04/04 Q1016 R31L/19//60 BECMG 3500=
14. 202102120730 METAR UGTB 120730Z VRB02KT 4200 BR BKN003 05/05 Q1016 R13R/19//60 BECMG 7000=
15. 202102120800 METAR UGTB 120800Z VRB02KT 8000 FEW005 07/05 Q1016 R13R/19//60 NOSIG=
16. 202102120830 METAR UGTB 120830Z 19003KT 140V260 9000 NSC 08/04 Q1015 NOSIG=
17. 202102120900 METAR UGTB 120900Z 00000KT CAVOK 12/04 Q1015 NOSIG=

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის სიმაღლე საშუალო ზღვის დონიდან შეადგენს 1578 ფუტს/480 მეტრს. როგორც თბილისის საერთაშორისო აეროპორტის 2021 წლის 12 თებერვლის სააეროდრომო რეგულარული შეტყობინებებიდან ჩანს, აეროდრომზე ნისლი დაიკვირვებოდა 2021 წლის 12 თებერვალს, უნივერსალური კოორდინირებული დროით დილის 01:30UTC-დან 06:30 UTC საათამდე (უნივერსალური კოორდინირებული დრო - UTC, ადგილობრივი დროის გასაგებად ვუმატებთ 4 საათს). ნამის წერტილის დეპრესია შეადგენდა 0^0 C-ს. როგორც სააეროდრომო რეგულარული შეტყობინებებიდან ჩანს, 01:30 UTC-ზე უპირატესი ხილვადობა შეადგენდა 7000 მეტრს, ხოლო მინიმალური ხილვადობა, რომელიც დაიკვირვება ჩრდილო დასავლეთის მიმართულებით - 300 მეტრს. შემდგომ პერიოდებში უპირატესი ხილვადობა ეცემა და შეადგენს 200 მეტრს. 07:00 UTC საათზე ნისლი უკვე გაფანტულია და დაიკვირვება მხოლოდ ბურუსი - ჰორიზონტალური ხილვადობით 2000 მეტრი. ნისლიანი ამინდის სრული დაკვირვების პერიოდი შეადგენდა 5 საათს. არსებული დროითი კრიტერიუმები ცალსახად მოუთითებს რადიაციული ნისლის ტიპზე. დაკვირვების ამ პერიოდში დომინანტურ ქარს წარმოადგენს სუსტი სიძლიერის აღმოსავლეთის (სამხრეთ-აღმოსავლეთის, ჩრდილო აღმოსავლეთის) მიმართულების ქარი.[4] ჰაერის ტემპერატურა ეცემა 5^0C-დან 2^0C-მდე, ხოლო ბურუსის გაფანტვისას ჰაერის ტემპერატურამ შეადგინა 7^0C (08:00 UTC).

[4] იგულისხმება ქარის მეტეოროლოგიური მიმართულება - ანუ ქარი უბერავდა აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით.

ბაქოს ჰეიდარ ალიევის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის ამინდი (METAR) UBBB,

2021 წლის 11-12 თებერვალი:

1. 202102111730 METAR UBBB 111730Z 35010KT 9999 BKN005 08/07 Q1018 R88/D NOSIG=
2. 202102111800 METAR UBBB 111800Z 35012KT 9999 BKN007 08/07 Q1018 R88/CLRD// NOSIG=
3. 202102111830 METAR UBBB 111830Z 34008KT 9999 BKN006 07/06 Q1018 R88/CLRD// NOSIG=
4. 202102111900 METAR COR UBBB 111900Z 34008KT 9999 BKN005 07/06 Q1018 R88/CLRD// NOSIG=
5. 202102111930 METAR UBBB 111930Z 34006KT 9999 BKN004 07/07 Q1018 R88/CLRD// NOSIG=
6. 202102112000 METAR UBBB 112000Z 36004KT 9999 BKN004 07/07 Q1018 R88/CLRD// NOSIG=
7. 202102112030 METAR UBBB 112030Z 35004KT 9999 BKN005 07/07 Q1018 R88/CLRD// NOSIG=
8. 202102112100 METAR UBBB 112100Z 27004KT 9999 BKN005 07/06 Q1018 R88/CLRD// NOSIG=
9. 202102112130 METAR UBBB 112130Z VRB02KT 9999 BKN005 07/06 Q1018 R88/CLRD// NOSIG=
10. 202102112200 METAR UBBB 112200Z 27004KT 9999 BKN005 07/06 Q1018 R88/CLRD// NOSIG=
11. 202102112230 METAR UBBB 112230Z VRB02KT 9999 BKN004 07/06 Q1018 R88/CLRD// NOSIG=
12. 202102112300 METAR UBBB 112300Z VRB02KT 9999 BKN004 07/06 Q1018 R88/CLRD// NOSIG=
13. 202102112330 METAR UBBB 112330Z 18004KT 9999 BKN004 07/06 Q1017 R88/CLRD// NOSIG=
14. 202102120000 METAR UBBB 120000Z 18004KT 9999 BKN003 07/06 Q1017 R88/CLRD// NOSIG=
15. 202102120030 METAR UBBB 120030Z 15004KT 5000 BR BKN002 07/06 Q1017 R88/CLRD// NOSIG=
16. 202102120100 METAR UBBB 120100Z 17006KT 5000 BR OVC002 07/06 Q1017 R88/CLRD// NOSIG=
17. 202102120130 METAR UBBB 120130Z 18006KT 5000 BR OVC003 07/06 Q1017 R88/CLRD// NOSIG=

18. 202102120200 METAR UBBB 120200Z 17010KT 5000 BR OVC003 07/06 Q1017 R88/CLRD// NOSIG=
19. 202102120230 METAR UBBB 120230Z 18010KT 5000 BR OVC003 07/06 Q1017 R88/CLRD// NOSIG=
20. 202102120300 METAR UBBB 120300Z 18008KT 4000 BR OVC002 07/07 Q1016 R88/CLRD// NOSIG=
21. 202102120330 METAR UBBB 120330Z 19010KT 3000 BR OVC003 07/07 Q1016 R88/CLRD// NOSIG=
22. 202102120400 METAR UBBB 120400Z 18012KT 2000 BR OVC003 07/06 Q1016 R88/CLRD// NOSIG=
23. 202102120430 METAR UBBB 120430Z 18016KT 2000 BR OVC004 07/07 Q1016 R88/CLRD// NOSIG=
24. 202102120500 METAR UBBB 120500Z 19016KT 3000 BR OVC005 07/06 Q1017 R88/CLRD// NOSIG=
25. 202102120530 METAR UBBB 120530Z 19014KT 4000 BR OVC005 08/07 Q1016 R88/CLRD// NOSIG=
26. 202102120600 METAR UBBB 120600Z 19016KT 4000 BR OVC004 08/07 Q1016 R88/CLRD// NOSIG=
27. 202102120630 METAR UBBB 120630Z 19020KT 8000 OVC005 08/07 Q1016 R88/CLRD// NOSIG=
28. 202102120700 METAR UBBB 120700Z 18018KT 9999 OVC005 08/07 Q1016 R88/CLRD// NOSIG=
29. 202102120730 METAR UBBB 120730Z 19018KT 9999 OVC004 08/07 Q1015 R88/CLRD// NOSIG=
30. 202102120800 METAR UBBB 120800Z 19020KT 8000 OVC004 08/07 Q1015 R88/CLRD// NOSIG=
31. 202102120830 METAR UBBB 120830Z 19018KT 8000 OVC005 09/07 Q1014 R88/CLRD// NOSIG=
32. 202102120900 METAR UBBB 120900Z 19018KT 8000 OVC006 09/07 Q1014 R88/CLRD// NOSIG=
33. 202102120930 METAR UBBB 120930Z 19020KT 9999 OVC007 09/07 Q1013 R88/CLRD// NOSIG=
34. 202102121000 METAR UBBB 121000Z 18020KT 9999 BKN009 09/07 Q1013 R88/CLRD// NOSIG=
35. 202102121030 METAR UBBB 121030Z 18018KT 9999 BKN011 10/07 Q1012 R88/CLRD// NOSIG=
36. 202102121100 METAR UBBB 121100Z 19020KT 9999 BKN012 11/07 Q1012 R88/CLRD// NOSIG=

37. 202102121130 METAR UBBB 121130Z 17018KT 9999 BKN011 10/07 Q1011 R88/CLRD// NOSIG=
38. 202102121200 METAR UBBB 121200Z 18018KT 9999 BKN010 10/07 Q1011 R88/CLRD// NOSIG=
39. 202102121230 METAR UBBB 121230Z 17016KT 9999 BKN010 10/07 Q1011 R88/CLRD// NOSIG=
40. 202102121300 METAR UBBB 121300Z 17018KT 9999 BKN008 09/08 Q1010 R88/CLRD// NOSIG=
41. 202102121330 METAR UBBB 121330Z 17018KT 7000 BKN006 09/08 Q1010 R88/CLRD// NOSIG=
42. 202102121400 METAR UBBB 121400Z 17020KT 7000 BKN005 09/08 Q1010 R88/CLRD// NOSIG=
43. 202102121430 METAR UBBB 121430Z 17020KT 6000 BKN006 09/08 Q1011 R88/CLRD// NOSIG=

ბაქოს ჰეიდარ ალიევის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის სიმაღლე საშუალო ზღვის დონიდან შეადგენს 3მ/10 ფუტს. ბაქოს საერთაშორისო აეროპორტში 2021 წლის 11 თებერვლის 17:30 UTC დროიდან დაწყებული დაიკვირვებოდა დაბალი იარუსის, მიწის პირიდან 500 ფუტ სიმაღლეზე, ფენა (Stratus) ტიპის, მნიშვნელოვანი (BKN) ღრუბელი[5]. ნამის წერილის დეპრესია შეადგენდა ხან 1^0C-ს, ხანაც 0^0C-ს, რაც ფარდობითი ტენიანობის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს, ხოლო ჰაერის ტემპერატურა შეადგენდა 8^0C-ს. ეს ფაქტორი ნისლის ჩამოყალიბების მაღალ ალბათობაზე მიუთითებდა. 12 თებერვლის 01:00 UTC საათზე აეროპორტიდან დაკვირვებადი ცის თაღი ღრუბლით სრულად იფარება, ღრუბლის ფუძის სიმაღლემ (OVC) მიწის პირიდან შეადგინა 200 ფუტი, ნამის წერტილის დეპრესიამ კი 1^0C-ი, ჰაერის ტემპერატურამ შეადგინა 7^0C-ი. 12 თებერვლის 14:30 UTC საათამდე, მიუხედავად დღის განმავლობაში ტემპერატურის 2^0C-ით მატებისა, ნამის წერტილის დეპრესია მაინც დარჩა 1^0C, რაც აბსოლუტური ტენიანობის ზრდაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ბაქოს აეროპორტში მიუხედავად ნამის წერტილის დეპრესიის მცირე მნიშვნელობისა, ნისლი არ ჩამოყალიბებულა და მთელი დღის განმავლობაში დაიკვირვებოდა, სრული და მნიშვნელოვანი დაბალი იარუსის

[5] ღრუბლის ტიპი დაიკვირვება ქვემოთ მოყვანილ თანამგზავრულ ფოტოებზე, ასევე მეტეოროლოგიურ განმარტებებში იხილეთ რას ნიშნავს მნიშვნელოვანი (BKN) ღრუბელი.

ღრუბელი ხან შეზღუდულ ხილვადობასთან - ბურუსთან (BR) ერთად, ხან მის გარეშე.[6] დაკვირვების ამ პერიოდში დომინანტურ ქარს წარმოადგენს სუსტი სიძლიერის აღმოსავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების ქარი.[7]

განჯის საერთაშორისო აეროპორტის ამინდი (METAR) - UBBG
2021 წლის 11-12 თებერვალი:

1. 202102111830 METAR UBBG 111830Z 10012KT 9999 SCT100 08/07 Q1016 R12/CLRD// NOSIG=
2. 202102111900 METAR UBBG 111900Z 09012KT 1500 BR OVC005 08/07 Q1016 R12/CLRD// NOSIG=
3. 202102111930 METAR UBBG 111930Z 10012KT 0550 R12/1300 FG VV002 07/07 Q1017 R12/CLRD// NOSIG=
4. 202102112000 METAR UBBG 112000Z 11008KT 0550 R12/1300 FG VV002 07/07 Q1017 R12/CLRD// NOSIG=
5. 202102112030 METAR UBBG 112030Z 10010KT 0550 R12/1300 FG VV002 07/07 Q1017 R12/CLRD// NOSIG=
6. 202102112100 METAR UBBG 112100Z 11008KT 0550 R12/1300 FG VV002 07/07 Q1017 R12/CLRD// NOSIG=
7. 202102112130 METAR UBBG 112130Z 09006KT 0550 R12/1300 FG VV002 07/07 Q1018 R12/CLRD// NOSIG=
8. 202102112200 METAR UBBG 112200Z 07004KT 030V100 0550 R12/1300 FG VV002 07/07 Q1018 R12/CLRD// NOSIG=
9. 202102112230 METAR UBBG 112230Z VRB02KT 1500 BR OVC005 07/07 Q1018 R12/CLRD// NOSIG=
10. 202102112300 METAR UBBG 112300Z 23004KT 1500 BR OVC005 06/06 Q1018 R12/CLRD// NOSIG=
11. 202102112330 METAR UBBG 112330Z VRB02KT 1500 BR OVC005 06/06 Q1018 R12/CLRD// NOSIG=
12. 202102120000 METAR UBBG 120000Z 23004KT 1500 BR OVC005 07/06 Q1018 R12/CLRD// NOSIG=
13. 202102120030 METAR UBBG 120030Z 25004KT 230V290 1500 BR OVC005 06/06 Q1018 R12/CLRD// NOSIG=

---

[6] ზოგიერთ ფაქტიურ ამინდში მიუხედავად ნამის წერტილის დეფიციტის მცირე მნიშვნელობის, ღრუბლის ფუძის 400 ან 500 ფუტის სიმაღლის, სრული დაფარვის შემთხვევაში ჰორიზონტალური ხილვადობა შეადგენდა 10კმ-ზე მეტს, რაც ფაქტიურ ამინდებში ასახულია „9999“ სახით.
[7] იგულისხმება ქარის მეტეოროლოგიური მიმართულება - ანუ ქარი უბერავდა აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით.

14. 202102120100 METAR UBBG 120100Z 24004KT 1500 BR OVC005 06/06 Q1017 R12/CLRD// NOSIG=
15. 202102120130 METAR UBBG 120130Z 26004KT 230V310 1500 BR OVC005 06/06 Q1017 R12/CLRD// NOSIG=
16. 202102120200 METAR UBBG 120200Z 29004KT 250V330 1500 BR OVC005 06/05 Q1017 R12/CLRD// NOSIG=
17. 202102120230 METAR UBBG 120230Z 26004KT 220V310 1500 BR OVC005 06/05 Q1017 R12/CLRD// NOSIG=
18. 202102120300 METAR UBBG 120300Z 27004KT 240V300 1500 BR OVC005 06/05 Q1017 R12/CLRD// NOSIG=
19. 202102120330 METAR UBBG 120330Z 25006KT 1500 BR OVC005 06/05 Q1016 R12/CLRD// NOSIG=
20. 202102120400 METAR UBBG 120400Z 22006KT 1500 BR OVC005 05/04 Q1016 R12/CLRD// NOSIG=
21. 202102120430 METAR UBBG 120430Z 25004KT 3000 BR OVC005 05/04 Q1017 R12/CLRD// NOSIG=
22. 202102120500 METAR UBBG 120500Z 28004KT 240V310 5000 BR OVC005 06/05 Q1017 R30/CLRD// NOSIG=
23. 202102120530 METAR UBBG 120530Z 31004KT 270V340 5000 BR OVC005 06/05 Q1017 R30/CLRD// NOSIG=
24. 202102120600 METAR UBBG 120600Z 30006KT 260V340 7000 OVC005 06/05 Q1016 R30/CLRD// NOSIG=
25. 202102120630 METAR UBBG 120630Z 29006KT 250V310 8000 OVC005 06/05 Q1016 R30/CLRD// NOSIG=
26. 202102120700 METAR UBBG 120700Z 28006KT 250V350 8000 OVC005 06/05 Q1016 R30/CLRD// NOSIG=
27. 202102120730 METAR UBBG 120730Z 29004KT 250V350 8000 OVC005 07/05 Q1016 R30/CLRD// NOSIG=
28. 202102120800 METAR UBBG 120800Z 27006KT 240V310 8000 OVC008 07/05 Q1015 R30/CLRD// NOSIG=
29. 202102120830 METAR UBBG 120830Z 32004KT 250V030 9999 OVC008 08/05 Q1015 R30/CLRD// NOSIG=

განჯის საერთაშორისო აეროპორტის სიმაღლე საშუალო ზღვის დონიდან შეადგენს 330მ/1083 ფუტს. განჯის საერთაშორისიო აეროპორტში ხილვადობის მაჩვენებლის გაუარესება იწყება 11 თებერვლის 19:00 UTC საათიდან. აეროპორტში დაიკვირვება ბურუსი, ხილვადობა იზღუდება და შეადგენს 1500 მეტრს, ცის თაღი სრულად იფარება (OVC) დაბალი იარუსის ფენა (St) ღრუბლით, რომლის ფუძის

სიმაღლე მიწის პირიდან შეადგენს 500 ფუტს, ხოლო ნამის წერტილის დეპრესია შეადგენს 1^0C-ს, ჰაერის ტემპერატურაა 8^0C, უბერავს სუსტი სიძლიერის აღმოსავლეთის, სამხრეთ აღმოსავლეთის მიმართულების ქარი. 19:30 UTC საათზე განჯის აეროპორტში დაიკვირვება ნისლი, ხილვადობა შეადგენს 550 მეტრს, ნამის წერტილის დეპრესია 0^0 C-ის ტოლია, ჰაერის ტემპერატურა ეცემა და შეადგენს 7^0C-ს, ქარის მიმართულება და სიჩქარე არ იცვლება. ნისლი დაიკვირვებოდა 11 თებერვლის 22:00 UTC საათამდე. შემდგომ იწყება კონვექცია - „ნისლის აწევა“ და ფენა ღრუბლის ჩამოყალიბება, იცვლება ქარის მიმართულება და შეადგენს დასავლეთის, სამხრეთ დასავლეთის, ჩრდილო დასავლეთის მიმართულებას, მაგრამ ნარჩუნდება ბურუსი და დაბალი იარუსის (400-500 ფუტის სიმაღლის) სრული დაფარვის ფენა ღრუბელი. ჰაერის ტემპერატურა შეადგენს 7^0C-ს. 12 თებერვლის 06:00Z საათიდან განჯის აეროპორტში ბურუსი აღარ დაიკვირვება, მაგრამ ნარჩუნდება დაბალი იარუსის (500-800 ფუტის) სრული დაფარვის ღრუბელი, ნამის წერტილის დეპრესია შეადგენს 1^0C-ს, ხოლო ჰაერის ტემპერატურა ეცემა 6^0C-მდე. განჯის აეროპორტში ნისლიანი ამინდი დაიკვირვებოდა ორსაათნახევარი პერიოდის განმავლობაში (11 თებერვლის 19:30 UTC-დან - 11 თებერვლის 22:00 UTC-მდე), ხოლო ბურუსიანი ამინდი გრძელდებოდა შვიდი საათის განმავლობაში (11 თებერვლის 22:30UTC-დან - 12 თებერვლის 05:30UTC-მდე).

სინოპტიკური რუკების ანალიზი

ჩავატაროთ არსებული ფაქტიური მეტეოროლოგიური სიტუაციის ანალიზი სინოპტიკურ რუკებზე დაფუძნებით.

2021 წლის 11 თებერვლის დილის 00:00 საათისთვის კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით და შავი ზღვის აკვატორიის ჩრდილოეთით აბსოლუტური ტოპოგრაფიის 850 მბ (AT850) რუკაზე დაიკვირვება ციკლონის ბარიული ველი (იხ. 2021 წლის 00:00 UTC საათის სინოპტიკური დანიშნულების AT 850 რუკა), იმავე პერიოდის მიწისპირა სინოპტიკურ რუკაზე კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაიკვირვება მიწისპირა ანტიციკლონური ბარიული ველი[8].

რუკა N1, 2021 წლის 11 თებერვლის 00:00 UTC საათის 850 მბ ბარიული სიმაღლის აბსოლუტური ტოპოგრაფიის რუკა - AT-850;



[8] მიწისპირა ანტიციკლონური ბარიული ველი ზოგადად ითვლება ნისლების და მიწისპირა ფენა ღრუბლების ჩამოყალიბების მნიშვნელოვან წინაპირობად.

რუკა N2, 2021 წლის 11 თებერვლის 00:00 UTC საათის მიწისპირა სინოპტიკური ანალიზის რუკა;



2021 წლის 12 თებერვალს (00:00 UTC) შავი ზღვის ჩრდილოეთით, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით ნარჩუნდება ციკლონის ბარიული ველი და სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით ადგილი აქვს შედარებით მაღალი ტემპერატურის მქონე ჰაერის მასის - თხემის ამოსვლას („თბილი ტალღის“ სახით). კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით დაიკვირვება მიწისპირა ანტიციკლონური ბარიული ველი, ანტიციკლონის ცენტრი, მაღალი წნევის არე დაიკვირვება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე (იხ. მიწისპირა სინოპტიკური ანალიზის რუკა - 2021 წლის 12 თებერვალი, 00:00 UTC დრო).

კასპიისა და შავი ზღვის აუზები წარმოადგენს ანტიციკლონის (კავკასიონიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით) და ციკლონის (კავკასიონიდან ჩრდილო-დასავლეთით) შეხვედრის პოლიგონს. ყალიბდება აღმოსავლეთის ბარიული გრადიენტი. 00:00 UTC პერიოდში ზღვებს შორის გრადიენტმა შეადგინა 5 მილიბარი, (ბათუმის (Q1013) და ბაქოს (Q1018) საშუალო ზღვის დონეზე დაყვანილი წნევები - QNH). 12 თებერვლის 04:00 UTC საათზე ზღვებს შორის გრადიენტი გაიზარდა და შეადგინა 7 მილიბარი. სამხრეთიდან ამ აღრეულ ჰაერის მასაში იწყებს შედარებით თბილი და ტენიანი ეკვატორული ჰაერის მასის შეჭრა (იხ. 2021 წლის 12 თებერვლის მიწისპირა სინოპტიკური რუკა 00:00 და აბსოლუტური ტოპოგრაფიის რუკა AT-850).

რუკა N3, 2021 წლის 12 თებერვლის 00:00 UTC საათის მიწისპირა სინოპტიკური ანალიზის რუკა;



რუკა N4, 2021 წლის 12 თებერვლის 00:00 UTC საათის AT850 რუკა;



კასპიის ზღვის მიმდებარედ არსებულ ჰაერის მასაში სამხრეთიდან ამოსული შედარებით ტენიანი ჰაერის მასის შეჭრის შედეგად, ხდება არსებული ჰაერის მასაში დამატებითი ტენის შესვლა. გაჯერებული ჰაერის მასა, ზღვებს შორის (კასპიის და შავის ზღვის აუზები) არსებული აღმოსავლეთის ბარიული გრადიენტის გამო (კასპიის ზღვაზე ყალიბდება უფრო მაღალი წნევა) იწყებს კასპიის ზღვის აუზიდან შავი ზღვის მიმართულებით გადაადგილებას.

ისმის კითხვა, რატომ არ ჩამოყალიბდა კასპიის ზღვის აუზში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ნისლი და მხოლოდ დაიკვირვებოდა დაბალი იარუსის სრული დაფარვის ღრუბელი? ამისათვის განვიხილოთ ნისლის ჩამოყალიბების აუცილებელი შემაკავებელი ინვერსიული ფენის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც დამახასიათებელია როგორც რადიაციული, ასევე ადვექციური ნისლისთვის.

ზოგადკავკასიური მასშტაბის ჭრილიდან, როგორც სინოპტიკური აბსოლუტური ტოპოგრაფიის და მიწისპირა ანალიზის რუკებიდან იკვეთება, ამიერკავკასიის რეგიონში ადგილი აქვს ჰაერის მასების ადვექციას - შედარებით ცივი და ტენიანი ჰაერის მასა გადაადგილდება კასპიის ზღვის აუზიდან შავი ზღვის (დასავლეთის) მიმართულებით.

ბაქოს საერთაშორისო აეროპორტში კასპიის ზღვიდან შემოსული ცივი და მეტად გაჯერებული (კასპიის ზღვაზე მიწისპირა ანტიციკლონის სამხრეთ პერიფერიის გადაადგილებისას იზრდება ჰაერის მასის აბსოლუტური ტენიანობა) ჰაერის მასის ადვექციის შედეგად, არსებული თბილი ჰაერის მასა იდევნება და იწყებს აღმასვლას, ზედა ატმოსფერული ცივი ჰაერის მასა აწვება აღმავალ თბილი ჰაერის მასას და მიწისპირა ცივ ფენას და ზედა ატმოსფერულ ფენას შორის წარმოიქმნება ინვერსიული შრე (ისე როგორც სურათ N8-ზე არის ნაჩვენები). ინვერსიული შრე გადამწყვეტ ფაქტორს ასრულებს ნისლის ჩამოყალიბების პროცესში, რადგან ხელს უშლის მიწისპირა ჰაერის მასის აღრევას ატმოსფეროს ზედა მშრალ ნაწილთან, უზრუნველყოფს მიწისპირა ატმოსფეროს მდგრადობას და ჰაერის ამ ფენაში ტენიანობის შენარჩუნებას. ინვერსიული შრის სიღრმეზე არის დამოკიდებული, მოხდება თუ არა ზედა ატმოსფერული ფენის სედიმენტაციის შედეგად ინვერსიული ფენის გარღვევა და შედარებით მშრალი ჰაერის მასის აღრევა მიწისპირა ტენიან ჰაერის მასაში, რაც ნისლის გაფანტვის წინაპირობას წარმოადგენს.

სურათი N8, ზედა ატმოსფერული მასების სედიმენტაციის შედეგად წარმოქმნილი ინვერსიული შრე.



ნისლიანი ამინდების დროს ზოგადად ატმოსფეროს სტრატიფიკაცია ხასიათდება ზედა ატმოსფერული ფენის სიმშრალით. გთავაზობთ ქალაქ დენვერის (კოლორადოს შტატის) თერმოდინამიკურ დიაგრამას, რომელიც წარმოადგენს ატმოსფეროს პროფილის ტიპიურ (შაბლონურ) ნიმუშს ადვექციური ნისლის დროს.

დიაგრამა N1 - ადვექციური ნისლის პერიოდში ქალაქ დენვერის ატმოსფეროს პროფილი.[9]



[9] დიაგრამა ამოღებულია სასწავლო პორტალიდან https://www.meted.ucar.edu/.

დიაგრამა N2 - რადიაციული ნისლის პერიოდში ქალაქ ჯეკსონის (მისისიპის შტატი) ატმოსფეროს პროფილი.[10]



როგორც თერმოდინამიკური დიაგრამიდან (N1 - ადვექციური ნისლი) ჩანს მიწისპირა ფენა გაჯერებულია, გაჯერების ზემოთ არსებული ატმოსფეროს შრე მშრალია. მიწისპირა ფენაში დაიკვირვება ინვერსიული შრე. მიწისპირა გაჯერებული ფენა თავისი მეტეოროლოგიური პარამეტრებით მკვეთრად განსხვავებულია მის ზედა მშრალი ატმოსფერული ფენისგან. ინვერსიულ ფენაში ადგილი აქვს ქარის ზომიერ წანაცვლებას. მიწისპირა ფენისგან მეტეოროლოგიური პარამეტრებით ასეთი განსხვავებული გამყოფი ზონის არსებობა დამახასიათებელია როგორც ადვექციური, ისევე რადიაციული ნისლებისთვის.

თერმოდინამიკურ დიგრამაზე (N2 - რადიაციული ნისლი) ასევე დაიკვირვება მიწისპირთან ახლოს მკვეთრად გამოხატული ატმოსფეროს ინვერსიული ფენა 800 ჰპა ბარიული სიმაღლიდან 900 ჰპა ბარიულ სიმაღლემდე (100 ჰპა სიღრმის შრე), რაც დაახლოებით ატმოსფეროს 1კმ-იან ფენას შეადგენს. რადიაციული ნისლის პირობებში დამახასიათებელია: **მიწისპირა ფენაში სუსტი ქარი (ან უქარო ამინდი), გაჯერებული მიწისპირა ფენა, გაჯერებული მიწისპირა ფენის ზემოთ მშრალი ჰაერის მასის არსებობა, გამყოფი ზონა, რომელიც მკვეთრად მიჯნავს ორი სხვადასხვა მეტეოროლოგიური პარამეტრების მქონე ჰაერის მასებს.**

[10] დიაგრამა ამოღებულია სასწავლო პორტალიდან https://www.meted.ucar.edu/.

დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბაქოს საერთაშორისო აეროპორტში, მიუხედავად ნისლის გამომწვევი ადვექციური ხასიათის წინა პროცესებისა, ნისლის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში ძლიერი ინვერსიული ფენის არ არსებობამ (ჩამოყალიბდა თხელი ინვერსიული ფენა), რომელიც ხელს შეუშლიდა ჰაერთა მასების შემდგომ კონვექცია/აღრევას და გაჯერებულ ჰაერის მასას შეინარჩუნებდა მიწის პირთან ახლოს. ხოლო სამხრეთიდან დამატებითი ტენის ადვექცია (რაც დაიკვირვება სინოპტიკურ რუკებზე) განაპირობებდა ნისლის წარმოქმნას.

განვიხილოთ აღნიშნული საკითხი, ატმოსფეროს ფიზიკის ჭრილში. ამ დროს მიწისპირა ნისლიან ფენაზე ზემოქმედებენ ურთიერთდამაბალანსირებელი პროცესები, რომლებიც ხელს უწყობენ ნისლის (ან დაბალი იარუსის ფენა ღრუბლის) შენარჩუნებას და ასევე მიწისპირა ნისლის გარდაქმნას ფენა ღრუბლებად.

დედამიწის მიერ გასხივებული რადიაციის (ინფრაწითელი სპექტრის სახით) ნაწილი ნისლის (მიწისპირა ღრუბელი) მიერ შთაინთქმება და ისევ დედამიწას უბრუნდება (შედარებით ნაკლები ინტენსივობის, რადგან ღრუბელის მიერ გასხივება ყველა მიმართულებით ხდება), ანუ დედამიწის მიერ გასხივებული სითბური ენერგიის ნაწილი რჩება ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში. ამ პერიოდიდან სრულდება მიწისპირა ჰაერის გადაცივება. აქედან გამომდინარე ხდება მიწისპირა ფენის დათბობა, რაც იწვევს ფარდობითი ტენიანობის შემცირებას, მიწისპირა ფენაში აეროზოლებზე კონდენსირებული წყლის წვეთების აორთქლებას, მიწისპირა ფენის არადმგრადობის შედეგად იწყება კონვექციური აღრევა, შესაბამისად ნისლის აწევა და დაბალი იარუსის ფუძის მქონე ფენა ღრუბლად გარდაქმნა. მიწისპირა ნისლიანი ფენის ზედა ნაწილის მიერაც ხდება შთანთქმული ინფრაწითელი ელექტრომაგნიტური გამოსხივების ხელახალი ემისია, რაც იწვევს ნისლიანი ფენის ზედა ნაწილის გადაცივებას (სითბური ენერგიის დაკარგვის ხარჯზე), ამ ნაწილში ფარდობით ტენიანობის გაზრდას, რაც რეალიზდება ჰაერში გაფანტულ აეროზოლებზე წყლის ორთქლის კონდენსაციით. ერთგვარად ნისლის ზედა ფენა წარმოადგენს ნისლის შენარჩუნების მასტიმულირებელ წყაროს, მუდმივი ნისლის (რადიაციული გადაციების შედეგად) შემოსვლის პირობით. მის საპირწონედ, როგორც თერმოდინამიკური დიაგრამიდან

(N1,N2) ჩანს, ნისლიანი ფენის ზემოთ („გამყოფი ზოლის“ ზემოთ) დაიკვირვება ძლიერი ქარები (ზოგადად ნისლიანი შრის ზედა ფენაში ქარის წანაცვლებასაც აქვს ადგილი), რომელიც ცდილობს ინვერსიული ფონის მოშლას, შედარებით თბილი და მშრალი ჰაერის შემოტანით ნისლიან შრეში, ნისლის გაფანტვის შემდგომი პერსპექტივით და ასევე იწვევს აეროზოლებზე კონდენსირებული წყლის წვეთების აორთქლებას (ნამის წერტილის დეპრესიის მნიშვნელობის გაზრდას, რაც გამოიხატება ფარდობითი ტენიანობის შემცირებით).

სურათი N9, ნისლის ქვედა ფენის დათბობის შედეგად, მისი აწევა და ფენა ღრუბლის ჩამოყალიბება და ნისლის ზედა ფენის დათბობის შედეგად ნისლის ვერტიკალური სიმაღლის შემცირება.



თუ ნისლიანი შრის ზემოთ მოხდება შუა და ზედა იარუსის სრული დაფარვის ღრუბლების ჩამოყალიბება ან ადვექცია (იხ. სურათი N9), ამ დროს ნისლის ზედა ფენის მიერ გასხივებული ინფრაწითელი დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივება შთაინთქმება შუა და ზედა იარუსის ღრუბლების მიერ (შთანთქმა ხდება ჰაერში

არსებული იზოტოპების ნახშირორჟანგის - CO2 და წყლის ორთქლის - H2O მიერ)[11]. ნაწილი გამოსხივებისა გასხივდება/აირეკლება ამ ღრუბლების ფუძის მიერ. აქედან გამომდინარე ნისლის ზედა ფენის გაცივების ეფექტი მცირდება, რაც ამცირებს აეროზოლებზე წყლის კონდენსაციის პროცესს, მცირდება ნისლის სიმკვრივე, ნისლი თხელდება და იწყებს გაფანტვას.

დავუბრუნდეთ, ისევ არსებული ფაქტობრივი გარემოების განხილვას, ბაქოს, განჯის და თბილისის საერთაშორისო აეროპორტების მაგალითზე. განჯის საერთაშორისო აეროპორტი ბაქოს საერთაშორისო აეროპორტთან მიმართებაში შედარებით შემაღლებულ ადგილას მდებარეობს, ხოლო თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სიმაღლე საშუალო ზღვის დონიდან უფრო მაღალია ვიდრე განჯის საერთაშორისო აეროპორტი. ასეთი ოროგრაფიული თავისებურებების გამო კასპიის ზღვის აუზიდან შავი ზღვის მიმართულებით დაძრული ტენიანი ჰაერის მასა განიცდიდა იძულებით კონვექციას, რაც გამოიხატებოდა ჰაერის ტემპერატურის ვარდნით გამოწვეული ფარდობითი ტენიანობის ზრდაში და წარმოადგენდა დამატებით ფაქტორს ამ ადგილებში ნისლის ჩამოყალიბების ალბათობის გაზრდაში (რაც დაიკვირვებოდა კიდეც განჯის და თბილისის საერთაშორისო აეროპორტებში).

სურათზე N10 ნაჩვენებია ტიპიური ადვექციური ნისლის ნიმუში. როცა ცივი ჰაერის მასა გადაადგილდება კასპიის ზღვის აუზიდან დასავლეთის მიმართულებით, ამ დროს ხდება მიწისპირა ფენის გაცივება. თერმოდინამიკურ დიაგრამაზე (სურათი N10-ზე გამოსახული თერმოდინამიკური დიაგრამა) ნაჩვენებია თუ როგორ იცვლებოდა მიწისპირა ატმოსფერული ფენის ტემპერატურული პროფილი. დასაწყისისთვის ადვექციური ნისლისთვის მიწისპირა ფენაში თავდაპირველად დამახასიათებელია შედარებით ძლიერი ქარები. მესამე და მეოთხე სურათებზე უკვე ცალსახად გამოკვეთილია მიწისპირა ინვერსია, რომლის ზედა შრეში ჰაერის მასები იწყებენ მიწისპირა ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობას და ქმნიან ე.წ. შემაკავებელ ინვერსიულ „გამყოფ ზოლს“.

[11] დედამიწის მიერ გასხივებული ინფრაწითელი დიაპაზონის სპექტრის შთანთქმა ხდება ქვედა იარუსის ნისლის ღრუბლების მიერ და შემდგომ ნისლის ზედა შრე ისევ ასხივებს იმავე სპექტრის ელექტრო მაგნიტურ სხივებს.

სურათი N10, ინვერსიული შრის წარმოქმნის შაბლონური ნიმუში განჯისა და თბილისის საეთაშორისო აეროპორტებში.



რადიომეტრის (მეტეოროლოგიური თანამგზავრის) მუშაობის ზოგადი პრინციპები და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნისლის იდენტიფიცირება.

ატომბირთვის გარშემო წრიულ ორბიტებზე მოძრაობენ ელექტრონები. ატომის აგებულების თანამედროვე თეორიის მიხედვით, ატომბირთვის გარშემო არსებობს გარკვეული ენერგეტიკული დონეები/შრეები (n=1,2,3,..7), თითოეული ენერგეტიკული დონე შეიცავს სხვადასხვა ქვედონეებს (s,p,d,f), თითოეულ ქვედონეზე კონკრეტული რაოდენობის ორბიტალია (s-1, p-3, d-5, f–7), თითოეულ ორბიტაზე კი მაქსიმუმ ორი ელექტრონი შეიძლება განთავსდეს, რომლებიც წრიულად მოძრაობენ ატომბირთვის (პროტონი/ნეიტრონი) გარშემო. სტანდარტულად ატომბირთვში არსებული პროტონების რაოდენობა შეესაბამება მის გარშემო (სხვადასხვა შრეებზე არსებულ) ორბიტაზე მოძრავი ელექტრონების რაოდენობას. ატომის აგებულების ნილს ბორის მოდელის მიხედვით (მან ცდა ჩაატარა წყალბადის ატომზე) ყველაზე დაბალ შრეზე (ატმობირთვთან ახლოს) მოძრავი ელექტრონის(ების) შემთხვევაში, ატომს გააჩნია ყველაზე დაბალი ენერგია. ელექტრომაგნიტური გამოსხივების (მათ შორის ინფრაწითელის) შთანთქმის დროს ელექტრონი გადადის მაღალ ორბიტალურ (ენერგეტიკულ) შრეზე. ატომის ამ მდგომარეობას აღგზნებული მდგომარეობა ეწოდება. ატომის ასეთ მდგომარეობას მაღალენერგეტიკული მდგომარეობაც ჰქვია. ატომი ამ მდგომარეობაში ცოტა ხნით რჩება და შემდეგ ისევ უბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას, რა დროსაც ელექტრონი ისევ უბრუნდება თავის ძველ ორბიტალურ შრეს. ამ დროს ხდება შთანთქმული ენერგიის (ელექტრომაგნიტური სპექტრის) გასხივება სხვადასხვა (ყველა) მიმართულებით. შთანთქმული ენერგიის რაოდენობაზეა დამოკიდებული ელექტრონის ორბიტალური წრის დაშორება ატომბირთვიდან. აღგზნებული მდგომარეობიდან ელექტრონი თავის პირვანდელ ენერგეტიკულ შრეს შეიძლება ერთი ნახტომით დაუბრუნდეს (დამოკიდებულია შთანთქმული ენერგიის რაოდენობაზე და შესაბამისად ელექტრონსა და ატომბირთვის შორის დაშორებაზე) ან დაბრუნდეს ეტაპობრივად, სხვადასხვა ორბიტალურ შრეზე დაყოვნებით. თითოეულ შრეზე დაყოვნებით ანუ ეტაპობრივი დაბრუნებით, იგი სხვადასხვა

დონეზე, რომელიც შეესაბამება ატომის სხვადასხვა ენერგეტიკულ მდგომარეობას, ასხივებს გარკვეული ტალღის სიგრძის იმ ინტენსივობის ფოტონებს, რომელიც შეესაბამება ატომის კონკრეტულ ენერგეტიკულ მდგომარეობას (ელექტრონის დაყოვნებას სხვადასხვა ორბიტალურ წრეზე).

თუ ატომმა მიიღო იმდენი ენერგია, რომ მოხდა მისი იონიზაცია (ატომი შეიძლება იყოს ერთხელ იონიზირებული, ორჯერ იონიზირებული, სამჯერ და ა.შ. იმისდა მიხედვით რამდენი ელექტრონი მოწყდება ორბიტას) ამ შემთხვევაში იონიზირებული ატომი უკვე განსხვავებული ტალღის სიგრძის ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას შთანთქავს და ასხივებს. ანუ ნეიტრალურ მდგომარეობაში არსებულ ატომბირთვსა და ელექტრონს შორის განლაგება/დაშორებაზეა (კვანტურ მდგომარეობაზეა) დამოკიდებული ელექტრომაგნიტური გამოსხივების რა სიგრძის ტალღებს შთანთქავს/ასხივებს ატომი (ან მოლეკულა).

ღრუბლებზე დაკვირვების მიზნით, მეტეოროლოგიური დანიშნულების თანამგზავრების მიერ დედამიწის სკანირებისას ძირითადად გამოიყენება ოთხი დიაპაზონის არხი. თითოეულ არხს შეესაბამება სხვადასხვა სიხშირისა და ტალღის სიგრძის ელექტრომაგნიტური გამოსხივება[12].

1) 10.8 მიკრომეტრი (ინფრაწითელი დიაპაზონი);
2) 6.2 მიკრომეტრი (ინფრაწითელი დიაპაზონი, რომელიც აღინიშნება როგორც WV არხი - Water Vapor);
3) 3.9 მიკრომეტრი (ინფრაწითელი დიაპაზონი);
4) 0.6 მიკრომეტრი (ხილული დიაპაზონი);

რადიომეტრული მოწყობილობა წარმოადგენს იგივე სპექტროსკოპს, რომელიც მხოლოდ იღებს ატმოსფეროში არსებული იზოტოპებისგან გამოსხივებულ სხვადასხვა სიხშირის და დიაპაზონის ელექტრო-მაგნიტურ გამოსხივებას (მეტეოროლოგიურ თანამგზავრებისთვის - რადიომეტრებისთვის ძირითადად გამოიყენება IR - ინფრაწითელი დიაპაზონი და ხილული დიაპაზონის სპექტრი). ზოგადად იზოტოპების მიერ გამოსხივებული IR ენერგიის ინტენსივობა დამოკიდებულია იზოტოპის ტემპერატურაზე. როგორც ჩვენთვის ცნობილია,

[12] ნიმუშად აღებულ იქნა https://view.eumetsat.int/ საითზე არსებული რადიომეტრული ინფორმაცია.

სიმაღლის ზრდასთან ერთად (ტროპოსფეროში) ჰაერის ტემპერატურა ეცემა, აქედან გამომდინარე რაც უფრო მაღალია ღრუბელი, უფრო ცივია და მასში არსებული იზოტოპები ნაკლები ინტენსივობის IR ენერგიას ასხივებენ და პირიქით, რაც უფრო დაბალი ღრუბელია, ტემპერატურა მაღალია და მეტი ინტენსივობის ენერგიას (IR) ასხივებს. ზოგადად თერმულ (IR) გამოსხივებას ასხივებს ყველაფერი, რომლის ტემპერატურა აბსოლუტურ ნულზე მეტია. თერმული ენერგია წარმოიქმნება ატომებისა და მოლეკულების კინეტიკური ენერგიის (რხევების/მოძრაობის) თერმულ ენერგიად გარდაქმნის შედეგად.

$$E_{total} = T_{electron} + T_{vibrational} + T_{rotational} \quad (1)$$

სადაც,

$T_{electron}$ - ეს ენერგია ასოცირდება სხვადასხვა ორბიტალურ შრეებზე ელექტრონების მოლეკულებში (ატომებში) განაწილებასთან.

$T_{vibrational}$ – ენერგია ასოცირდება მოლეკულების მიერ შთანთქმული ენერგიის ხარჯზე (კონკრეტული მოლეკულა (ატომი) შთანთქავს (ასხივებს) ელექტრო მაგნიტური დიაპაზონის გარკვეული სპექტრს) კოვალენტური ბმის შედეგად არსებულ ატომების ვიბრირებასთან.

$T_{rotational}$ – ენერგია ასოცირდება მოლეკულების მიერ შთანთქმული ენერგიის ხარჯზე (კონკრეტული მოლეკულა/ატომი შთანთქავს/ასხივებს ელექტრო მაგნიტური დიაპაზონის გარკვეული სპექტრს) მის ბრუნვასთან.

თუ მოლეკულაში დაიკვირვება ელექტრონული, ვიბრაციული ან ბრუნვითი აღგზნებები, მაშინ ასეთი მოლეკულა ასხივებს ყოველ ზემოთ ჩამოთვლილი ენერგიის სახეს ერთდროულად.

რადიომეტრი ღრუბლების სიმაღლეს სწორედ ატომის/მოლეკულის კინეტიკური ენერგიის (E_{total}) რაოდენობით განსაზღვრავს. კერძოდ, როგორც აღვნიშნეთ მაღლივი ღრუბლის ტემპერატურა ნაკლებია, შესაბამისად ნაკლები ჯამური კინეტიკური ენერგია (E_{total}) გააჩნია და ნაკლები ინტენსივობის IR რადიაციას ასხივებს. დაბალი ღრუბლის ტემპერატურა მეტია, რადგან მას უფრო მეტი კინეტიკური ენერგია გააჩნია და მეტი ინტენსივობის IR რადიაციას ასხივებს. ატომისა და მოლეკულის ტემპერატურა გასხივებული ენერგიის რაოდენობის

პირდაპირპროპორციულია და ამ განსხვავების საფუძველზე რადიომეტრი ახდენს ღრუბლის სიმაღლის იდენტიფიცირებას. მართალია ტემპერატურის ცვლილებასთან ერთად იცვლება გასხივებული ენერგიის სიხშირე (სპექტრი), მაგრამ ღრუბლები ძირითადად შთანთქავენ 10.8 მკმ დიაპაზონის გამოსხივებას და (კირხოფის კანონის) შესაბამისად ყველაზე მეტად ასხივებენ სწორედ ამ სპექტრის ტალღებს (დედამიწა, მისი ტემპერატურული მდგომარეობიდან გამომდინარე ასხივებს 3მკმ-100მკმ IR ტალღებს, მაგრამ პიკური გამოსხივება და შთანთქმაც მოდის 10 მკმ-ზე).

უკეთ, რომ გავერკვეთ რადიომეტრების მუშაობის პრინციპში, გთავაზობთ განვიხილოთ ატმოსფეროში არსებული იზოტოპების მიერ ელექტრომაგნიტური დიაპაზონის სხვადასხვა სპექტრში შთანთქმის (და გამჭვირვალობის) ხაზები.

სურათი N11 - ინფრაწითელი დიაპაზონის ატმოსფეროში შთანთქმის ხაზები



როგორც N11 სურათიდან ჩანს, ნახშირორჟანგის მოლეკულები შთანთქავენ სხვადასხვა დიაპაზონის ელექტრო-მაგნიტურ გამოსხივებას. მაგ. CO_2 შთანთქავს 12.8 მკმ, 9.5 მკმ დიაპაზონის ხაზებს, ამ სპექტრში ატმოსფეროს გამჭვირვალობის კოეფიციენტი დაახლოებით შეადგენს 60% და 80 %-ს. ეს ნიშნავს რომ დედამიწის მიერ გასხივებული ამ დიაპაზონის ინფრაწითელი გამოსხივება კოსმოსში გავა დაახლოებით 40% და 20%, დანარჩენი (60% და 80%) შთაინთქმება (და შემდგომ ყველა მიმართულებით გაისხივება) ატმოსფეროში არსებული ნახშირორჟანგის (CO_2) მოლეკულების მიერ. მზის გარკვეული რადიაციის მიმართ ატმოსფერო სრულად გამჭვირვალეა, ელექტრომაგნიტური გამოსხივების ამ დიაპაზონებს ატმოსფეროს ფანჯრებს უწოდებენ. ატმოსფეროს ფანჯრების ძირითადი სპექტრი ხილულ დიაპაზონზე მოდის.

გთავაზობთ მეორე თაობის მეტეო სატელიტური თანამგზავრის (Msg Seviri) არხების ჩამონათვალს და მათ მახასიათებლებს (იხ. ცხრილი N1). კერძოდ ცხრილ N1-ში მითითებულია, ელექტრომაგნიტური გამოსხივების რომელი დიაპაზონით რისი დაკვირვება არის შესაძლებელი.

ცხრილი N1 - რადიომეტრის სპექტრული დიაპაზონების და დაკვირვების ობიექტები.

არხები	**სპექტრული დიაპაზონი (μm)**	**ტალღის სიგრძე (მკმ- μm)**			**დაიკვირვება**
		$\lambda_{\text{ცენ}}$	$\lambda_{\text{მინ}}$	$\lambda_{\text{მაქ}}$	
1	VIS0.6	0.638	0.56	0.71	მიწისპირი, ღრუბლები, ქარები
2	VIS0.8	0.81	0.74	0.88	მიწისპირი, ღრუბლები, ქარები
3	NIR1.6	1.64	1.50	1.78	ღრუბლები, ღრუბლის ფაზები
4	IR3.9	3.90	3.48	4.36	მიწისპირი, ღრუბლები, ქარები
5	WV6.2	6.25	5.35	7.15	წყლის ორთქლი, მაღლივი ღრუბლები, მაღლივი ატმოსფეროს ანალიზი;
6	WV7.3	7.35	6.85	7.85	წყლის ორთქლი, ატმოსფეროს არამდგრადობა, მაღლივი ატმოსფეროს დინამიკა;
7	IR8.7	8.70	8.30	9.1	მიწისპირი, ღრუბლები, ატმოსფეროს არამდგრადობა;
8	IR9.7	9.66	9.38	9.94	ოზონი;
9	IR10.8	10.80	9.80	11.80	მიწისპირი, ღრუბლები, ქარები, ატმოსფეროს არამდგრადობა;
10	IR12.0	12.00	11.00	13.00	მიწისპირი, ღრუბლები, ატმოსფეროს არამდგრადობა;
11	IR13.4	13.40	12.40	14.40	ფრთა მაღალი ღრუბლების სიმაღლე, ატმოსფეროს არამდგრადობა;
12	HRV	გამოსხივების დიაპაზონი 04-11 μm			მიწისპირი და ღრუბლები;

მეტეოროლოგიური დანიშნულების რადიომეტრებში ხილული დიაპაზონის (0.6 მიკრომეტრი) ტალღები გამოიყენება ალბედოს (მატერიის არეკვლის თვისება) განსაზღვრისთვის. ყველა მატერიას გააჩნია თავის ალბედო (არეკვლის უნარი) მაგ. ფენა ღრუბელი თხელი ღრუბელია, აეროზოლებზე კონდენსირებული წყლის წვეთების ზომაც შედარებით მცირეა (ვერტიკალური განვითარება ნაკლებია) და მისი ალბედო ნაკლებია, ვიდრე ვერტიკალური განვითარების ღრუბლებისა (მაგ. Cb), სადაც წყლის წვეთებიც შედარებით მოზრდილია, ღრუბლებში მათი განაწილების კონცენტრაცია შედარებით ნაკლებია, რაც უარყოფითად მოქმედებს ალბედოზე, მაგრამ ვერტიკალური განაწილება უფრო დიდია, შესაბამისად 0.6 მიკრომეტრის ტალღები აირეკლება უფრო მეტი ინტენსივობით. ხილული დიაპაზონის მუშაობის პრინციპი შემდეგნაირია. მზე ასხივებს ელექტრომაგნიტური გამოსხივების ვრცელ სპექტრს, მათ შორის 0,6 მკმ ტალღის სიგრძის სპექტრსაც. 0,6 მკმ შეესაბამება ხილული დიაპაზონის ნარინჯისფერ/წითელ ფერს. ღრუბლების და დედამიწის მიერ (სხვადასხვა ინტენსივობით) აირეკლება ეს სხივი და არეკლილ სხივს იღებს რადიომეტრი.

დედამიწის გრუნტის ალბედო უფრო ნაკლებია, ვიდრე თოვლის საფარით დაფარული გრუნტისა, ღრუბელში არსებულ კრისტალებს უფრო ნაკლები ალბედო გააჩნია ვიდრე წყლის წვეთებს და ა.შ. ალბედოს (არეკვლის უნარის) თვისებიდან გამომდინარე განისაზღვრება ღრუბლის ტიპი და დედამიწის საფარის თავისებურებები (ზღვას და ოკეანეებს ნაკლები ალბედო გააჩნია ვიდრე მიწას).

პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტების გამოყენებით ხდება სხვადასხვა არხებიდან მიღებული რადიომეტრული ინფორმაციის კოდირება სხვადასხვა შავ-თეთრი გრადაციის ფერების სახით. მაგ. მაღალი ინტენსივობის IR დიაპაზონს, რომელსაც იღებს რადიომეტრი დაბალი სიმაღლის ღრუბლისგან აქვს უფრო მუქი ფერი (მაღალი ტემპერატურა - უფრო მუქი ფერი), ვიდრე მაღალი იარუსის ღრუბლისგან მიღებულს (დაბალი ტემპერატურა - ღია ფერი). 10.8 მკმ ელექტრომაგნიტური გამოსხივებით სკანირებული დედამიწის შემთხვევაში, თუ ღრუბელს ვხედავთ შედარებით თეთრ ფერებში ე.ი. მისი ზედა ზედაპირი (საიდანაც ხდება გასხივება) უფრო მაღლა მდებარეობს, ვიდრე შედარებით მუქი ფერით

კოდირებული ღრუბელი. დედამიწის სკანირება ერთდროულად ხდება სხვადასხვა დიაპაზონის არხებით, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია (გავრცელებული ტენდენციაა), რომ სხვადსხვა ფერებით (არა მხოლოდ შავთეთრი გრადაციის ფერებით) მოხდეს ინფორმაციის კოდირება. მაგ. თუ 10.8 მკმ არხის დიაპაზონზე დაიკვირვება რაიმე ღრუბელი შედარებით მუქ ფერებში, ხოლო 3,9 მკმ არხზე იგივე ღრუბელი ჩანს უფრო ღია ფერებში მაშინ ეს განსხვავება (3.9 მკმ - 10.8მკმ) შესაძლებელია გამოვსახოთ მწვანე ფერით და ა.შ.

ტროპოსფეროში არსებული წყლის ორთქლი (წყალი ორთქლის სახით ძირითადად დაიკვირვება ტროპოსფეროში) ასხივებს და შთანთქავს IR დიაპაზონის სხივებს, მეტეოროლოგიური დანიშნულების რადიომეტრებში გამოიყენება 6.2 მკმ არხი (6-7 მკმ - WV არხი). ამ არხით დედამიწის სკანირებისას ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას ატმოსფეროში არსებული ტენიანობის შესახებ. მიღებული ელექტრომაგნიტური გამოსხივების კოდირება ხდება იგივე პრინციპით, შავ-თეთრი გრადაციის მიხედვით. თეთრი ფერი მიუთითებს რადიომეტრის მიერ მიღებული მაღალი ინტენსივობის გამოსხივებას, ხოლო შედარებით მუქი - ნაკლების. ანუ რადიომეტრულ ინფორმაციაზე დაყრდნობით WV არხით სკანირებულ თანამგზავრულ ინფორმაციაზე ღია ფერით ნაჩვენებია მაღლივი ტენიანი არეები, ხოლო შედარებით მუქი ფერის შემთხვევა ნიშნავს რომ ტენიანობა დაიკვირვება მიწისპირა ფენაში. სტანდარტულად რადიომეტრი ტენიანობის შესახებ ინფორმაციას იღებს 300-600 ჰპა ბარიული სიმაღლეებიდან (ძირითადად საშუალო და მაღალი სიმაღლეებიდან), ხოლო თუ ჰაერი ძალიან გამომშრალია, შეიძლება მიიღოს უფრო დაბალი დაახლოებით 800ჰპა ბარიული სიმაღლიდანაც. საშუალო და მაღალ სიმაღლეებზე გამომშრალი ჰაერის მასა რადიაციული ნისლის ჩამოყალიბების ხელშემწყობი წინაპირობაა და ეს ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რადიაციული გადაციების პროგნოზირებისას.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ რადიომეტრამდე მიდის მხოლოდ (ღრუბლის/წყლის ორთქლის) ზედა ზედაპირიდან გასხივებული ენერგია. მაგ. თუ სხვადასხვა იარუსებზე არსებობს ღრუბელი, ქვედა იარუსის ღრუბლის (იზოტოპის) მიერ გასხივებული ენერგია შთაინთქმება ზედა იარუსის ღრუბლის (იზოტოპის)

მიერ და ვერ აღწევს კოსმოსურ რადიომეტრამდე. თუ ზედა ღრუბლის ფენა თხელია, მაშინ ქვედა იარუსის ღრუბლის ზედა ზედაპირიდანაც აღწევს შესუსტებული ელექტრომაგნიტური გამოსხივება და რადიომეტრი ორივეს იღებს. დედამიწა თავისთავად ასხივებს IR დიაპაზონში (3 მკმ-დან 100 მკმ-მდე), პიკური გამოსხივება მიიღწევა დაახლოებით 10 მკმ დიაპაზონში. მოწმენდილი ცის შემთხვევაში რადიომეტრი იღებს დედამიწის სრულ გამოსხივებას, ხოლო თხელი ღრუბლის შემთხვევაში დედამიწის გასხივებული ენერგია რადიომეტრის მიერ შესუსტებული ინტენსივობის სახით მიიღება.

მეტეოროლოგიური დანიშნულების თანამგზავრები არსებობს ორის სახის გეოსტაციონალური და პოლარულ-ორბიტალური. გეოსტაციონალური თანამგზავრების სიჩქარე იგივეა რაც დედამიწის ბრუნვის სიჩქარე თავის ღერძის გარშემო. აქედან გამომდინარე სივრცეში დედამიწის მიმართ მათი კოორდინატები მუდმივია და მუდმივად ასკანირებენ დედამიწის გარკვეულ ადგილს. ისინი განლაგებულები არიან დედამიწის ეკვატორის გასწვრივ. პოლარულ-ორბიტული მეტეოროლოგიური დანიშნულების რადიომეტრებს გააჩნიათ განსხვავებული მოძრაობის ტრაექტორია და სიჩქარე. ისინი გარკვეული ელიფსური ფორმის ორბიტაზე უვლიან დედამიწას ჩრდილოეთ პოლუსიდან სამხრეთ პოლუსის მიმართულებით (ეკვატორთან მიმართებაში სხვადასხვა კუთხის დახრილობით), ამიტომ მათი სკანირების სივრცე სხვადასხვა დროს სხვადასხვა არის. გეოსტაციონალური რადიომეტრები განლაგებული არიან დედამიწიდან უფრო მაღალ სიმაღლეზე ვიდრე პოლარულ-ორბიტალური რადიომეტრები, ამიტომ გარჩევადობა (სკანირების ხარისხი) უფრო მაღალი აქვთ პოლარულ ორბიტულ რადიომეტრებს.

არსებობს პირველი თაობის (MFG), მეორე თაობის (MSG), მესამე (MTG) თაობის რადიომეტრები. შემდგომი თაობის რადიომეტრებს ემატებოდა როგორც საიმედოობა, ასევე ფუნქციები. მაგ. მესამე თაობის MTG რადიომეტრებს აქვთ ახალი უნარი, უწყვეტ და მიმდინარე რეჟიმში მოგაწოდოთ ინფორმაცია ელ-ჭექების აქტივობების შესახებ, ასევე წინასწარ განსაზღვრონ ძლიერი შტორმული

განვითარების კერები და ა.შ. რაც ძველი თაობის მეტეოროლოგიური დანიშნულების თანამგზავრებს არ გააჩნდათ.

10.8 მკმ IR არხი გამოიყენება ყველა ტიპის ღრუბლის აღმოსაჩენად. იგი გვაჩვენებს ღრუბლის ზედა ზედაპირის ტემპერატურას და გამოიყენება ღრუბლის მიწის პირიდან სიმაღლის განსაზღვრისთვის. ამ დიაპაზონის არხით, ასევე შესაძლებელია შევაფასოთ მიწის ზედაპირის ტემპერატურული მდგომარეობა (დედამიწის პიკური გამოსხივება ამ დიაპაზონზე მოდის), გვაწვდის ინფორმაციას მიწისპირზე არსებული მაღალი ტენიანობის შესახებ. ამ დიაპაზონის არხის (10.8 მკმ) მუქი ფერი მიუთითებს დაბალ ფენა ღრუბელზე ან ნისლზე (თანამგზავრული სურათი N1).

თანამგზავრული სურათი N1; 12.02.2021 წელი, 06:00 UTC, 10.8 MicroMeter; წითელი ხაზებით ნაჩვენებია ნისლის კერები



3.9 მკმ IR არხი, რომელიც ასევე წარმოადგენს ინფრაწითელი დიაპაზონის არხს, საკმაოდ ფუნქციური არხია, რადგან ამ დიაპაზონში მზის რადიაციაც აღწევს დედამიწამდე და ამავე დიაპაზონში ასხივებს დედამიწაც.

რადგან 3.9 მკმ IR არხი (მოკლე ტალღა) უფრო მეტად გამჭვირვალეა ტენიანობის მიმართ, ვიდრე 10.8 მკმ არხი (გრძელი ტალღა), ღრუბლები მოკლე ტალღებს უფრო ნაკლებად შთანთქავენ და (კირხოფის კანონის) შესაბამისად ნაკლები ინტენსივობით გამოასხივებენ, ვიდრე გრძელ ტალღებს. რადგან დაბალი იარუსის ფენა ღრუბლების და ნისლების დროს ატმოსფეროს დაბალი სიმაღლე გამოირჩევა მაღალი ტენიანობით (ამ პერიოდებში თბილისის, განჯის და ბაქოს

აეროპორტებში ფიქსირდება, რომ მიწისპირა ჰაერის მასა გაჯერებულია ან ნამის წერტილის დეპრესია შეადგენს 1^{0}C-ს), 3.9 მკმ IR ინფრაწითელი დიაპაზონის ნისლის/ფენა ღრუბლის მიერ უფრო ნაკლებად შთაინთქმება და შესაბამისად ნაკლები ინტენსივობით გამოსხივდება (რადგან გამოსხივება ხდება ყველა მიმართულებით, ამიტომ რადიომეტრის მიმართულებით გამოსხივებული ეს ენერგია უფრო ნაკლებია). თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დიაპაზონში დედამიწის გამოსხივებული რადიაციაც მინიმალურია, მაშინ ნაკლები თერმული ენერგია აღწევს რადიომეტრს, 10.8 მკმ IR დიაპაზონის ტალღებთან შედარებით. დედამიწის პიკური (მაქსიმალური რადიაცია) გამოსხივება მოდის 10მკმ სიგრძის ელექტრომაგნიტურ ტალღებზე, რადგან ამ დიაპაზონის გამოსხივებას უფრო მეტად შთანთქავს/გამოასხივებს ნისლი/ფენა ღრუბელი, სწორედ ამიტომ მეტეოროლოგიური დანიშნულების რადიომეტრი მას უფრო მაღალი ინტენსივობით იღებს. აღსანიშნავია, რომ 3.9 მკმ ტალღები გამოსხივდება (ინვერსიული შრის ქვემოთ არსებული) მიწისპირა ნისლის და ფენა ღრუბლების შიდა ნაწილიდან, როცა 10.8 მკმ ტალღებს ასხივებს ნისლის/ფენა ღრუბლების ზედა ნაწილი. სწორედ ამიტომ ნისლები თანამგზავრულ სურათზე N2-ზე, 3.9 მკმ არხზე უფრო გამოკვეთილი კონტურები აქვს და უფრო ღია ფერისაა (დაბალი ტემპერატურისაა), ხოლო 10 მკმ IR არხის მეშვეობით სკანირებულ ფოტოებზე (თანამგზავრული სურათი N1), ნისლის კონტურები საკმაოდ გაბნეული (ნისლის/ფენა ღრუბლის ფერის ტონალობა მცირედ განსხვავდება დედამიწის ზედაპირისგან) და უფრო მუქია (მაღალი ტემპერატურის მქონეა).

ცალკეულად აღებული 3.9 მკმ IR არხის მუშაობის პრინციპი იგივეა, მუქი შავ-თეთრი გრადაციის მქონე ფერით იგი გვიჩვენებს მაღალი ტემპერატურის მქონე ანუ მიწისპირა ფენა ღრუბელს და/ან ნისლებს, ხოლო ღია შავ-თეთრი გრადაციის ფერებით დაბალი ტემპერატურის და მაღალი იარუსის ღრუბლებს.

თანამგზავრული სურათი N2; 12.02.2021 წელი, 07:00 UTC, 3.9 MicroMeter; წითელი ხაზებით ნაჩვენებია ნისლის კერები



რადგან 3,9 მკმ IR არხი ნისლებს და ფენა ღრუბელს (დაბალი იარუსის) უფრო ღია ფერში ანახებს, ვიდრე 10.8 მკმ IR არხი. აქედან გამომდინარე RGB (Red, Green, Blue) პროდუქტის შესაქმნელად ამ განსხვავებებს აღნიშნავენ (ჩვენს შემთხვევაში მწვანე) სხვა ფერად, რაც განასხვავებს სხვა ღრუბლებისგან და მიუთითებს ნისლის ან ფენა ღრუბლის არსებობას (თანამგზავრული სურათი N3).

თანამგზავრული სურათი N3; 12.02.2021 წელი, 02:00 UTC



დაკვირვების შედეგად მიჩნეულია, რომ 3,9 მკმ IR და 10.8 მკმ IR არხებზე მოწმენდილი ცის შემთხვევაში გრადაციული ფერების ვიზუალიზაცია ერთნაირია, ფრთა მაღალი (Cirrus Cloud) ღრუბლის შემთხვევაში 3,9 მკმ IR უფრო მუქ გრადაციულ ფერებში ახდენს ვიზუალიზაციას ვიდრე 10.8 მკმ. თანამგზავრული სურათი N3-ზე ნისლები/მიწისპირა ფენა ღრუბელი დატანილია ღია მწვანე ფერით იმ პრინციპის (განსხვავების) მიხედვით რაც ზემოთ მაქვს აღწერილი.

დღის საათებში ნისლებზე და დაბალი იარუსის ფენა ღრუბლებზე დაკვირვება ხორციელდება ხილულ სპექტრში (0.6 მკმ) დიაპაზონის ტალღების მეშვეობით. რადიომეტრულ ფოტოსურათებზე ნისლები (ან დაბალი იარუსის ფენა ღრუბლები) მიწის თოვლიანი საფარისგან განსხვავდებიან შედარებით უფრო (შავ-თეთრი გრადაციის) მუქი ფერით, ხოლო ღრუბლებისგან განსხვავებით, უფრო ერთგვაროვანი ნათელი შეფერილობის არიან, რაც განპირობებულია ნისლების მორფოლოგიით (მათი შიდა სტრუქტურიდან გამომდინარე, შედარებით პატარა ზომის წვეთებს, მათი მაღალი კონცენტრაციის გამო უფრო მეტი ალბედო გააჩნიათ და უფრო მეტად ერთგვაროვან გამოსახულებას ქმნიან (იხ. თანამგზავრული სურათი N4; 12.02.2021 წელი, 02:00 UTC).

თანამგზავრული სურათი N3; 12.02.2021 წელი, 07:00 UTC, 0.6 მკმ ხილული დიაპაზონი



სინოპტიკური სიტუაციის ანალიზი რადიომეტრულ (თანამგზავრულ) ინფორმაციაზე დაყრდნობით

ჩავატაროთ არსებული ფაქტიური მეტეოროლოგიური სიტუაციის ანალიზი თანამგზავრულ ფოტოებზე დაფუძნებითაც.

იხ. სატელიტური ფოტოები, თანამგზავრულ სურათებზე დაბალი იარუსის ფენა ღრუბელი და/ან ნისლი მოცემულია ღია მწვანე ფერით.

თანამგზავრული სურათი N4; 11.02.2021 წელი, 20:00 UTC



თანამგზავრული სურათი N5; 11.02.2021 წელი, 21:00 UTC



თანამგზავრული სურათი N6; 11.02.2021 წელი, 22:15 UTC



თანამგზავრული სურათი N7; 11.02.2021 წელი, 23:00 UTC



თანამგზავრული სურათი N8; 12.02.2021 წელი, 00:00 UTC



თანამგზავრული სურათი N9; 12.02.2021 წელი, 01:00 UTC



თანამგზავრული სურათი N10; 12.02.2021 წელი, 01:30 UTC



თანამგზავრული სურათი N11; 12.02.2021 წელი, 02:00 UTC



თანამგზავრული სურათი N12; 12.02.2021 წელი, 02:30 UTC



თანამგზავრული სურათი N13; 12.02.2021 წელი, 03:00 UTC



თანამგზავრული სურათი N14; 12.02.2021 წელი, 03:30 UTC



თანამგზავრული სურათი N15; 12.02.2021 წელი, 04:00 UTC



თანამგზავრული სურათი N16; 12.02.2021 წელი, 05:00 UTC



თანამგზავრული სურათი N17; 12.02.2021 წელი, 06:00 UTC



თანამგზავრული სურათი N18; 12.02.2021 წელი, 06:00 UTC, 0.6 MicroMeter;



თანამგზავრული სურათი N19; 12.02.2021 წელი, 07:00 UTC



თანამგზავრული სურათი N20; 12.02.2021 წელი, 07:00 UTC, 0.6 MicroMeter;



თანამგზავრული სურათი N21; 12.02.2021 წელი, 08:00 UTC



თანამგზავრული სურათი N22; 12.02.2021 წელი, 08:00 UTC, 0.6 MicroMeter;



მეტეოროლოგიური დანიშნულების თანამგზავრულ სურათებზე მოცემულია RGB პროდუქტი „ნისლის და დაბალი იარუსის ღრუბლების“ (FOG/Low Clouds) ამსახველი ინფორმაცია. „ნისლი/დაბალი ღრუბლები“ მოცემულია მწვანე ფერით, ასევე 0,6 მიკრომეტრის ხილული დიაპაზონის რადიომეტრული (თანამგზავრული) სურათები.

როგორც სატელიტური ფოტოებიდან ჩანს, 2021 წლის 11 თებერვლის დღის მეორე ნახევრიდან, კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კასპიის ზღვის აუზში და მის დასავლეთ სანაპირო ზოლში დაიკვირვება ანტიციკლონის სამხრეთ პერიფერიული ბარიული ველი. კასპიის ზღვაზე გადაადგილებისას ხდება ჰაერის ანტიციკლონური ჰაერის მასის დამატებითი დატენიანება და ასევე სამხრეთიდან ამოსული შედარებით თბილი და ტენიანი ჰაერის მასა იწვევს არსებულ ჰაერის მასაში აბსოლუტური ტენიანობის გაზრდას. წარმოიქმნება დაბალი იარუსის ფენა ღრუბლები, ნისლი ამ პერიოდისთვის ბაქოს საერთაშორისო აეროპორტის ფაქტიურ ამინდებში-METAR-ებში არ დაიკვირვება.

ბაქოს საერთაშორისო აეროპორტი განლაგებულია კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპირო ზოლთან ახლოს. ამ პერიოდში უბერავს აღმოსავლეთის მიმართულების ქარი. არსებული ჰაერის მასა კასპიის ზღვიდან იწყებს შავი ზღვის მიმართულებით გადაადგილებას, სატელიტურ სურათებზე (სატელიტური სურათები N4,5,6,7,8,9,10,11 - მწვანე ფერით აღნიშნულია ნისლი/დაბალი ღრუბელი) ცალსახად იკვეთება, რომ დაბალი იარუსის ღრუბლების გადაადგილება ბაქოს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ხდება. ტენიანი ჰაერის მასის ადვექცია განჯის აეროპორტში ***(11 თებერვლის 19:30 UTC-დან 22:00 UTC-მდე დაიკვირვება ნისლი - თანამგზავრული სურათები - N4,5,6 - თბილისის, განჯის, ბაქოს აეროპორტი დატანილია თანამგზავრულ სურათებზე წერტილების სახით)*** ნისლის ჩამოყალიბებას იწვევს. მიუხედავად ნისლის ადვექციური ხასიათისა, განჯის საერთაშორისო აეროპორტში ნისლის ჩამოყალიბების დომინანტური ფაქტორი რადიაციული ფაქტორია. ამ ტერიტორიაზე ნისლის ჩამოყალიბების საქმეში გასათვალისწინებელია ორი ფაქტორი:

1. ამ ადგილის ოროგრაფიული თავისებურებების გამო, ადგილი ჰქონდა ადვექციური ჰაერის მასის იძულებით კონვექციას. განჯის აეროპორტი საშუალო ზღვის დონიდან შედარებით მაღლა მდებარეობს და იძულებითი კონვექციის შესაბამისად ტემპერატურამ განიცადა ვარდნა, რამაც უზრუნველყო ნამის წერტილის დეპრესიის შემცირება და ფარდობითი ტენიანობის გაზრდა.
2. რადიაციული ფაქტორი - მზის ჩასვლის შემდგომ მოხდა ტემპერატურის დამატებითი ვარდნა, რამაც გამოიწვია ჰაერის მასაში ნამის წერტილის დეპრესიის მინიმუმამდე დაყვანა, უზრუნველყო ნამის წერტილის დეპრესიის შემცირება, ფარდობითი ტენიანობის გაზრდა და ნისლის ჩამოყალიბება.

ამ ორი ფაქტორის ზეგავლენით განჯის საერთაშორისო აეროპორტში ***(11 თებერვლის 19:30 UTC-დან 22:00 UTC-მდე)*** დაიკვირვებოდა ნისლი. დიდი ალბათობით, განჯის საერთაშორისო აეროპორტის მიწისპირა ფენაში ადგილი ჰქონდა ტემპერატურულ ინვერსიასაც, რამაც შემაკავებელი გავლენა იქონია ატმოსფეროს ქვედა გაჯერებული ფენის აღრევისგან ზედა ფენაში, რასაც შეეძლო ნამის წერტილის დეპრესიის მნიშვნელობის გაზრდა (ფარდობითი ტენიანობის შემცირება) და ნისლის გაფანტვა.

11 თებერვლის 23:00 UTC–დან ***(თანამგზავრული სურათი N7)*** ადვექციური ნისლი გადაადგილდება საქართველოს ტერიტორიაზეც და აღწევს თბილისის საერთაშორისო აეროპორტს ***(იხ. თანამგზავრული სურათები N11,12,13,14,15,16,17 - თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნისლი დაიკვირვება 12 თებერვლის 02:00 UTC--დან 06:30 UTC-მდე).*** თანამგზავრული სურათებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ერთი შეხედვით ნისლი თითქოსდა ადვექციური ხასიათისაა. ფაქტობრივად, ნისლის ჩამოყალიბების საქმეში მონაწილეობდა როგორც ადვექციური, ასევე რადიაციული ფაქტორი. ნისლის ჩამოყალიბებისთვის პირველადი ფაქტორი იყო ადვექცია, ხოლო დომინანტურს წარმოადგენდა რადიაციული ფაქტორი. დიდი ალბათობით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნისლის არსებობის პერიოდში ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში

დაიკვირვებოდა ტემპერატურული ინვერსია, რამაც ხელი შეუშალა ატმოსფეროს დაბალი, გაჯერებული ფენის მაღალ ფენებში აღრევის გზით ტენიანობის შემცირებას და ნისლის გაფანტვას. 07:00 UTC-დან მზის ჰორიზონტზე ამოსვლის შემდგომ და დედამიწის მიერ მიღებული (პირდაპირი და ირიბი) რადიაციის შედეგად დამთბარი ჰაერის მასა იწყებს კონვექციას, იცვლება ატმოსფეროს (მიწისპირა ფენის) ვერტიკალური პროფილი, ქრება ინვერსიული ფენა და ნისლიც იფანტება (07:00 UTC-ზე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაიკვირვება ბურუსი, ხილვადობა შეადგენს 2000 მეტრს, თანამგზავრული სურათი N19, N20; 09:00 UTC დროისთვის ხილვადობა 10კმ-ზე მეტია, ხოლო ღრუბლის ფუძის სიმაღლე 7100 ფუტზე მაღალია[13]).

ზოგადად პრაქტიკაში სინოპტიკური ანალიზის ჩატარებისას, ნისლების პროგნოზირებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განისაზღვროს, ნისლის წარმოქმნისას რომელი ფაქტორი არის პირველადი და რომელი დომინანტური (ნისლის გამომწვევი შესაძლებელია ერთდროულად ორივე ფაქტორი იყოს, როგორც განხილულ შემთხვევაში), რადგან მოვახდინოთ ნისლიანი პერიოდის ხანგრძლივობის ზუსტი პროგნოზირება, რაც მნიშვნელოვანია სააეროდრომო პროგნოზების შედგენისა (TAF) და ფრენების უსაფრთხოების საკითხში. მიზანშეწონილია, რომ სინოპტიკური ანალიზის ჟურნალში (თუ იგი იწარმოება) მითითებული იყოს აღნიშნული ფაქტორი - „ნისლის გამომწვევი პირველადი და დომინანტი ფაქტორები“.

[13] CAVOK-ის პირობები თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტისთვის, როცა ჰორიზონტალური ხილვადობა 10კმ-ზე მეტია, ღრუბლის ფუძის სიმაღლე 7100 ფუტზე მაღალია და აეროდრომის ზონაში არ დაიკვირვება ავიაციისთვის მნიშვნელოვანი ამინდის მოვლენა, მაშინ რეგულარულ შეტყობინებებში ჰორიზონტალური ხილვადობისა და ღრუბლის აბსოლუტური მნიშვნელობის მაგივრად მიეთითება - “CAVOK” - იხ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის METAR-ი .

ნისლების პროგნოზირება UPS მეთოდის (ტექნიკის) გამოყენებით

ნისლების პროგნოზირებისას ფართოდ გამოიყენება UPS (United Parcel Service - UPS Airlines) ტექნიკა, რომელიც თავისთავში აერთიანებს გარდამავალი (Crossover) ტემპერატურისა და მოდიფიცირებული რიჩარდსონის რიცხვის გამოთვლას. გარდამავალი ტემპერატურის გამოთვლის შედეგად შესაძლებელია განვსაზღვროთ მიწისპირა ფენაში საშუალო ტენიანობის დონე. გარდამავალი ტემპერატურის გამოსათვლელად აუცილებელია განვსაზღვროთ დღის ყველაზე მაღალი ტემპერატურის დროს ნამის წერტილის ტემპერატურა, სწორედ ეს ნამის წერტილის ტემპერატურა მოიხსენიება როგორც გარდამავალი (Crossover) ტემპერატურა. ამ მეთოდის იდეა ის არის, რომ დღის ყველაზე მაღალი ტემპერატურის დროს მიჩნეულია, რომ ლოკალური კონვექციური პროცესების შედეგად მიწისპირა ფენა საკმაოდ აღრეულია და გარდამავალი ტემპერატურა რეპრეზენტატული იქნება ატმოსფეროს მთლიანი მიწისპირა ფენისთვის. UPS ტექნიკა გამოიყენება რადიაციული ნისლის პროგნოზირებისას, რადგან მიწისპირა ფენაში ტენის ადვექციამ შესაძლებელია ატმოსფეროს ვერტიკალური პროფილის რადიკალური ცვლილება გამოიწვიოს, რაც გამოიწვევს გარდამავალი ტემპერატურის აბსოლუტური მნიშვნელობის გაზრდას და ნისლის ჩამოყალიბების პროცესს უფრო მეტად ინტენსიურს გახდის. ნისლის წარმოქმნის ალბათობის განსაზღვრისთვის ხდება ღამის განმავლობაში პროგნოზირებული მინიმალური ტემპერატურის შედარება გარდამავალ ტემპერატურასთან. თუ ღამის განმავლობაში პროგნოზირებული მინიმალური ტემპერატურა ტოლი იქნება გარდამავალი ტემპერატურისა,

$$Ta = Txover, \qquad (2)$$

სადაც,

Ta - ჰაერის მინიმალური პროგნოზირებული ტემპერატურა;

Txover - გარდამავალი ტემპერატურა;

მაშინ მოსალოდნელია, რომ პროგნოზირებული ჰორიზონტალური ხილვადობა იქნება 1600მ-4800მ (1-3 მილს) შუალედის დიაპაზონში, ხოლო თუ

პროგნოზირებული მინიმალური ტემპერატურა გარდამავალ ტემპერატურაზე (3^0F-ით) დაახლოებით 1.1^0C-ით ნაკლები ან ტოლი იქნება,

$Ta \leq Txover-3^0F$[14] (3)

სადაც,

Ta - ჰაერის მინიმალური პროგნოზირებული ტემპერატურა;

Txover - გარდამავალი ტემპერატურა;

მაშინ დიდი ალბათობით მოსალოდნელია ნისლის ჩამოყალიბება და პროგნოზირებული ხილვადობა 800 მეტრის (1/2 მილს) ან უფრო ნაკლებ მნიშვნელობის იქნება.

მიუხედავად ნისლის ჩამოყალიბებისთვის ხელსაყრელი სიტუაციისა, ნისლის ჩამოყალიბებას ხშირად ხელს უშლის სიმაღლის ზრდასთან ერთად ტენიანობის შემცირება ანუ ტენიანობის ვერტიკალური გრადიენტი (Hydrolapse). სტანდარტულად, ტენიანობა (წყლის ორთქლის შემცველობა) სიმაღლის ზრდასთან ერთად მცირდება. დღის ყველაზე ცხელ პერიოდში ჰაერის მიწისპირა ფენაში (PBL) იწყება აღრევა და ხდება ტენის (წყლის ორთქლის) ატანა ზედა სიმაღლეებზე. სწორედ ამ ფაქტორის გამო დღის ყველაზე ცხელ პერიოდში ნამის წერტილი იწყებს დაცემას და აღწევს თავის მინიმუმს. დღის ყველაზე ცხელი პერიოდის განმავლობაში ნამის წერტილის დაცემა ცალსახად მოუთითებს ატმოსფეროს სტანდარტულ მდგომარეობაზე, ანუ სიმაღლის მატებასთან ერთად ტენშემცველობის შემცირებაზე, რაც ნაკლები რისკია საღამოს საათებში (მიწის გადაციების შემდგომ) ნისლის წარმოქმნისა. თუ დღის ყველაზე ცხელი პერიოდის განმავლობაში ნამის წერტილი არ იცვლება ან იწყებს ზრდას, ეს ფაქტორი მიუთითებს, რომ სიმაღლის ზრდასთან ერთად ტენიანობა არ იცვლება, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობას, დედამიწის გადაციების შემდგომ ნისლი სწრაფად წარმოიქმნას. ზოგადად მიღებულია, რომ მიწის პირიდან ნისლის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 500 - 600 ფუტს. გარდამავალი ტემპერატურის მეთოდით შესაძლებელია მიწის პირიდან 100/200 ფუტამდე ტენშემცველობის ვერტიკალური პროფილის განსაზღვრა. ზოგადად მიჩნეულია, რომ მიწის პირიდან 100/200 ფუტი,

[14] 3^0F-ით ცვლილება დაახლოებით 1.1^0C-ით ცვლილების ტოლია;

ეს ის სიმაღლეა სადაც იწყება (კონდენსაციის შედეგად) ნისლის წარმოქმნა, შემდგომ მისი გავრცელება და გაღრმავება (როგორც წინა თავებში განვიხილეთ).

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნისლიანი პერიოდის წინა დღისთვის (2021 წლის 11 თებერვალი), მაქსიმალური ტემპერატურა 20^{0}C-ი 12:30 UTC დროზე დაიკვირვებოდა (ადგილობრივი დროით 16:30), ამ პერიოდში ნამის წერტილი შეადგენდა -2^{0}C (ნამის წერტილი ამ პერიოდში მერყეობდა -0^{0}C-დან -2^{0}C-მდე). გარდამავალი ტემპერატურა შეადგენდა -2^{0}C-ს.

METAR UGTB 111100Z 31021KT CAVOK 20/M00 Q1015 NOSIG=
METAR UGTB 111130Z 32019KT CAVOK 20/M01 Q1015 NOSIG=
METAR UGTB 111200Z 33019KT CAVOK 20/M02 Q1015 NOSIG=
METAR UGTB 111230Z 32018KT CAVOK 20/M02 Q1015 NOSIG=

როგორც ჩანს ამ პერიოდისთვის მიწისპირა ჰაერის მასა საკმაოდ გამომშრალია, რადგან მუდმივი ტემპერატურის დროს ადგილი ჰქონდა ნამის წერტილის დაცემას, რაც ტენის კონვექციაზე მიუთითებს. ფარდობითი ტენიანობა შეადგენდა 23%[15]. საეროდრომო პროგნოზში[16] (11 თებერვლის 23:00 UTC დროზე გამოცემული) პროგნოზირებული მინიმალური ტემპერატურა მითითებული იყო 5^{0}C (რაც ძალიან ახლოსაა ნისლიანი პერიოდის ფაქტობრივ ჰაერის ტემპერატურასთან).

TAF UGTB 112300Z 1200/1224 31007KT CAVOK TX19/1213Z TN05/1203Z BECMG 1222/1224 32020KT=
TAF AMD UGTB 120130Z 1201/1224 31007KT 3000 BR FEW003 TX19/1213Z TN05/1203Z TEMPO 1201/1204 0300 FG BECMG 1204/1205 CAVOK BECMG 1222/1224 32020KT=
TAF AMD UGTB 120140Z 1201/1224 14007KT 3000 BR FEW003 TX19/1213Z TN02/1203Z TEMPO 1201/1204 0300 FG BECMG 1204/1205 CAVOK BECMG 1222/1224 32020KT=
TAF AMD UGTB 120240Z 1202/1224 VRB02KT 0250 FG VV001 TX19/1213Z TN03/1203Z BECMG 1205/1208 CAVOK BECMG 1222/1224 32020KT=

არსებული ფორმულის მიხედვით რადიაციული ნისლის ჩამოსაყალიბებლად უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი პირობა, Ta-1.1^{0}C<=Txover; ცვლადების ჩასმით ამ ფორმულაში მივიღებთ, რომ 5^{0}C-1.1^{0}C=3.9^{0}C. 3.9^{0}C მეტია და არა ნაკლები ან ტოლი -

[15] ფარდობით ტენიანობის გამოთვლის მიზნით გამოვიყენე შემდეგი წყარო - HUMIDITY CONVERSION FORMULAS, Calculation formulas of humidity, p. 16, Vaisala 2013.
[16] TAF - საეროდრომო პროგნოზის შექმნის დროა 11 თებერვლის 23:00 UTC საათი (ადგილობრივი დროით 03:00), მოქმედების პერიოდია 12 თებერვლის 00:00 UTC საათიდან 12 თებერვლის 24:00 UTC საათამდე, პროგნოზის მოქმედების ვადაა 24 საათის პერიოდი.

2^{0}C-ზე (გარდამავალ ტემპერატურაზე). რაც ნიშნავს, რომ რადიაციული ნისლის ჩამოყალიბების წინაპირობა არ არსებობდა (საეროდრომო პროგნოზის შედგენისას არ იქნა გათვალისწინებული ზემოთ აღწერილი ადვექციური პროცესი). ნისლიანი ამინდების წინარე პერიოდში 11 თებერვლის 23:00 საათზე (ნისლიანი ამინდები დაიკვირვებოდა 12 თებერვლის 02:00 UTC დროიდან) მიწისპირა ჰაერის ტემპერატურა შეადგენდა 7^{0}C-ს, ნამის წერტილი -1^{0}C-ს, ხოლო გამოთვლილი ფარდობითი ტენიანობა შეადგენდა 57%-ს. წინარე ნისლის პერიოდში ჰაერი საკმაოდ გამომშრალია. 12 თებერვლის ნისლიანი ამინდების წინარე პერიოდში ჰაერის ფაქტიური ტემპერატურა მერყეობდა 3^{0}C-დან 4^{0}C-მდე, რაც ძალიან ახლოსაა პროგნოზირებულ მინიმალურ ტემპერატურასთან. UPS ტექნიკის შემავალი პარამეტრის - გარდამავალი ტემპერატურის ფაქტორის გათვალისწინებით არავითარი წინაპირობა არ არსებობდა რადიაციული ნისლის ჩამოსაყალიბებლად.

კასპიის ზღვის აკვატორიიდან მიწისპირა ანტიციკლონის ბარიული ველის შედეგად წარმოქმნილი ჰაერის მასების დასავლეთის მიმართულებით მოძრაობამ გამოიწვია მიწისპირა ფენაში ტენის ადვექცია და შექმნა წინაპირობა ნისლის ჩამოსაყალიბებლად[17].

METAR UGTB 120200Z 03003KT 0200 0150NW R31/0250N FG VV002 03/03 Q1018 NOSIG=
METAR UGTB 120230Z 05004KT 0200 R31/0225N FG VV001 03/03 Q1018 NOSIG=
METAR UGTB 120300Z 05003KT 0200 R31/0250N -DZ FG VV001 03/03 Q1018 NOSIG=
METAR UGTB 120330Z 05003KT 0250 R31/0275N -DZ FG VV001 03/03 Q1018 R31L/////// NOSIG=
METAR UGTB 120400Z 04003KT 350V090 0250 R31/0300N FG VV001 04/03 Q1018 R31L/19//60 BECMG 0500=
METAR UGTB 120430Z 07003KT 030V100 0300 0250NW R31/0375 FG VV002 04/03 Q1018 R31L/19//60 BECMG 0500=
METAR UGTB 120500Z 05003KT 0300 R31/0400N FG VV002 03/03 Q1018 R31L/19//60 BECMG 0500=
METAR UGTB 120530Z VRB01KT 0250 R31/0300 FG VV002 04/03 Q1017 R31L/19//60 BECMG 0500=
METAR UGTB 120600Z 18003KT 120V240 0350 R31/0350V0600N FG VV002 04/04 Q1017 BECMG 1000 BR=
METAR UGTB 120630Z VRB02KT 0400 0350NW R31/0450N FG FEW001 OVC004 04/04 Q1017 R31L/19//60 BECMG 1000 BR=

UPS მეთოდის (ტექნიკის) გამოყენებით რადიაციული ნისლების პროგნოზირების მეორე ფაქტორია მოდიფიცირებული რიჩარდსონის რიცხვის (MRi)

[17] რასაც მოყვა ცვლაში მომუშავე სინოპტიკოსის რეაგირება. შექმნილი და გავრცელებულ იყო სამი დამატებითი საეროდრომო პროგნოზი (TAF) შესაბამისი სემანტიკური ცვლილებებით (120130Z, 120140Z, 120240Z პერიოდებით), სადაც პროგნოზირებული მინიმალური ტემპერატურა მითითებული იყო 2^{0}C ან 3^{0}C .

გამოთვლა, რომელიც მიწისპირა ფენის ტურბულენტობის პროგნოზირებისთვის გამოიყენება.

ორივე ინდექსი გამოიყენება ერთდროულად, რადგან პირველი (T_{xover}) გვაწვდის გადაციების შედეგად გაჯერებისთვის აუცილებელ ჰაერის ტემპერატურას, ხოლო მეორე (MRi) - ინფორმაციას მიწისპირა ფენის ტურბულენტური მდგომარეობის შესახებ, რომელიც შექმნის ხელსაყრელ პირობას ნისლის ჩამოსაყალიბებლად.

ზოგადად მიწისპირა ქარი და მიწისპირა ფენაში ტურბულენტური აღრევა, ხელს უშლის მიწასთან ახლოს არსებულ ჰაერის გადაცივებას, ახდენს ტენიანობის შედარებით ზედა სიმაღლეებზე ატანას და არ ქმნის ნისლის ჩამოყალიბების ხელსაყრელ წინაპირობას. თუ მიწისპირა ფენაში ადგილი აქვს ძლიერ ტურბულენტურ აღრევას, ასეთი მეტეოროლოგიური სიტუაცია მიდრეკილია ფენა ღრუბლის ჩამოყალიბებისკენ. მოდიფიცირებული რიჩარდსონის რიცხვი ადგენს ტურბულენტობის წარმომქმნელ ძალასა და ტურბულენტობის შემაკავებელ ძალას შორის ბალანს.

განვიხილოთ როგორ გამოითვლება მოდიფიცირებული რიჩარდსონის რიცხვი.

$$MRI = \frac{T_b - T_{sfc}}{U^2} \qquad (4)$$

მე-3 ფორმულაში შემავალი ცვლადები აიღება ოპერატიული პროგნოსტიკული ხასიათის მოდელებიდან (FOUS60/ETA ან FOUS60/NGM) - რომელსაც ქმნის აშშ-ის გარემოს პროგნოზირების ნაციონალური ცენტრი (United States National Centers for Environmental Prediction - NCEP). ნიმუში იხ. ქვემოთ.

FOUS60 Output from NGM for 1200 UTC 13 June 2001

TTPTTR1R2R3	VVVLI	PSDDFF	HHT1T3T5
ALB//755013	-0403	181305	58181304
06000603531	-0202	181206	58201505
12000433225	00002	171304	60231706
18000552530	-0305	201302	61201605
24000722731	-0806	211203	60191605

- T_b - პროგნოზირებული მიწისპირა ჰაერის მასის ტემპერატურა - ^{0}C. (ამ მნიშვნელობას იღებენ FOUS60/ETA ან FOUS60/NGM მოდელებიდან და შეესაბამება T1 და T3 ცვლადების იმ მნიშვნელობას რომელიც უფრო მაღალ ტემპერატურას უჩვენებს);
- T_{sfc} – ჰაერის (ე.წ. შელტერის) პროგნოზირებული ტემპერატურა - ^{0}C-ში;
- U - მიწისპირა ფენაში ქარის სიჩქარე კვანძებში (ამ მნიშვნელობას იღებენ FOUS60/ETA ან NGM შეტყობინებიდან და შეესაბამება FF ცვლადს)

გამოთვლილი მოდიფიცირებული რიჩარდსონის რიცხვი (ინდექსი) მიწისპირა ტურბულენტობის მაჩვენებლის გათვალისწინებით მიუთითებს ნისლის წარმოქმნის ალბათობებს.

MRI <= 0.0250 - “MIXY” - მიწისპირა ფენა, ტურბულენტური პროცესების შედეგად საკმაოდ აღრეულია და ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებია დაბალი სიმაღლის ფენა ღრუბლების განსავითარებლად, თუ მიიღწევა გაჯერების დონე ან არსებული ნისლი „აწევის“ შედეგად გარდაიქმნება ფენა ღრუბლად.

0.025 <MRI< 0.040 - „MARGINAL“ - ამ მეტეოროლოგიურ პირობებში ნისლების ან დაბალი სიმაღლის ფენა ღრუბლების განვითარების ალბათობა თითქმის არ არსებობს.

MRI => 0.040 – „DECOUPLED“ – დაბალი სიმაღლის ქარები გამიჯნულია (ინვერსიული შემკავებელი შრით, ეს საკითხი აღწერილი გვაქვს ზედა თავებში თერმოდინამიკური დიაგრამის ნიმუშებზე დაყრდნობით) ზედა იარუსის ქარებისგან. არ ხდება მიწისპირა ჰაერის ფენის აღრევა, შესაბამისად კარგი პირობებია (200 ფუტამდე) ჰაერის გადაციებისთვის, რაც ხელსაყრელი პირობაა ნისლის ჩამოსაყალიბებლად. ფენა ღრუბლების არსებობის შემთხვევაში იქმნება ხელსაყრელი პირობა ნისლად გარდაქმნისთვის.

ამგვარად, მოდიფიცირებული რიჩარდსონის რიცხვი მიუთითებს ნისლების ჩამოყალიბების და ნისლის არსებობის შემთხვევაში მათი „აწევის“ შედეგად ფენა ღრუბლებად გარდაქმნის ალბათობებს.

გამომდინარე იქიდან, რომ არსებული პროგნოსტიკული შეტყობინებები (FOUS60/ETA ან FOUS60/NGM) ჩვენი რეგიონისთვის არ გამოიცემა, არსებული ფორმულის (4) სტანდარტული სახით გამოყენება აზრს მოკლებულია.

დონგი ლინი სხვა ავტორებთან ერთად გვთავაზობს გამოყენებულ იქნას განსხვავებული მეთოდი. კერძოდ, მიწის პირიდან 1,25 მეტრ სიმაღლემდე განვსაზღვროთ ატმოსფეროს ტურბულენტური მდგომარეობა, უფრო ზუსტად კი მე-4 ფორმულის მიხედვით შესაძლებელია განვსაზღვროთ მიწის პირიდან 1,25 მეტრ სიმაღლემდე ატმოსფერო დინამიკურად მდგრადია თუ დაიკვირვება ტურბულენტური არამდგრადობა[18]. დონგი ლინი სხვა ავტორებთან ერთად გვთავაზობს აღნიშნული მეთოდი გამოყენებულ იქნეს ნისლების კლასიფიკაციისთვისაც. იგი გვთავაზობს მოდიფიცირებული რიჩარდსონის რიცხვის გამოსათვლელად გამოყენებულ იქნას მე-5 ფორმულა.

$$MRI = \frac{T_{air} - T_{sfc}}{U^2} \qquad (5)$$

სადაც,

T_{sfc} –მიწისპირა გრუნტის ფაქტიური ტემპერატურა - (^{0}C);

T_b - მეტეოსადგურზე (1,25 მეტრ სიმაღლეზე განთავსებული) ფაქტიური ჰაერის ტემპერატურა -(^{0}C);

U - ქარის სიჩქარე 10 მეტრ სიმაღლეზე - (მ/წმ);

ამისათვის იგი იღებს გრუნტის ტემპერატურის (^{0}C), ჰაერის მასის (სტანდარტულად მიწის პირიდან 1,25 მეტრ სიმაღლეზე განთავსებულს) ფაქტობრივ ტემპერატურას (^{0}C) და 10 მეტრის სიმაღლეზე (სტანდარტული ქარის ანძის სიმაღლე) არსებულ ქარის სიჩქარეს (მ/წმ). აღნიშნული მეთოდით ავტორის მიერ მოდიფიცირებული რიჩარდსონის რიცხვის გამოთვლა ჩატარდა, როგორც ნისლიანი პერიოდის დროს, ასევე წინარე ნისლების დადგომამდე. ნისლის წინა პერიოდში გამოთვლილი მოდიფიცირებული რიჩარდსონის რიცხვი გვაწვდის ინფორმაციას იმ

[18] Fog type classification using a modified Richardson number for Christchurch, New Zealand, Authors: Dongqi Lin, Marwan Katurji, Laura E. Revell, Basit Khan, Neal Osborne, Iman Soltanzadeh, Stefanie Kremser;

მეტეოროლოგიურ პირობებზე (ტურბულენტურ მდგრადობაზე), რომელიც ხელს უწყობს ნისლის ჩამოყალიბებას. იგი ამ მეთოდს იყენებს ასევე ნისლების კლასიფიკაციისთვის (იხ. დიაგრამა N1 და ცხრილი N2) ცხრილ N2-ში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით.

ცხრილი N2, ნისლების კლასიფიკაცია

MRI_{fog}	MRI_{prefog}			
	<0	0-0.5	0.5-1	>1
<0	ADV	ADV	ADV	Unknown
0-0.5	ADV	ADV	ADV	RAD
0.5-1	ADV-RAD	ADV-RAD	ADV-RAD	RAD
>1	ADV-RAD	ADV-RAD	RAD	RAD

დიაგრამა N1, ნისლების კლასიფიკაციის ალგორითმი



- რადიაციული ნისლი (RAD)
- ადვექციური ნისლი (ADV)
- ნისლი ნალექების შემდგომ (PCP
- ფენა ღრუბლის დაწევით ჩამოყალიბებული ნისლი (CBL)
- დილას, აორთქლების შედეგად ჩამოყალიბებული ნისლი (EVP)

- „აორთქლების შედეგად ნისლი“ (EVP კლასიფიკაციის ნისლი) ყალიბდება მზის ამოსვლიდან ერთი საათის პერიოდში, როცა სველი გრუნტიდან წყლის აორთქლების შედეგად ადგილი აქვს მიწისპირა ჰაერის მასის გაჯერებას და ამ პერიოდში $MRI_{fog}<0$ ($T_{sfc}> T_{air}$) ანუ გრუნტის ტემპერატურა მეტია ჰაერის ტემპერატურაზე და ქარები არ დაიკვირვება (უქარო ამინდია).
- კვლევების და დაკვირვებების შედეგად განსაზღვრულია, რომ ფენა ღრუბლის დაწევის შედეგად ნისლის ჩამოყალიბება („ფენა ღრუბლის დაწევით ჩამოყალიბებული ნისლი“ - CBL) იწყება 3 საათით ადრე იმ პირობით, რომ წინასწარ ფენა ღრუბლის სიმაღლე შეადგენდეს 1500 მეტრზე ნაკლებს.
- ადვექციური და რადიაციული ნისლების კლასიფიკაციის კრიტერიუმები (MRI_{prefog}, MRI_{fog} ინდექსები) განსაზღვრულია ცხრილ N2-ში.

აღსანიშნავია, რომ ცხრილი N2 კრიტერიუმების ჩამოსაყალიბებლად მკვლევარებმა (დონგი ლინი სხვა მკვლევარებთან ერთად) გაანალიზეს 200-ზე მეტი ნისლიანი პერიოდის შემთხვევები.

ჩავატაროთ სინოპტიკური ხასიათის ანალიზი ცხრილი N2-ის კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

1. MRI>1 - მეოთხე ფორმულის შესაბამისად ჰაერის ტემპერატურა საკმაოდ მაღალია გრუნტის ტემპერატურაზე ($T_{air}>T_{sfc}$), მიწისპირა ქარი ან სუსტია ან საერთოდ არ დაიკვირვება. ამ დროს მიწისპირა ატმოსფერო მდგრადია, უქარო (სუსტი ქარის) ამინდით. რადგან მიწასთან ახლოს მდებარე ჰაერის მასის გადაციების შედეგად, მისი ტემპერატურა ეცემა, ყალიბდება ინვერსიული ფონი, (ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტი უარყოფითია, ანუ იზრდება სიმაღლის მატებასთან ერთად). ამ დროს ხდება ტურბულენტური აღრევის შეკავება, რაც ქმნის წინაპირობას რადიაციული ნისლის ჩამოსაყალიბებლად.
2. 0.5<MRI<1 – ამ ზღვრული კრიტერიუმით განისაზღვრება ატმოსფეროს საშუალო მდგრადობა, ხოლო 0<MRI<0.5 შემთხვევაში მიწისპირა ატმოსფერო ნეიტრალურია და/ან დაიკვირვება სუსტი ინვერსიული ფონი. $T_{air}>T_{sfc}$, დაიკვირვება სუსტი ინვერსიული ფონი და წინა შემთხვევასთან

შედარებით ძლიერი ქარები. არ ხდება ტურბულენტური აღრევის შეკავება. რაც რადიაციული ნისლების ჩამოყალიბების ხელსაყრელ პირობას არ წარმოადგენს.

3. MRI<0, უარყოფითი MRI მიუთითებს არამდგრად მეტეოროლოგიური პირობებზე, როცა გრუნტის ტემპერატურა უფრო მაღალია ვიდრე მის ზემოთ არსებული ჰაერის მასა, ადგილი არ აქვს მიწისპირა ჰაერის მასის გადაციებას და რადიაციული ნისლის ჩამოყალიბების წინაპირობა არ არსებობს.

ცხრილი N2-ის მიხედვით, რადიაციული ნისლი ხშირ შემთხვევაში ყალიბდება იმ დროს, როცა $MRI_{prefog}>1$, ხოლო $MRI_{fog}>0$. არსებული ორი კრიტერიუმი მიუთითებს, რომ ნისლის ჩამოყალიბებამდე განვითარდება და შენარჩუნდება ძლიერი ინვერსიული ფონი. ზოგადად რადიაციული ნისლი ხასიათდება წინარე მეტეოროლოგიური პირობებით - მდგრადი მიწისპირა ფენა, დაიკვირვება უქარო ან სუსტი ქარი და ინვერსიული შრე ($T_{srf}>T_{air}$). ყველა ეს ფაქტორი ხელს უწყობს რადიაცული გადაციების შედეგად მიწისპირა ფენაში ნისლების ჩამოყალიბებას.

თუ რადიაციული ნისლის ჩამოყალიბება/განვითარება იწყება ადრეული ღამით, მაშინ სამი საათით ადრე ნისლის დადგომამდე, ნისლისთვის დამახასიათებელი თანმდევი ინვერსიული შრე შესაძლებელია არ იყოს კარგად განვითარებული ($0.5<MRI_{prefog}<1$), მაგრამ ძლიერი ინვერსიული ფენა შესაძლებელია განვითარდეს ნისლიანი ამინდის დროს ($MRI_{fog}>1$). ამ პერიოდში სუსტი ქარების წყალობით ტურბულენტურ აღრევას არა აქვს ადგილი. ასეთ სინოპტიკურ სიტუაციაში ნისლის ჩამოყალიბებას განაპირობებს ჰაერის რადიაციული გადაციება და ინვერსიული შრის არსებობა. ამ შემთხვევაში ასეთი ნისლი კლასიფიცირდება როგორც RAD (ცხრილი N2).

წინარე ნისლის პერიოდში როცა არ პროგნოზირდება (ან არ დაიკვირვება) რადიაციული გადაციების ფაქტორის ალბათობა ($T_{xover} < T_{air}$; $MRI_{fog} < 0$) და ნისლი იწყებს ფორმირებას, ადვექცია განიხილება, როგორც პირველადი ფაქტორი ნისლის ჩამოყალიბებისას. ჰაერთა მასების აეროპორტის მიმართულებით ადვექციისას შესაძლებელია მოხდეს როგორც ჩამოყალიბებული ნისლის ადვექცია - შემოტანა

აეროპორტის ზონაში (მის შემოგარენში), ასევე შედარებით თბილი ტენიანი ჰაერის მასის ადვექცია ცივ გრუნტზე, რაც საბოლოო ჯამში რადიაციული გადაციების შემდგომ წარმოქმნის ნისლს. ბოლო შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ნისლის ჩამოყალიბების პირველადი ფაქტორი ადვექციაა, ხოლო დომინანტი ფაქტორს წარმოადგენს რადიაციული გადაციება. რადიაციული გადაციება შეიძლება წარმოიქმნას, როგორც დღე-ღამური რეჟიმით და/ან იძულებითი კონვექციის გზით - ადგილობრივი ოროგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, თბილი ჰაერის მასების მოძრაობით შედარებით ცივ ზედაპირზე, რასაც ადგილი ჰქონდა 2021 წლის 12 თებერვალს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ნისლის გაფანტვა მოხდა მიწის გათბობისთანავე.

ადვექციური ნისლის დროს მდგრადი ატმოსფეროს შეიძლება არ დაიკვირვებოდეს როგორც წინარე ნისლის (PREFOG), ასევე ნისლის (FOG) პერიოდებში. რადგან რიჩარდსონის მოდიფიცირებული რიცხვი მიუთითებს ატმოსფეროს მიწისპირა ფენის ზოგად მდგრადობას, ადვექციური ნისლის წინარე პერიოდებში დაკმაყოფილდება შემდეგი უტოლობა $MRI_{prefog}<1$. მე-5 ფორმულაში ამ უტოლობის დასაკმაყოფილებლად ან შედარებით ძლიერი ქარი დაიკვირვება (მნიშვნელი) და/ან გრუნტის ტემპერატურა მეტია ან ტოლია ადვექციური ჰაერის ტემპერატურაზე ($T_{air} <= T_{sfc}$), ან T_{dif} ($T_{dif} = T_{air} - T_{sfc}$) - განსხვავება მიწის და ადვექციური ჰაერის მასის ტემპერატურებს შორის უმნიშვნელოა (მე-5 ფორმულაში შემავალი მრიცხველი). ნისლის ჩამოყალიბების პერიოდში თუ დომინანტურ ფაქტორად რჩება ადვექცია, მაშინ კმაყოფილდება მოდიფიცირებული რიჩარდსონის რიცხვის შემდეგი უტოლობა $MRI_{fog}<0$ ან $MRI_{fog}<0.5$, რაც მიუთითებს მიწისპირა ატმოსფეროს არამდგრად მდგომარეობაზე, დიდი ალბათობით არ არსებობს ინვერსიული ფონი და ამ დროს ადვექცირებული (შემოსული) ჰაერის მასის ტემპერატურა უფრო დაბალია ვიდრე მიწის ტემპერატურა ($T_{air} < T_{sfc}$).

ადვექციური და რადიაციული ნისლის ერთდროული ზემოქმედებისას - ADV-RAD (პროცესი რომელიც ზედა აბზაცში აღვწერეთ), როცა პირველადი ფაქტორია ადვექცია (ტენის), ხოლო დომინანტი - რადიაციული გადაციება, სრულდება შემდეგი უტოლობა წინარე ნისლის პერიოდში - $MRI_{profeg}<0.5$ და ნისლის

პერიოდში $MRI_{fog}>0.5$. ამ დროს ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში ტემპერატურული ინვერსია (ინვერსიული შრე) უფრო სუსტია, ვიდრე მხოლოდ რადიაციული ნისლის (RAD) შემთხვევაში.

ზომიერი ინვერსიის არსებობის დროს მიჩნეულია, რომ წინარე ნისლის და ნისლის პერიოდებში კმაყოფილდება შემდეგ უტოლობა - $0.5< MRI_{prefog}<1$ და $0.5< MRI_{fog}<1$, ამ დროს ჩამოყალიბებული ნისლი კლასიფიცირდება როგორც ADV-RAD ტიპის ნისლი.

ნისლის მოვლენა, რომელიც დაიკვირვება როცა $MRI_{prefog}>1$, $MRI_{fog}<0$ არ არის შეყვანილი ნისლის კლასიფიკაციაში, რადგან მკვლევარების აზრით ასეთ პერიოდში ნისლის ჩამოყალიბება ძალზედ იშვიათია (მხოლოდ სამი მოვლენა იქნა დაფიქსირებული დაკვირვების პერიოდში) და კლასიფიცირებულია როგორც გაურკვეველი ნისლი - „Unknown“;

რადიაციული ნისლის ფაქტობრივ შემთხვევათა ანალიზი UPS მეთოდის გამოყენებით.

შემთხვევათა ანალიზის (Case Study) სწავლების მეთოდზე დაყრდნობით განვიხილოთ თბილისის შოთა რუსთაველის საერთაშორისო აეროპორტში 2023 წლის 25 იანვარს დილის 02:00 UTC საათიდან 08:00 UTC -მდე არსებული რადიაციული ნისლის შემთხვევა. კერძოდ, ჩავატაროთ წინარე ნისლის პერიოდის დაკვირვება და UPS ტექნიკის პირველი მაჩვენებლის - გარდამავალი ტემპერატურის (T_{xover}) ფაქტორის გათვალისწინებით განვსაზღვროთ რადიაციული ნისლის მოლოდინის ალბათობა. მოდიფიცირებული რიჩარდსონის რიცხვის ანალიზზე დაფუძნებულ მეთოდს ვერ განვიხილავთ ამ ეტაპზე გრუნტის ტემპერატურის მზომი (მიწის) სენსორის მწყობრიდან გამოსვლის გამო.

2023 წლის 25 იანვრის საერთაშორისო რეგულარული შეტყობინებები (METAR) 02:00 UTC დროიდან 08:00 UTC დრომდე.

1. 202301250200 METAR UGTB 250200Z VRB02KT 5000 BR BKN036 M02/M02 Q1031 NOSIG=
2. 202301250230 METAR UGTB 250230Z 00000KT 6000 BKN037 M02/M03 Q1031 NOSIG=
3. 202301250300 METAR UGTB 250300Z 00000KT 3800 BR SCT032 M02/M03 Q1031 NOSIG=
4. 202301250330 METAR UGTB 250330Z 00000KT 3700 BR NSC M02/M03 Q1030 NOSIG=
5. 202301250400 METAR UGTB 250400Z 00000KT 3500 BR NSC M03/M03 Q1030 TEMPO 0600 FZFG VV002=
6. 202301250430 METAR UGTB 250430Z 00000KT 2800 1300NW BR NSC M03/M04 Q1030 TEMPO 0600 FZFG VV002=
7. 202301250500 METAR UGTB 250500Z 00000KT 3200 BR NSC M03/M03 Q1030 TEMPO 0800=
8. 202301250530 METAR UGTB 250530Z 00000KT 3100 BR FEW007 M02/M03 Q1031 TEMPO 0800=
9. 202301250600 METAR UGTB 250600Z 16001KT 2000 0750NW BR SCT003 M02/M03 Q1030 NOSIG=

10. 202301250630 METAR UGTB 250630Z 18002KT 0150 0100NW R13R/0175 FZFG SCT003 M02/M03 Q1031 NOSIG=
11. 202301250700 METAR UGTB 250700Z 17003KT 130V200 0150 R13R/0400V0550 FZFG SCT003 M02/M03 Q1030 NOSIG=
12. 202301250730 METAR UGTB 250730Z 17003KT 130V200 0150 R13R/0175V0500N FZFG VV001 M01/M02 Q1030 NOSIG=
13. 202301250800 METAR UGTB 250800Z VRB01KT 0750 0600SE R31L/0750V1400 FZFG VV002 M00/M01 Q1030 NOSIG=
14. METAR UGTB 250830Z 18003KT 140V210 3400 1100NW BR SCT001 M00/M01 Q 1029 NOSIG
15. 202301250900 METAR UGTB 250900Z 19004KT 150V210 3500 BR FEW002 01/M01 Q1029 NOSIG=
16. 202301250930 METAR UGTB 250930Z 19004KT 160V240 6000 NSC 03/M02 Q1028 NOSIG=
17. 202301251000 METAR UGTB 251000Z 18004KT 140V220 CAVOK 05/M02 Q1028 NOSIG=
18. 202301251030 METAR UGTB 251030Z 18004KT 120V230 CAVOK 05/M03 Q1027 NOSIG=
19. 202301251100 METAR UGTB 251100Z 16005KT 110V190 CAVOK 05/M04 Q1027 NOSIG=
20. 202301251130 METAR UGTB 251130Z 14005KT 050V170 CAVOK 05/M03 Q1027 NOSIG=
21. 202301251200 METAR UGTB 251200Z 17004KT 140V260 CAVOK 06/M04 Q1027 NOSIG=
22. 202301251230 METAR UGTB 251230Z 14004KT 090V200 CAVOK 05/M04 Q1027 NOSIG=

2023 წლის 24 იანვარს დღის განმავლობაში მაქსიმალური ტემპერატურა Ta=6,6^{0}C დაიკვირვებოდა 11:19 UTC-დან 11:25 UTC-მდე (მეტეოროლოგიური სადგურიდან ტემპერატურაზე დაკვირვებები ამოღებულ იქნა ყოველი ერთ წუთიანი გასაშუალოებით), მუდმივი ჰაერის ტემპერატურის პირობებში ნამის წერტილი მცირდებოდა (T_d) -1,54^{0}C-დან -3.08^{0}C-მდე. 11:26 UTC დროზე ტემპერატურა დაეცა და შეადგინა Ta=6.5^{0}C, ნამის წერტილიც შემცირდა და გახდა T_d=-3.17^{0}C. მუდმივი ტემპერატურის პირობებში (Ta=6.6^{0}C) ნამის წერტილის (T_d) შემცირება (-1,54^{0}C-დან -3.08^{0}C-მდე) ნათლად მიუთითებს მიწისპირა დაბალ სიმაღლეზე არსებულ

კონვექციურ პროცესზე და ზედა ატმოსფერული ფენის სიმშრალეზე. (რაც რადიაციული ნისლის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს). კონვექციურმა პროცესმა უზრუნველყო მიწისპირა ფენის აღრევა ანუ ტენის (წყლის ორთქლის ატანა) გადანაწილება მიწისპირა ფენის ზედა სიმაღლეებზე (ერთგვაროვანი ვერტიკალური ტენშემცველობა -„Hudrolapse“ ზოგადად ნისლის ჩამოყალიბების გამაძლიერებელ ფაქტორს წარმოადგენს).

2023 წლის 25 იანვრის 02:00 UTC საათიდან დაიკვირვებოდა შეზღუდული ხილვადობის პირობები, ხილვადობა მერყეობდა 2000 მეტრიდან 6000 მეტრამდე. ჰაერის მასა ამ პერიოდში ხან სრულად იყო გაჯერებული (ჰაერის ტემპერატურა და ნამის წერტილის აბსოლუტური მაჩვენებლები ერთმანეთის ტოლი იყო, ხან ნამის წერტილის დეპრესია შეადგენდა 1 ^{0}C-ს). დაიკვირვებოდა სუსტი (1-2 კვანძი) ან უქარო ამინდი. ჰაერის ტემპერატურა შეადგენდა -2^{0}C-ს. 06:30 UTC დროზე უპირატესმა ხილვადობამ შეადგინა 150 მეტრი, ხოლო მინიმალური ხილვადობა დაიკვირვებოდა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით - 100 მეტრის მნიშვნელობით. ჰაერის ტემპერატურა იყო -2^{0}C-ი, ნამის წერტილის დეპრესიამ შეადგინა 1^{0}C-ი, დაიკვირვებოდა გადაციებული ნისლი, უბერავდა სამხრეთის მიმართულების, 2 კვანძის სიჩქარის ქარი. გადაციებული ნისლი დაიკვირვებოდა 08:00 UTC საათამდე. 09:00 საათზე ტემპერატურამ შეადგინა 1^{0}C და ნისლიც გადავიდა ბურუსში და 10:00 UTC-ზე ადგილობრივ რეგულარულ შეტყობინებებში გადაიცემოდა CAVOK-ის პირობები.

2023 წლის 24 იანვრის 10:30 UTC დროიდან 11:30 UTC დროზე სააეროდრომო რეგულარული შეტყობინებები.

202301241030 METAR UGTB 241030Z 22005KT 170V300 9999 SCT027 BKN044 06/M02 Q1033 NOSIG=

202301241100 METAR UGTB 241100Z 17007KT 130V250 9999 FEW025 SCT033 06/M02 Q1033 NOSIG=

202301241130 METAR UGTB 241130Z 19006KT 160V220 9999 FEW030 SCT040 07/M03 Q1033 NOSIG=

UPS ტექნიკის მიხედვით ანალიზი ჩატარდა სააეროდრომო რეგულარული შეტყობინებების საფუძველზე. წინა დღის განმავლობაში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურის T_a=7^{0}C-ის დროს ნამის წერტილის მნიშვნელობამ შეადგინა T_d=M03^{0}C (-3^{0}C) ანუ T_{xover} = -3^{0}C-ს.

25 იანვარს დილის საათებში 04:00 UTC საათზე ჰაერის ტემპერატურამ შეადგინა T_a=-3^{0}C-ი და თავის მნიშვნელობით გაუტოლდა გარდამავალ ტემპერატურას T_{xover}=-3^{0}C (რეალურად ერთწუთიანი გასაშუალოებული ინფორმაციის საფუძველზე T_{xover}=-3.08^{0}C, ხოლო Ta=-3.4^{0}C ანუ Ta<T_{xover}, T_{diff} =-0,32^{0}C, (რაც ხელსაყრელ წინაპირობას წარმოადგენს ნისლის ჩამოსაყალიბებლად). ჰაერის -3^{0}C შენარჩუნებულ იქნა 06:00 UTC დრომდე. ნისლის პროგნოზირების გარდამავალი ტემპერატურის - T_{xover} ფაქტორის მიხედვით როცა T_a= T_{xover}, ამ პერიოდში ხილვადობა 1600მ-4800მ (1-3 მილს) შუალედის დიაპაზონში იქნება. მართლაც ამ პერიოდში ხილვადობა მერყეობდა 3500 მეტრიდან 2000 მეტრამდე, ანუ UPS ტექნიკა კორექტულად პროგნოზირებს შეზღუდულ ხილვადობას, რადიაციული გადაციების ფაქტორის გათვალისწინებით. ხილვადობის შემდგომი გაუარესება განპირობებული იყო ადგილობრივი ოროგრაფიული თავისებურებიდან გამომდინარე და მიწისპირა ფენის აღრევითი ფაქტორით. უქარო ამინდები დაიკვირვებოდა წინარე ნისლის პერიოდში, შემდგომ გაძლიერდა 4 კვანძამდე და მიმართულებამ შეადგინა სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულება და უზრუნველყო მდინარე ლოჭინის ხეობიდან და მის მიმდებარე ტერიტორიებიდან შედარებით ტენიანი ჰაერის მასის ადვექცია[19], ხოლო მეორე ფაქტორი (მიწისპირა ფენის აღრევა) - ერთგვაროვანი ტენშემცველობის (ჰიდროლაფსი) მიწისპირა ჰაერის ფენა, ყოველთვის მიდრეკილია ნისლის ჩამოყალიბებისკენ (სტანდარტული ტროპოსფეროს - სიმაღლის ზრდასთან ერთად ტენის კლების შემთხვევაში, რადიაციული გადაციების შედეგად ძირითადად ყალიბდება ნამი ან თრთვილი), ზოგადად რადიაციული გადაციების შედეგად ნისლის ჩამოყალიბება იწყება 100-200

[19] რაც ზოგადად დამახასიათებელია თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის, როცა მხოლოდ აეროპორტის ტერიტორიაზე დაიკვირვება ნისლი, ხოლო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე მხოლოდ ბურუსი, ლოჭინის წყალი და ზოგადად ხეობა (მიმდებარე ტბები) ხასიათდება მცირედი ტენის ადვექციით თბილისის აეროპორტის ზონაში, რაც საკმარისია ნისლების ჩამოსაყალიბებლად.

ფუტის სიმაღლეზე და ჩამოყალიბებული ინვერსიული ფენის ზედა ჰაერის მასების სედიმენტაციის შედეგად ხდება ნისლის გავრცელება მიწასთან ახლოს მდებარე ჰაერის მასაშიც. რადგან დღის განმავლობაში რაიმე სინოპტიკური მასშტაბის მეტეოროლოგიურ ცვლილებებს არ ჰქონია ადგილი, ვუშვებთ, რომ მიწისპირა ფენის ვერტიკალური პროფილი წინა დღის და მეორე დღის დილის საათებში დიდად არ შეცვლილა (ადვექცია დაიწყო 06:00 UTC დროზე, ლოჭინის ხეობის მიმართულებიდან სუსტი ქარის ფაქტორის გამო). შესაბამისად დამატებით ტენის ადვექციამ უზრუნველყო ჰორიზონტალური ხილვადობის შემცირება 100 მეტრამდე.

ნისლი გაგრძელდა 2 საათით და დღე-ღამური ფაქტორის გათვალისწინებით, ჰაერის ტემპერატურის გაზრდამ (1^0C-მდე)[20] უზრუნველყო ნისლის აწევა და შემდგომ უეცარი გაფანტვა, რაც ნათლად მიუთითებდა განვითარებულ სუსტ ინვერსიულ შრეზე და მიწისპირა ფენის არამდგრად მდგომარეობაზე, რაც ნისლის გაფანტვის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს.

ამრიგად, პირველადი ფაქტორი შეზღუდული ხილვადობის ჩამოსაყალიბებლად იყო რადიაციული გადაცივება, ხოლო ნისლის ჩამოსაყალიბებლად დომინანტი ფაქტორი გახდა ლოჭინის და მტკვრის ხეობებიდან ტენიანი ჰაერის ადვექცია, რაც ზამთრის პერიოდში დამახასიათებელია ადგილობრივი ოროგრაფიული თავისებურებიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ გრუნტის ტემპერატურა (T_{sfc}) თუ ნაკლებია გარდამავალ ტემპერატურაზე (T_{xover}), დიდი ალბათობით რადიაციული ნისლი დაიწყებს განვითარებას.

$$T_{sfc} < T_{xover} \qquad (6)$$

[20] აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ტემპერატურის მატებასთან ერთად იზრდებოდა ნამის წერტილის მნიშვნელობაც, რაც მიუთითებდა, რომ მიწისპირა ფენაში ვერტიკალური ტენიანობა (Hydrolapse) ერთგვაროვანი იყო ან სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდებოდა და ასევე ადგილი ჰქონდა დამატებითი ტენის ადვექციასაც, რაც ნისლის ჩამოყალიბების გამაძლიერებელ ფაქტორს წარმოადგენს.

აბსოლუტური ტოპოგრაფიის AT - 500 მბ რუკების მნიშვნელობა რადიაციული ნისლის პროგნოზირებისას

ზოგადად მიჩნეულია, რომ 500მბ აბსოლუტური ტოპოგრაფიის სინოპტიკურ რუკაზე მაღლივი ანტიციკლონის ბარიული ველის არსებობა, რაც თავის თავში მოიაზრებს ჰაერის მასების დაღმავალ დინებებს (მეტეოროლოგიურ სედიმენტაციას), იწვევს მაღლივი და შუა ტროპოსფეროს ჰაერის მასის გამოშრობას, რაც გამოწვეულია ნაკლებ ტენიანი ჰაერის მასის (ტენიანობა მცირდება სიმაღლის მატებასთან ერთად) დაღმასვლით. არსებული ფაქტორი წარმოადგენს რადიაციული ნისლის წარმოქმნის კარგ წინაპირობას თუ მიწისპირა ჰაერის მასა ამ დროს ტენიანია (ადგილი ჰქონდა წინა დღეებში უხვ ნალექებს და სველი გრუნტიდან წყლის აორთქლების ხარჯზე მიწისპირა ფენაში დაიკვირვებოდა ტენიანობის ზრდა) ან მიწისპირა ჰაერის მასაში ადგილი აქვს ტენის ადვექციას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული წინარე სინოპტიკური სიტუაცია (2021 წლის 11 თებერვალს) კავკასიის რეგიონში 500 მბ რუკაზე არ დაიკვირვებოდა.

რუკა N5, 2021 წლის 11 თებერვლის 00:00 UTC საათის AT500 რუკა;



კავკასიონის ჩრდილო აღმოსავლეთით დაიკვირვებოდა მაღლივი ციკლონი და ადგილი ჰქონდა ჰაერის მასების აღმავალ დინებებს.

ნისლის პროგნოზირების კლიმატოლოგიური ფაქტორი

გაანალიზებულ იქნა ნისლის ალბათობის კლიმატოლოგიური ფაქტორი. კლიმატოლოგიური ფაქტორის ანალიზი გულისხმობს კლიმატოლოგიური მოდელების შექმნას, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას - კონკრეტულ სეზონში, თვეში და დროში რამდენად ხშირია და მაღალი ალბათობა გააჩნია ნისლიანი ამინდის მოხდენას.

ამისათვის განვიხილოთ 2020 წელს გამოცემული კლიმატოლოგიის წიგნი, რომელიც აერთიანებს 2010-2019 წლების ემპირიულ ინფორმაციას[21].

ცხრილი N3, ამინდის მოვლენების შემთხვევათა საშუალო თვიური მაჩვენებლები (2010-2019 წლები)

ამინდის მოვლენების შემთხვევათა საშუალო თვიური მაჩვენებლები									
დრო (UTC)	ამინდის მოვლენა								
	ბურუსი	წვიმა	ელ-ჭექი	ნისლი	დაბალი ნისლი, ნისლი აეროდრომის შემოგარენში (8-16 კმ)	გადაცივებული ნისლი	ჟინჟღლი	თოვლი	ჯანღი
იანვარი	12.36	3.72	-	1.94	0.02	0.79	0.74	4.27	0.22
თებერვალი	12.13	4.04	-	2.16	-	0.41	1.16	7.92	0.02
მარტი	4.02	5.93	0.04	0.31	0.01	0.03	0.63	0.48	-
აპრილი	2.14	8.47	0.52	0.13	-	-	0.95	0.04	-
მაისი	0.41	7.53	2.09	-	-	-	0.03	-	-
ივნისი	0.02	4.73	3.54	-	-	-	0.01	-	-
ივლისი	0.09	2.97	1.41	-	-	-	0.02	-	-
აგვისტო	0.15	2.29	1.17	-	-	-	0.01	-	-
სექტემბერი	0.32	3.19	0.85	-	-	-	0.03	-	-
ოქტომბერი	2.59	7.09	0.24	0.09	-	-	0.64	0.05	-
ნოემბერი	7.99	5.83	0.01	0.81	0.06	0.05	1.34	1.28	0.11
დეკემბერი	12.43	2.59	-	1.50	0.03	0.32	0.57	1.73	0.31

11. International Journal of Climatology, Volume 43, Issue 1 Jan 2023, pp. i-iv, 1-682.
12. Fog type classification using a modified Richardson number for Christchurch, New Zealand, Dongqi Lin1 | Marwan Katurji2 | Laura E. Revell1 | Basit Khan3 |Neal Osborne4 | Iman Soltanzadeh4 | Stefanie Kremser5, Journal: International Journal of Climatology, Published on: 22 June 2022, pp. 314-330;
13. Johnson, J.C., 1954: Physical Meteorology. The Massachusetts Institute of Technology and John Wiley & Sons, Inc., 393 pp.
14. Lawrence J. Whitworth Jr. and Clifford Collins WFO Elko, NV, Assessing Applicability of the UPS Airlines Radiation Fog Forecasting Method for the J.C. Harris Regional Airport in Elko, Nevada; pp. 11;
15. Mason, J., 1982: Physics of radiation fog. J. Meteor. Soc. Japan, 60, 486-499.
16. Mayer, W. Dale, and G.V. Rao, 1999: Radiation fog prediction using a simple numerical model. Pure Appl. Geophys., in press.
17. Randy Baker, Jim Cramer, and Jeff Peters, RADIATION FOG: UPS AIRLINES CONCEPTUAL MODELS AND FORECAST METHODS, UPS Airlines, Louisville, KY, pp. 6;
18. Roach, W.T., 1994: Back to basics: Fog: Part 1 - Definitions and basic physics. Weather, 49, 411-415;
19. Roach, W.T., 1995: Back to basics: Fog: Part 2 - The formation and dissipation of land fog. Weather, 50, 7-11;
20. Roach, W.T., 1995: Back to basics: Fog: Part 3 - The formation and dissipation of sea fog. Weather, 50, 80-84.
21. Roach, W.T., 1995: Back to basics: Fog: Part 4 - The forecasting aspects. Weather, 50, 110-112.

22. Taylor, G.F., 1938: Aeronautical Meteorology. Pitman Publishing Corporation, 429 pp.
23. Young, K.C., 1993: Microphysical Processes in Clouds. Oxford University Press, 427 pp.
24. Wayne, R.P., 1993: Chemistry of Atmospheres. Clarendon Press, 447 pp.
25. https://ugc.berkeley.edu/background-content/re-radiation-of-heat/
26. https://www.fondriest.com/environmental-measurements/parameters/weather/photosynthetically-active-radiation/
27. https://view.eumetsat.int/
28. https://www.meted.ucar.edu/

მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტის კლიმატოლოგია

შინაარსი

შესავალი 117

საქართველოს კლიმატის მოკლე მიმოხილვა და ცირკულაციური პროცესები 119

კლიმატოლოგიური მოდელების მოკლე აღწერა 122

მესტიის აეროპორტის კლიმატოლოგიური აღწერილობა (UGMS) 130

ხილვადობა 134

ხილვადობის გასაშუალოებული მონაცემები თვეების მიხედვით 146

ღრუბლის ქვედა საზღვარი 147

ქარის სიჩქარე და მიმართულება 159

ქარის დაქროლვის სიჩქარე და მიმართულება 171

ქარის სეზონური სიჩქარე და მიმართულება 194

ქარის დაქროლვების სეზონური სიჩქარე და მიმართულება 198

ტემპერატურა 207

მაქსიმალური, მინიმალური და გასაშუალოებული საშუალო ზღვის დონეზე დაყვანილი წნევა (QNH) 231

ტემპერატურა, ნამის წერტილი და ტენიანობა 232

ამინდის მოვლენა 235

ამინდის მოვლენა სეზონების მიხედვით 247

გასაშუალოებული ამინდის მოვლენები რანგირებული თვეების მიხედვით 251

ნალექების ყოველთვიური რაოდენობა და თვის საშუალო ტემპერატურა 252

წლიური ჯამური ნალექები 264

ექსტრემალური მნიშვნელობები 265

ექსტრემალური მნიშვნელობები 266

ბოფორტის სკალა (Beaufort Scale) 267

ტერმინები და განმარტებები 268

ბიბლიოგრაფია 269

შესავალი

მესტიის აეროპორტის სტატისტიკური კლიმატოლოგიის წიგნი გახლავთ მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტის მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვების შედეგების სტატისტიკური ანალიზი. წიგნში შესულია მესტის აეროდრომზე განლაგებული მეტეოროლოგიური სადგურის ხუთწლიანი პერიოდის დაკვირვების (METAR) შედეგები - 2017 წლის იანვრიდან - 2021 წლის დეკემბერამდე. იგი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მოცემული ინფორმაცია ეხება აეროპორტების გეოგრაფიულ და კლიმატოლოგიურ თავისებურებებს, სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ ცირკულაციურ პროცესებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის ჩამოყალიბებას განაპირობებს. მეორე ნაწილში კი, წარმოდგენილია მეტეოროლოგიური ელემენტების დაკვირვების საფუძველზე ხუთწლიანი განაწილების ამსახველი ცხრილები და გრაფიკები თვეების და (ზოგიერთი კლიმატოლოგიური მოდელი) სეზონების მიხედვით.

კლიმატოლოგიურ ცნობარში მოცემული ინფორმაცია საავიაციო მიზნებისთვისაა განკუთვნილი. მომხმარებლები უფლებამოსილნი არიან აღნიშნული მასალა პროფესიონალური თვალსაზრისით გამოიყენონ.

პირველი ოთხი კლიმატოლოგიური მოდელის მომზადებას საფუძვლად უდევს ICAO-ისა და მმო-ის რეკომენდაციები საავიაციო კლიმატოლოგიური მასალის დამუშავების შესახებ (ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის - მესამე დანართი, მმო-ის ტექნიკური რეგლამენტი №49, ტ.2). წიგნში განხილული დანარჩენი კლიმატოლოგიური მოდელები ჩემს მიერ იქნა შექმნილი.

წიგნი მოიცავს შემდეგ კლიმატოლოგიურ მოდელებს:

- **მოდელი ა.** მითითებულ მნიშვნელობებზე ნაკლები ხილვადობის (მეტრებში) სიხშირე (პროცენტებში) დაკვირვების განსაზღვრულ ვადებზე;
- **მოდელი ბ.** მითითებულ გრადაციებზე ნაკლები ყველაზე დაბალი მნიშვნელოვანი (BKN) ან სრული (OVC) ღრუბლის ფენის ქვედა საზღვრის სიმაღლის სიხშირე (პროცენტებში) დაკვირვების განსაზღვრულ ვადებზე;
- **მოდელი გ.** ქარის მიმართულებისა (30° სექტორში) და სიჩქარის (კვანძებში) განმეორებადობა განსაზღვრულ დიაპაზონებში;
- **მოდელი დ.** დაკვირვების გარკვეულ ვადებზე მიწისპირა ჰაერის ტემპერატურის 5°C ინტერვალში განმეორებადობა პროცენტებში;

- **მოდელი ე.** საშუალო ზღვის დონეზე დაყვანილი წნევის (QNH) მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში;
- **მოდელი ვ.** ფარდობით ტენიანობას (RH), ჰაერის ტემპერატურასა (T_a – C^0) და ნამის წერტილს (T_d – C^0) შორის ურთიერთდამოკიდებულების ცხრილი;
- **მოდელი ზ.** ყოველი წლის თითოეული თვეში და სეზონების მიხედვით ამინდის მოვლენათა შემთხვევების საშუალო პროცენტული მნიშვნელობა;
- **მოდელი თ.** ყოველი წლის თითოეული თვის საშუალო ტემპერატურასა და თვის განმავლობაში მოსულ ჯამურ ნალექებს შორის კორელაცია;
- **მოდელი ი.** წლიური ნალექების ჯამური რაოდენობა;
- **მოდელი კ.** დაკვირვების პერიოდის განმავლობაში ყოველთვიური ჰაერის მინიმალური და მაქსიმალური ტემპერატურის მნიშვნელობები;
- **მოდელი ლ.** დაკვირვების პერიოდის განმავლობაში თვეების მიხედვით რანგირებული ქარის მაქსიმალური დაბერვის მნიშვნელობები.

საქართველოს კლიმატის მოკლე მიმოხილვა და ცირკულაციური პროცესები

საქართველოს ტერიტორია კლიმატური და ამინდის პირობების დიდი მრაფალფეროვნებით ხასიათდება. აქ წარმოდგენილია კიოპენის კლასიფიკაციის მიხედვით დედამიწაზე გავრცელებული ყველა ტიპის კლიმატი ეკვატორულისა და ტროპიკულის გარდა. ჰავის ასეთ ხასიათს განაპირობებს ქვეყნის როგორც გეოგრაფიული მდებარეობა - სუბტროპიკული კლიმატური სარტყლის ჩრდილოეთ ნაწილში და შავი ზღვის აღმოსავლეთით, ისე საშუალო და მაღალმთიანი ღრმად დანაწევრებული რელიეფი, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 54%-ს მოიცავს. კავკასიონის ქედი, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთით აკრავს და მის ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს, ქვეყანას იცავს არქტიკული ცივი ჰაერის მასების უშუალო ზემოქმედებისაგან. ამიტომაც ეს უკანასკნელი ქვეყნის ტერიტორიაზე დასავლეთიდან, შავი ზღვის გავლით გადმოადგილდება, სადაც მისი ქვედა ფენა რამდენადმე თბება, ხდება ტენით გაჯერება, არამდგრადობა იზრდება და ხმელეთზე ტენით გაჯერებული შემოიჭრება. ასეთი სინოპტიკური სიტუაცია **დასავლეთის ცირკულაციური პროცესის** სახელითაა ცნობილი. ამ დროს მთელ საქართველოში ქრის დასავლეთის, ან ჩრდილო დასავლეთის მიმართულების ქარი, ზოგან ძლიერი. ეს პროცესი იწვევს ჰაერის ტემპერატურის დაცემას, უხვ ნალექს, რომელიც ხშირად ფრონტის გავლის შემდეგაც გრძელდება, სანამ ამ უკანასკნელის ზურგში ადგილი აქვს ცივი ჰაერის მასების გავრცელებას. დიდია მოღრუბლულობა და ატმოსფერული ნალექის რაოდენობა განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. დასავლეთიდან შემოჭრილი ჰაერის მასა გადაკვეთს რა, საქართველოს კლიმატ გამყოფს ლიხის (სურამის) ქედს, ხდება ნაკლებტენიანი, რადგან ლიხის ქედის მრავლფეროვანი ოროგრაფიული თავისებურებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ადგილებში ადგილი აქვს ტენიანი ჰაერის მასების იძულებით კონვექციას, რაც აისახება ამ რეგიონში უხვი ნალექების ჩამოცლით, რის შემდგომადაც ნაკლებად ტენიანი ჰაერის მასა ეშვება მდ. მტკვრის გაშლილ ხეობაში, სადაც დასავლეთის ქარების დაღმავალი მდგენელი კიდევ უფრო იზრდება. სწორედ ამიტომ, აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში ის იწვევს ღრუბლიანობის მომატებას და შედარებით მცირე ნალექის გამოყოფას. აღმოსავლეთ დაბლობ რაიონებში კი დასავლეთის მიმართულების ქარს, რომელიც დაქროლვით ზოგჯერ 60 კვანძსაც კი აჭარბებს. დასავლეთის ცირკულაციური პროცესი წელიწადის ყველა

დროისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა მისი განმეორებადობის სიხშირე გაზაფხულზე და შემოდგომით მეტია.

ატმოსფეროს ცირკულაციის მეორე ძირითადი ტიპი, რომელიც საქართველოში ამინდის პირობების განვითარებას განაპირობებს არის **აღმოსავლეთის ცირკულაციური პროცესი**. ამ შემთხვევაშიც პოლარული აუზიდან, ან ციმბირიდან გადმონაცვლებული ცივი ჰაერის მასების სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებას ხელს უშლის კავკასიონის ქედი, ამიტომ მის ჩრდილო ფერდობის გასწვრივ მდებარე ფრონტი შემოუვლის მას აღმოსავლეთიდან. საქართველოს ტერიტორიაზე ფრონტის გადაადგილებას აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ხელს უწყობს შავ ზღვაზე დამყარებული დაბალი წნევის არე. ამ გზით საქართველოში ხორციელდება ე.წ. ,,აღმოსავლეთიდან შემოჭრა", ანუ შედარებით ცივი ჰაერის მასების გავრცელება კასპიის ზღვიდან ხდება. ამ ტიპის ცირკულაციური პროცესის განვითარებისას ქვეყნის ტერიტორიაზე ატმოსფეროს ქვედა ფენებში დაიკვირვება სამხრეთ-აღმოსავლეთის, აღმოსავლეთისა და ჩრდილო აღმოსავლეთის ქარები. ზედა ფენებში გარკვეულ სიმაღლეზე კი შენარჩუნებულია აღმოსავლეთის მიმართულების ქარები. აღმოსავლეთის ცირკულაციური პროცესის ყველაზე მეტი განმეორებადობა გაზაფხულზე დაიკვირვება.

აღმოსავლეთის პროცესისათვის დამახასიათებელია მოღრუბლული, ნალექიანი ამინდები და ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი დაცემა, რომელიც ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში ვლინდება. მისი სიმძლავრე ჩვეულებრივ დიდი არ არის, ამიტომაც ის ვერ აღწევს ლიხის ქედამდე და იშლება შიდა ქართლის ვაკეზე. ეს პროცესი დასავლეთ საქართველოში ამინდის მნიშვნელოვან ცვლილებას არ განაპირობებს. თუკი პროცესი ძლიერია, ცივი ჰაერის მასა შესაძლებელია მთელ საქართველოში გავრცელდეს და ტემპერატურის მკვეთრი დაცემა შავის ზღვის სანაპიროზეც დაფიქსირდეს, ამ დროს მდ.რიონის აუზის ქვემო წელში ქრის აღმოსავლეთის მიმართულების ფიონური ხასიათის ქარი, რომლის სიჩქარე ზოგჯერ 70 კვანძს აღემატება.

ერთდადერთი ცირკულაციური პროცესი, რომელიც მთელ საქართველოში იწვევს ამინდის პირობების გაუარესებას, რაც გამოხატულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურის დაცემით, დაბალი ღრუბლიანობით, ატმოსფერული ნალექითა და ხილვადობის გაუარესებით გახლავთ **ორმხრივი შემოჭრა**. ამ დროს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით არსებული ცივი ჰაერის მასები შემოუვლის კავკასიონს და ქვეყნის ტერიტორიაზე დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან ერთდროულად იჭრება.

სამხრეთ კავკასიაში შემოჭრების დასრულების შემდეგ რეგიონის სამხრეთით მდებარე სტაციონალურ ატმოსფერულ ფრონტებზე იქმნება ხელსაყრელი პირობები ციკლონების წარმოქმნისათვის და მათი შემდგომი გადაადგილებისათვის ჩრდილო-აღმოსავლეთის ან აღმოსავლეთის მიმართულებით. ასეთი სინოპტიკური სიტუაცია მოიხსენიება სახელით **ტალღური აღრევები სამხრეთიდან**. ამ პროცესის დროს ციკლონების განვითარებისა და გადაადგილების ადგილებში დაიკვირვება ძლიერი ქარი და ატმოსფერული ნალექი. წელიწადის თბილ პერიოდში ხშირია ელჭექი და სეტყვა. ასეთი ცირკულაციური პროცესის პროცენტული განმეორებადობა ყველაზე მაღალი ზაფხულშია.

სამხრეთ კავკასიაში, ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრის დასრულების შემდგომ ყალიბდება **ანტიციკლონალური სიტუაცია**. მაღალი წნევის არის დამყარებას ხელს უწყობს რეგიონის ოროგრაფიული პირობები, სადაც მნიშვნელოვან როლს ვაკე ტერიტორიებისა და მთათა სისტემების მონაცვლეობა თამაშობს. ასეთი ცირკულაციური სიტუაციის დროს მთელ საქართველოში შედარებით სუსტი ქარის ფონზე მცირე ღრუბლიანი და მშრალი ამინდები აღინიშნება.

თითოეული სინოპტიკური პროცესი მესტიის აეროპორტის ტერიტორიაზე ადგილობრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებების გამო განსხვავებულ ამინდის პირობების განვითარებას იწვევს, რაც ლოკალური კლიმატის ჩამოყალიბების წინაპირობაა.

კლიმატოლოგიური მოდელების მოკლე აღწერა

- **მოდელი ა**

მოდელი ა მოიცავს ცხრილ #1-ში მითითებულ მნიშვნელობებზე ნაკლები ხილვადობის (მ-ში) სიხშირეს (პროცენტებში) დაკვირვების განსაზღვრულ ვადებზე. ამ უკანასკნელში იგულისხმება დღის ნათელი პერიოდის განმავლობაში 04:00-დან 13:00-მდე (UTC) – ყოველი ნახევარი საათის ინტერვალით ამინდზე დაკვირვებები. მეტეოროლოგიური ელემენტის დასამუშავებლად გამოყენებულია METAR-ში მოცემული მინიმალური ხილვადობა.

ცხრილი 1. ხილვადობის კრიტერიუმები

<200 მ	<3000 მ
<600 მ	<5000 მ
<800 მ	<8000 მ
<1500 მ	

თითოეული დროისათვის განსაზღვრულია დაკვირვებათა საერთო რაოდენობა და ხილვადობის კრიტერიუმების გათვალისწინებით შემთხვევათა რაოდენობა მოცემულია %-ში.

მოდელი ა–ის ცხრილის სტრიქონში MEAN, მოცემულია ხილვადობის არსებული კრიტერიუმის მიხედვით შემთხვევათა რაოდენობის საშუალო მნიშვნელობა %-ში (მმო-ის ტექნიკური რეგლამენტი №49, ტ.2). აღსანიშნავია, რომ ცხრილი ურთიერთშემცველი პრინციპითაა გამოთვლილი. მაგალითად: დაფიქსირებული ხილვადობა <3000 მ. ასახულია როგორც სვეტში <5000მ, ისე <8000მ და ა.შ. ანალოგიურადაა შედგენილი სხვა სვეტებიც.

მესტიისაეროდრომისათვის მოდელი ა–ს მიხედვით შექმნილია ერთი დიაგრამა. იგი ასახავს ხილვადობის მნიშვნელობის ცვლილების დინამიკას შემდეგი გრადაციის მიხედვით: <800მ; <1500მ; <3000მ; <5000მ; <8000მ.

მესტიის აეროპორტში ხილვადობის განსაზღვრა ხდება ვიზუალური ორიენტირების გამოყენებით.

- **მოდელი ბ**

მოდელი ბ აღწერს ცხრილი 2–ში მითითებულ გრადაციებზე ყველაზე დაბალი – მნიშვნელოვანი (BKN) ან სრული (OVC) ღრუბლის ფენის ქვედა საზღვრის სიმაღლის შემთხვევათა სიხშირეს (პროცენტებში) დაკვირვების განსაზღვრულ ვადებში;

ცხრილი 2. BKN (მნიშვნელოვანი) ან OVC (სრული დაფარვა) ღრუბლის ფენის ქვედა საზღვრის სიმაღლის გრადაცია (ფტ-ში)

≤100		≤500
≤200		≤1000
≤300		≤1500

არსებული გრადაციის მნიშვნელობები ურთიერთშემცველი პრინციპით არის შედგენილი. კერძოდ: თუ დაფიქსირებული ღრუბლის სიმაღლე არის <500 ფტ-ზე ეს ნიშნავს, რომ ის ასახულია როგორც სვეტში ≤1000ფტ, ისე ≤1500ფტ. (მმო-ის ტექნიკური რეგლამენტი №49, ტ.2). ანალოგიურადაა შედგენილი სხვა სვეტებიც.

მოდელში ბ მოცემული ცხრილის ბოლოს, სტრიქონში MEAN ნაჩვენებია დაფიქსირებული მნიშვნელობების საშუალო არითმეტიკული %-ში, მითითებული გრადაციების მიხედვით.

მოდელი ბ საფუძველზე შექმნილია დიაგრამები, რომელიც განსაზღვრული გრადაციების საზღვრებში (ცხრილი 3) ასახავს დაფიქსირებულ შემთხვევათა რაოდენობის ხვედრით წილს, 1500 ფტ-ზე ქვემოთ არსებული ღრუბლის სიმაღლის შემთხვევათა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში.

ცხრილი 3. BKN (მნიშვნელოვანი) ან OVC (სრული დაფარვა) ღრუბლის ფენის ქვედა საზღვრის სიმაღლითი გრადაცია (ფტ) დიაგრამისათვის

<100	>300≤500
>100≤200	>500≤1000
>200≤300	>1000≤1500

მესტიის აეროპორტში ღრუბლების რაოდენობასა და სიმაღლეზე დაკვირვება ხორციელდება ვიზუალურად.

- **მოდელი გ**

მოდელი გ - ასახავს ქარის მიმართულებისა (30° სექტორში) და სიჩქარის (კვანძი) ერთობლივ განმეორებადობას (%) კონკრეტულ საზღვრებში. ის მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. ქარის სიჩქარის კლასიფიკაციას 5 კვანძის ნაზრდით (მაგალითად: 1-5; 6-10; 11-15 კვანძი და ა.შ.);
2. ქარის მიმართულებას 30° აზიმუტის დიაპაზონით (მაგალითად: 20°-40° ნიშნავს 20°-30°-40° ქარის მიმართულებას);
3. უქარო (calm) პირობების რაოდენობას, ანუ როდესაც ქარის სიჩქარე 0 კვანძს შეადგნს;
4. ცვალებადი (VRB) ქარის სიხშირეს, ანუ

   ა. 3 კვანძის ფარგლებში ქარის სიჩქარის დროს ქარის მიმართულება 60°-დან 180°-მდე იცვლება;

   ბ. 3 კვანძზე მეტი ქარის სიჩქარის დროს მისი მიმართულება 180°-მეტი მნიშვნელობით იცვლება;
5. ქარის დაქროლვას (ეს უკანასკნელი გახლავთ დამატებითი ინფორმაცია, რომლის შექმნასაც მმო-ის ტექნიკური რეგლამენტი №49, ტ.2 არ მოითხოვს).

მოდელის გ ცხრილის სტრიქონში მითითებული „ჯამი“ მიუთითებს დაფიქსირებული კონკრეტული ქარის სიჩქარის/მიმართულების ჯამურ პროცენტულ მაჩვენებელს. თითოეული ცხრილის საფუძველზე შედგენილია დიაგრამა.

ქარის დაქროლვის ცხრილებში ქარის მიმართულება მოცემულია 10° აზიმუტის ინტერვალით, ხოლო სიჩქარე 10 კვანძის ზემოთ ყოველი 5 კვანძის ინტერვალით.

ამ მოდელში ცხრილებისა და გრაფიკების სახით წარმოდგენილი კლიმატოლოგიური მასალა დამუშავებულია, როგორც **თვეების,** ისე **სეზონების** მიხედვით.

- **მოდელი დ**

მოდელი დ აღწერს მოცემულ ვადაზე მიწისპირა ჰაერის ტემპერატურის (°C) განმეორებადობას პროცენტებში 5°C ინტერვალით. კლიმატოლოგიურ მოდელში მოცემული ცხრილები განსაზღვრავს თვის განმავლობაში მითითებულ ვადაზე კონკრეტული ტემპერატურის განმეორებადობას პროცენტებში. ჰაერის ტემპერატურის ზღვრული მნიშვნელობებია +39°C და -25°C.

ამ მოდელის ცხრილში, ნახევარ საათიანი ინტერვალით მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულ ვადაზე რამდენჯერ დაფიქსირდა ცხრილ #4–ში მითითებულ ზღვრულ დიაპაზონში ჰაერის ფაქტიური ტემპერატურა. „საშუალო“ მნიშვნელობებში კი იგულისხმება კონკრეტული თვეში ზღვრული ტემპერატურის საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობები.

ცხრილი 4. ტემპერატურული გრადაცია (C^0)

-დან	-მდე
-25 C^0	-21 C^0
-20 C^0	-16 C^0
-15 C^0	-11 C^0
-10 C^0	-6 C^0
-5 C^0	-0 C^0
0 C^0	4 C^0
5 C^0	9 C^0
10 C^0	14 C^0
15 C^0	19 C^0
20 C^0	24 C^0
25 C^0	29 C^0
30 C^0	34 C^0
35 C^0	39 C^0

- **მოდელი ე**

მოდელი ე დაანგარიშებულია საშუალო ზღვის დონეზე დაყვანილი წნევის (QNH) ყოველი თვის საშუალო, მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

- **მოდელი ვ**

მოდელი ვ - გვიჩვენებს ყოველი თვის ფარდობით ტენიანობას (RH), ჰაერის ტემპერატურასა (T_a – C^0) და ნამის წერტილს (T_d – C^0) შორის ურთიერთდამოკიდებულებას.

კლიმატოლოგიური მოდელის შესადგენად აღებულ იქნა ნახევარ საათიანი ინტერვალის მქონე მეტეოროლოგიური შეტყობინებაში - METAR-ში შემავალი ჰაერის ტემპერატურისა და ნამის წერტილის მნიშვნელობები. METAR-ში ტემპერატურისა და ნამის წერტილის დამრგვალება ხდება შემდეგი პრინციპით:

1. +1.5 +1.6 ..... +1.9 Metar-ში აისახება როგორც +2^{0}C
2. +1.1 +1.2 ..... +1.4 Metar-ში აისახება როგორც +1^{0}C
3. -1.5 -1.4 ..... -1.1 Metar-ში აისახება როგორც -1^{0}C
4. -1.6 -1.7 ..... -1.9 Metar-ში აისახება როგორც -2^{0}C
5. ტემპერატურის -0,5^{0}C -ზე მეტი და 0^{0}C-ზე ნაკლები მნიშვნელობის შემთხვევაში METAR-ში აისახება როგოც M00 ანუ -0^{0}C-ი.
6. ტემპერატურის 0^{0}C-ზე მეტი და 0,4^{0}C -ზე ნაკლები მნიშვნელობის შემთხვევაში METAR-ში აისახება როგოც 0^{0}C-ი.

ფარდობითი ტენიანობა დაანგარიშებულ იყო (1) ფორმულაში შემავალი ჰაერის ტემპერატურისა და ნამის წერტილის მნიშვნელობების გამოყენებით.

$$RH = 100 * 10^m * \left(\frac{T_d}{T_d+T_n} + \frac{T_a}{T_a+T_n}\right) \quad (1)$$

სადაც,

T_d - ნამის წერტილის ტემპერატურაა

T_a -ჰაერის ტემპერატურა

T_n – ჰეტეროგენული სისტემის მუდმივაა ანუ ტემპერატურისა და წნევის ისეთი კომბინაცია, როცა თერმოდინამიკური წონასწორობის პირობებში ერთდროულად არსებობს წყალი აირად, თხევად და მყარ მდგომარეობაში.

m- მუდმივაა

თუ ჰაერის ტემპერატურა მერყეობს -20^{0}C ……. +50^{0}C ამ დიაპაზონში, მაშინ მიიჩნევა რომ

T_n = 240.7263

m = 7.591386

ამ მუდმივების გამოყენებით გამოთვლილი ფარდობით ტენიანობას გააჩნია 0,083%-იანი ცდომილება.

ამ ფორმულის გამოყენებით დაანგარიშებულ იქნა თითოეული ფაქტიური დაკვირვების ვადისთვის ფარდობითი ტენიანობის მნიშვნელობა, რის შემდგომაც ყოველი წლის თითოეული თვისთვის დაანგარიშებულ იყო საშუალო ტემპერატურა, გასაშუალოებული ნამის წერტილის მნიშვნელობა და საშუალო ფარდობითი ტენიანობა.

- **მოდელი ზ**
- **მოდელი ზ** კლიმატოლოგიურ ცხრილში მოცემულია ყოველი წლის თითოეულ თვეში ამინდის მოვლენათა შემთხვევების საშუალო პროცენტული მნიშვნელობა, როგორც თვეების და სეზონების, ასევე დაკვრვების პერიოდის განმავლობაში თვეების მიხედვით რანგირებული საშუალო მნიოშვნელობები.

ცხრილი 5. ამინდის მოვლენები.

მითითებულ დროს დაკვირვებული ამინდის მოვლენების შემთხვევათა სიხშირე (პროცენტი)									
დრო (UTC)	ამინდის მოვლენა								
	BR	RA	TS	FOG	MIFG - VCFG	FZFG	DZ	SN	HZ
0400									
0430									
...									
1300									
საშუალო									

კლიმატოლოგიურ მოდელში ანალიზი ჩატარებული შემდეგ ამინდის მოვლენებზე:

BR - ბურუსი (ნისლიანი ამინდი, როცა ხილვადობის მაჩვენებელი მერყეობს 1000 მ-დან 50000 მ-მდე);

RA - წვიმა;

TS - ელ-ჭექები;

FG - ნისლი (ნისლიანი ამინდი, როცა ხილვადობა 1000მ-ზე ნაკლებია);

MIFG –ნისლი, რომლის ვერტიკალური სიმაღლე 2მ-ზე ნაკლებია;

VCFG - ნისლი აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე

FZFG - გადაციებული ნისლი;

DZ - ჟინჟღლი;

SN - თოვლი;

HZ - ჯანღი (როცა ფარდობითი ტენიანობა დაბალია და ძირითადად ხილვადობის შემზღუდავ მოვლენას წაროადგენენ აეროზოლები - ლიტომეტეორები);

მოდელი ზ ასევე მოიცავს შესაბამის დიაგრამებს.

- **მოდელი თ**

მოდელი თ კლიმატოლოგიურ ცხრილში მოცემულია ყოველი წლის თითოეული თვის საშუალო ტემპერატურასა და თვის განმავლობაში მოსულ ჯამურ ნალექებს შორის კორელაცია.

ცხრილი 6. ჯამური ნალექებისა და გასაშუალოებული ჰაერის ტემპერატურების (C^0) ცხრილი

თვის ჯამურ ნალექებსა და თვის საშუალო ტემპერატურის კორელაცია		
წელი	თვის ჯამური ნალექები (მმ)	საშუალო ტემპერატურა (მმ)
2021		
2022		
ჯამური ნალექები		

ცხრილში მოცემულია წლების მიხედვით თოთოეულ თვეში მოსული ჯამური ნალექების რაოდენობა (მმ-ებში)[1] და თითოეული თვის საშუალო ტემპერატურა (^0C-ებში).

მოდელი თ ასევე მოიცავს შესაბამის დიაგრამას.

- **მოდელი ი**

მოდელი ი კლიმატოლოგიურ ცხრილში მოცემულია წლიური ნალექების რაოდენობა

ცხრილი 7. წლიური ჯამური ნალექები

წელი	ნალექების ჯამური რაოდენობა
2021	
....	

- **მოდელი კ**

[1] 2021 წლის ნალექების სრული მონაცემების არ არსებობის გამო ცხრილში 2021 წლის გარკვეული თვეები მითითებულია როგორც „-„, ხოლო დიაგრამაზე როგორც „0“ სიმბოლო;

მოდელი კ კლიმატოლოგიურ ცხრილში მოცემულია დაკვირვების პერიოდის განმავლობაში ყოველთვიური ჰაერის მინიმალური და მაქსიმალური ტემპერატურის მნიშვნელობები - ^{0}C-ებში.

- **მოდელი ლ**

მოდელი ლ კლიმატოლოგიურ ცხრილში მოცემულია დაკვირვების პერიოდის განმავლობაში თვეების მიხედვით ქარის მაქსიმალური დაბერვის მნიშვნელობები, როგორც კვანძებში, ასევე მ/წმ-ში.

მესტიის აეროპორტის კლიმატოლოგიური აღწერილობა (UGMS)



დიაგრამა #1 ამოღებულია საქართველოს საერნაოსნო საინფორმაცია კრებულიდან (AIP)

საქართველოს ულამაზესი რეგიონი, სვანეთი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კავკასიონის ქედის სამხრეთით. სვანეთი გარშემორტყმულია კავკსიონის ქედის 3000-5000 მეტრის სიმაღლის მთის მწვერვალებით. სვანეთში მდებარეობს კავკასიონის ქედის ისეთი უმაღლესი მწვერვალები, როგორიცაა:

შხარა - 5201 მეტრი

თეთნულდი – 4974 მეტრი

შოთა რუსთაველი – 4960მეტრი

უშბა – 4710 მეტრი

აილამა – 4525 მეტრი

და ა.შ

ამჟამად სვანეთი იყოფა ორ ნაწილად ზემო და ქვემო სვანეთი. ზემო სვანეთი მოიცავს მდინარე ენგურის ზემო წელს. ზემო სვანეთში, დაბა მესტიაში მდებარეობს თამარ მეფის სახელობის ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტი. მისი სიმაღლე საშუალო ზღვის დონიდან შეადგენს 1456 მეტრს (4778 ფუტი). მესტიის აეროპორტში მოწყობილია ერთი მიმართულების (კურსის) მქონე (TDZ02), ასაფრენ-დასაფრენი ზოლი (02/20).

მესტიის აეროპორტში ჩატარებულ იქნა გეოდეზიური სამუშაოები და დაკვირვების ადგილიდან (მესტიის აეროპორტის სამეთვალყურეო კოშკურის შენობა) განისაზღვრა აეროპორტის გარშემო არსებული მთების მიმართულების აზიმუტები და საშუალო ზღვის დონიდან სიმაღლეები როგორც ფუტებში, ასევე მეტრებში (ცხრილი #8).

ცხრილი #8 მთის დასახელება მიმართულება დაკვირვების ადგილიდან, გრადუსები. სიმაღლე ზღვის დონიდან მანძილი დაკვირვების ადგილიდან,

#	მთის დასახელება	მიმართულება დაკვირვების ადგილიდან, გრადუსები.	სიმაღლე ზღვის დონიდან		მანძილი დაკვირვების ადგილიდან, მეტრებში
			მეტრი	ფუტი	
1	ბანგურიანის მთა	50°53′	3838	12 591,86	6877
2	ზურულდის მთა	175°50′	2348	7703,41	3749
3	ლატალის მთა	132°19′	1962	6437,01	7275
4	ლაილას (ლაჰილა) მთა	233°10′	4009	13 152,89	21891
5	დალის კარის (დალაკორა) მთა	357°04′	3430	11 253,28	10268
6	ლეხტაგის მთა	257°58′	1749	5738,19	3800

ზოგადად, ზემო სვანეთის კლიმატი ყალიბდება ადგილობრივი ოროგრაფიული მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, დასავლეთით ზღვის აკვატორიაზე ჩამოყალიბებული ჰაერის მასების შემოჭრა ზემო სვანეთის, კერძოდ დაბა მესტიის მიდამოებში მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის, ენგურის ხეობის მიდამოებიდანაა შესაძლებელი. სხვა მიმართულებით, ერთგვარ ტაფობში მყოფი დაბა მესტია მაღალი მთის ქედებითაა შემოსაზღვრული, რაც ჰაერის მასების თავისუფლად შემოჭრას უშლის ხელს.

მესტიის აეროპორტისა და საერთოდ დაბა მესტიისთვის არ არის დამახასიათებელი ძლიერი ქარები (მოდელი გ). ქარის სიჩქარე და მიმართულება მერყეობს სეზონების მიხედვით, ზამთრის სეზონის თვეებში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი) ძირითადად დომინანტურია (შემთვევათა რაოდენობა 90%-ზე მეტია) სუსტი 1-5 კვანძის სიჩქარის მქონე, ცვლადი მიმართულების ქარები. 5 წლიან ემპირიულ მონაცემებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ზამთრის პერიოდში 5 კვანძზე მეტი სიჩქარის მქონე დომინანტურ (შემთხვევათა რაოდენობა 17%) ქარებს წარმოადგენს ჩრდილო აღმოსავლეთის „ზომიერი ქარები“ (დეფინიცია ამოღებულია ბოფორტის შკალიდან, რომელიც განსაზღვრავს ქარის სიჩქარეს - 11- 16 კვანძის მნიშვნელობებით).

გაზაფხულის და ზაფხულის პერიოდში გაბატონებულ ქარად კვლავ რჩება ცვლადი მიმართულების სუსტი ქარი (შემთხვევათა რაოდენობა 75%-ზე მეტია), ხოლო ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულების ქარს (ზამთრის პერიოდისთვის დამახასიათებელი) ენაცვლება სამხრეთ დასავლეთის მიმართულების ქარი, გაზაფხულისთვის ამ მიმართულების ქარების შემთხვევათა რაოდენობა შეადგენს 24%-ს, ხოლო ზაფხულისთვის 21%-ს. დაბა მესტიაში ქარის მაქსიმალური დაბერვების სიჩქარეები, როგორიცაა 41-45

კვანძი ზაფხულის პერიოდში დაიკვირვება (აგვისტო თვე - მოდელი გ). ამ სიძლიერის ქარის შემთხვევათა რაოდენა ძალზედ მცირეა და შეადგენს 0,01 %-ს.

მესტიის აეროპორტში, დღის საათებში (მოდელი ა - საფრენოსნო პერიოდები) მხოლოდ ზამთრის პერიოდებში, განსაკუთრებით დეკემბერის თვეში დაიკვირვება შეზღუდული ხილვადობა - 600 მეტრაზე ნაკლები, შემთხვევათა რაოდენობა შეადგენს 0,18%-ს. წვიმიანი ამინდების სიხშირე პიკს აღწევს მაისის თვეში და შეადგენს 8,34%-ს (მოდელი ზ), ასევე მაისის თვე გამოირჩევა ყველაზე უხვი ჯამური ნალექით. ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით მაისის თვეში მოსული ხუთწლიანი ჯამური ნალექების რაოდენობა მქსიმალურია სხვა თვეებთან მიმართებაშ და შეადგენს 536,6 მმ-ს (მოდელი თ). წლიურად მესტიაში საშუალოდ მოდის 600-900 მმ ნალექი[2]. დაბა მესტიისთვის, როგორც ნებისმიერი მთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელია დღე-ღამური მაღალი ტემპერატურული ამპლიტუდა (მოდელი დ). ტემპერატურის აბსოლუტური მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, რაც დაფიქსირებულა 5 წლის (2017-2021) განმავლობაში შეადგენს -22^0 C-ს იანვრის და 36^{0}C-ს აგვისტოს თვეში.

მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტის კლიმატოლოგიური მონაცემების ანალიზი კიოპენის კლიმატოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით.

***ცხრილი #9**, კიოპენის კლიმატოლოგიური კლასიფიკაციის ცხრილი (UGMS)*

კლიმატური კლასი	კლიმატური ზონა	კრიტერიუმები
A	ტროპიკული კლიმატი	მთელი წლის განმავლობაში საშუალო თვიური ტემპერატურა მეტია 17 ^{0}C-ზე.
UGMS		არა
ყინვის საზღვარი		
C	სუბტროპიკული კლიმატი	საშუალო თვიური ტემპერატურა მეტია 9 ^{0}C-ზე, 8-12 თვის განმავლობაში
UGMS		არა
D	ზომიერი კლიმატი	საშუალო თვიური ტემპერატურა მეტია 9 ^{0}C-ზე, 4-7 თვის განმავლობაში
UGMS		კი
E	სუბარქტიკული კლიმატი	საშუალო თვიური ტემპერატურა მეტია 9 ^{0}C-ზე, 1-3 თვის განმავლობაში
UGMS		
ტყის საფარის საზღვარი		
F	პოლარული კლიმატი	არც ერთ თვეში საშუალო თვიური ტემპერატურა არ არის 9 ^{0}C-ზე მეტი
UGMS		არა
სიმშრალის საზღვარი		
B	მშრალი კლიმატი	აორთქლება აჭარბებს ნალექებს
UGMS		

მოდელი ვ-ის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მესტიის კლიმატოლოგიური მოდელების შედეგებმა არ დააკმაყოფილა ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატური ზონისთვის

[2] კლიმატოლოგიურ მოდელებში თ და ი, ნალექების ემპირიული მონაცემების არ არსებობის გამო არ არის შეყვანილი 2021 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით (6 თვე) მოსული ნალექების ჯამური რაოდენობები.

დამახასიათებელი მაჩვენებლები (იხ. ცხრილი #9). ზომიერი კლიმატისთვის დამახასიათებელი მეტეო ელემენტების ანალიზისას განისაზღვრა, რომ მაისში, ივნისში, ივლისში, აგვისტოში, სექტემბერში ანუ წლის 5 (ხუთი) თვის განმავლობაში მესტიის აეროპორტში (2017-2021 წლის დაკვირვებების საფუძველზე) ჰაერის საშუალო ტემპერტურა ყოველთვის 9 ^{0}C-ზე მეტია, რაც აუცილებელი (და არა საკმარისი) წინაპირობაა იმისათვის, რომ კიოპენის კლიმატოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, მესტიის აეროპორტი მივაკუთვნოთ ზომიერ კლიმატურ ზონას (ცხრილი #9).

ზომიერი კლიმატური ზონა იყოფა ორ ქვეკლასად - ზღვის ზომიერი კლიმატი და კონტინენტური ზომიერი კლიმატი. მესტიის აეროპორტი, ერთ-ერთ ტიპს რომ მივაკუთვნოთ, უნდა ჩავატაროთ დამატებითი ანალიზი. კერძოდ, კიოპენის კლასიფიკაციის მიხედვით აუცილებელი წინაპირობაა, რომ თუ წლის ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურა 0 ^{0}C-ზე მეტი ან ტოლია, მაშინ რეგიონი მიეკუთვნება DO - ზომიერ ზღვის კლიმატს, ხოლო თუ ნაკლებია 0 ^{0}C-ზე - DC -ზომიერ კონტინენტურ კლიმატს. ხუთწლიანი დაკვირვების საფუძველზე, გაანალიზირებულ იქნა დეკემბრის, იანვრის და თებერვლის თვის საშუალო ტემპერატურები, რომელმაც შესაბამისად შეადგინეს -1,7 ^{0}C (დეკემბერი), -3,36 ^{0}C (იანვარი), -1,74 ^{0}C (თებერვალი). იანვრის თვეში ტემპერატურის საშუალო მნიშვნელობამ მიაღწია მინიმუმს და შეადგინა -3,36 ^{0}C-ი, რაც იანვრის თვეზე - „ყველაზე ცივი თვის“ დეფინიციის მინიჭების შესაძლებლობას გვაძლევს. ამინდზე 5 წლიანი დაკვირვებიდან იკვეთება, რომ იანვრის თვის საშუალო ტემპერატურის მაჩვენებელი ყოველთვის ნაკლებია 0 ^{0}C-ზე.

ამრიგად, კლიმატოლოგიური მოდელების ანალიზის საფუძველზე, კიოპენის კლიმატოლოგიური კრიტერიუმების მიხედვით განისაზღვრა, რომ დაბა მესტია (მესტიის აეროპორტი) განეკუთვნება ზომიერ კონტინენტურ კლიმატურ ზონას.

მესტიის აეროპორტის კლიმატოლოგიური მოდელები, რომელიც დაფუძნებულია, ხილვადობაზე (მოდელი ა), ამინდის მოვლენებზე (მოდელი ზ), ღრუბლებზე (სიმაღლე და განფენილობა) (მოდელი ბ) მოიცავს დღის საათების მხოლოდ ნათელ პერიოდებს (04:00 UTC-დან 13:00UTC-მდე - უნივერსალური კოორდინირებული დრო - UTC), რადგან ზემოთ ნახსენები მეტეოროლოგიური ელემენტები, საეროდრომო ფაქტიურ ამინდებში (METAR) შედის ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე და მხოლოდ დღის ნათელი პერიოდისთვის.

საავიაციო კლიმატოლოგია

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი **მოდელი ა**

აეროდრომი: UGMS	თვე: იანვარი	პერიოდი: 2017-2021
დაკვირვებების რაოდენობა:	2945	დაკვირვების შუალედი: 30 წუთი
გრძედი: 430318N	განედი: 0424501E	სიმაღლე ზღვის დონიდან: 4778 ფუტი

ხილვადობის (პროცენტული) სიდიდის კონკრეტული მნიშვნელობის მოხდენის შემთხვევები მითითებულ დროებში								
დრო (UTC)	ხილვადობა							
	<200	<400	<600	<800	<1500	<3000	<5000	<8000
0400	-	-	-	-	2.40	11.98	17.96	31.74
0430	-	-	-	-	2.91	12.21	18.60	33.72
0500	-	-	-	-	1.81	8.43	13.86	27.71
0530	-	-	-	-	1.20	5.39	12.57	29.34
0600	-	-	-	-	-	4.49	11.24	26.97
0630	-	-	-	-	-	4.76	12.50	22.62
0700	-	-	-	-	-	4.71	9.41	22.35
0730	-	-	-	-	-	4.12	10.59	22.35
0800	-	-	-	-	0.60	4.82	10.24	22.89
0830	-	-	-	-	0.60	5.36	8.33	21.43
0900	-	-	-	-	0.60	4.79	8.38	22.16
0930	-	-	-	-	0.60	4.82	7.23	21.69
1000	-	-	-	-	1.80	5.99	8.98	23.95
1030	-	-	-	-	1.20	5.42	8.43	22.29
1100	-	-	-	-	1.19	4.17	7.14	20.24
1130	-	-	-	-	0.61	3.64	6.67	21.21
1200	-	-	-	-	0.60	3.59	7.78	22.16
1230	-	-	-	-	0.59	3.55	6.51	19.53
1300	-	-	-	-	-	3.03	4.85	18.18
საშუალო	-	-	-	-	0.88	5.54	10.07	23.82

კლიმატოლოგიური ცხრილის მიხედვით, იანვრის თვეში 8000 მეტრზე ნაკლები ხილვადობის საშუალო მნიშვნელობის შემთხვევები შეადგენს 23.82%; შესაბამისად, საშუალო მნიშვნელობა - 76.18% წარმოადგენს 8000 მეტრის ან მეტი ხილვადობის შემთხვევებს.

სტატისტიკური ანალიზის შედეგად შედგენილი კლიმატოლოგიური ცხრილის მიხედვით, ჰორიზონტალური ხილვადობის 1500 მეტრზე ნაკლები მნიშვნელობის მოხდენის ალბათობა შეადგენს 0.88%.

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი **მოდელი ა**

აეროდრომი: UGMS	თვე: თებერვალი	პერიოდი: 2017-2021
დაკვირვებების რაოდენობა:	2679	დაკვირვების შუალედი: 30 წუთი
გრძედი: 430318N	განედი: 0424501E	სიმაღლე ზღვის დონიდან: 4778 ფუტი

ხილვადობის (პროცენტული) სიდიდის კონკრეტული მნიშვნელობის მოხდენის შემთხვევები მითითებულ დროებში								
დრო (UTC)	ხილვადობა							
	<200	<400	<600	<800	<1500	<3000	<5000	<8000
0400	-	-	-	-	-	8.43	16.27	33.13
0430	-	-	-	-	-	6.17	16.05	31.48
0500	-	-	-	-	-	6.10	15.24	26.83
0530	-	-	-	-	-	4.27	12.20	25.00
0600	-	-	-	-	-	5.81	16.28	27.91
0630	-	-	-	-	-	5.99	16.17	27.54
0700	-	-	-	-	-	6.59	17.96	28.74
0730	-	-	-	-	1.22	6.10	14.02	26.22
0800	-	-	-	-	-	2.48	14.91	25.47
0830	-	-	-	-	-	2.42	11.52	27.27
0900	-	-	-	-	-	3.66	8.54	26.83
0930	-	-	-	-	-	3.68	7.36	24.54
1000	-	-	-	-	-	1.89	8.18	22.64
1030	-	-	-	-	-	1.82	9.09	22.42
1100	-	-	-	-	-	0.61	6.06	23.64
1130	-	-	-	-	-	-	6.71	20.73
1200	-	-	-	-	-	1.18	6.51	21.30
1230	-	-	-	-	-	2.44	6.71	18.29
1300	-	-	-	-	-	2.47	6.17	13.58
საშუალო	-	-	-	-	0.06	3.80	11.36	24.92

თებერვლის თვეში 8000 მეტრზე ნაკლები ხილვადობის საშუალო მნიშვნელობის შემთხვევები შეადგენს 24.92%; შესაბამისად, საშუალო მნიშვნელობა - 75.08% წარმოადგენს 8000 მეტრის ან მეტი ხილვადობის შემთხვევებს.

სტატისტიკური ანალიზის შედეგად შედგენილი კლიმატოლოგიური ცხრილის მიხედვით, ჰორიზონტალური ხილვადობის 1500 მეტრზე ნაკლები მნიშვნელობის მოხდენის ალბათობა შეადგენს 0.06%.

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი **მოდელი ა**

აეროდრომი: UGMS	თვე: მარტი	პერიოდი: 2017-2021
დაკვირვებების რაოდენობა:	2945	დაკვირვების შუალედი: 30 წუთი
გრძედი: 430318N	განედი: 0424501E	სიმაღლე ზღვის დონიდან: 4778 ფუტი

ხილვადობის (პროცენტული) სიდიდის კონკრეტული მნიშვნელობის მოხდენის შემთხვევები მითითებულ დროებში								
დრო (UTC)	ხილვადობა							
	<200	<400	<600	<800	<1500	<3000	<5000	<8000
0400	-	-	-	-	0.54	6.45	16.67	34.95
0430	-	-	-	-	-	5.03	13.97	30.17
0500	-	-	-	-	-	3.78	12.43	28.11
0530	-	-	-	-	0.54	2.70	11.35	27.57
0600	-	-	-	-	1.09	1.63	9.78	29.35
0630	-	-	-	-	-	3.37	11.24	26.97
0700	-	-	-	-	-	3.93	10.11	27.53
0730	-	-	-	-	1.11	5.00	9.44	23.33
0800	-	-	-	-	1.69	3.93	10.67	23.03
0830	-	-	-	-	-	3.98	10.80	21.02
0900	-	-	-	-	1.11	5.00	9.44	22.78
0930	-	-	-	-	-	4.02	8.05	22.99
1000	-	-	-	-	-	4.62	8.09	21.39
1030	-	-	-	-	-	3.45	8.62	21.26
1100	-	-	-	-	-	2.79	7.26	19.55
1130	-	-	-	-	-	2.29	8.57	20.00
1200	-	-	-	-	-	1.14	5.11	19.32
1230	-	-	-	-	-	1.16	5.20	17.92
1300	-	-	-	-	-	2.31	5.20	17.34
საშუალო	-	-	-	-	0.32	3.50	9.58	23.92

თებერვლის თვეში 8000 მეტრზე ნაკლები ხილვადობის საშუალო მნიშვნელობის შემთხვევები შეადგენს 23.92%; შესაბამისად, საშუალო მნიშვნელობა - 76.08% წარმოადგენს 8000 მეტრის ან მეტი ხილვადობის შემთხვევებს.

სტატისტიკური ანალიზის შედეგად შედგენილი კლიმატოლოგიური ცხრილის მიხედვით, ჰორიზონტალური ხილვადობის 1500 მეტრზე ნაკლები მნიშვნელობის მოხდენის ალბათობა შეადგენს 0.32%.

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი **მოდელი ა**

აეროდრომი: UGMS	თვე: აპრილი	პერიოდი: 2017-2021
დაკვირვებების რაოდენობა:	2850	დაკვირვების შუალედი: 30 წუთი
გრძედი: 430318N	განედი: 0424501E	სიმაღლე ზღვის დონიდან: 4778 ფუტი

ხილვადობის (პროცენტული) სიდიდის კონკრეტული მნიშვნელობის მოხდენის შემთხვევები მითითებულ დროებში								
დრო (UTC)	ხილვადობა							
	<200	<400	<600	<800	<1500	<3000	<5000	<8000
0400	-	-	-	-	-	0.56	6.15	25.14
0430	-	-	-	-	-	0.57	5.71	21.71
0500	-	-	-	-	-	0.57	5.71	20.00
0530	-	-	-	-	-	0.53	5.88	21.39
0600	-	-	-	-	-	-	4.49	18.54
0630	-	-	-	-	-	-	5.75	17.82
0700	-	-	-	-	-	1.70	5.11	17.05
0730	-	-	-	-	-	0.58	4.09	15.79
0800	-	-	-	-	-	-	4.00	14.29
0830	-	-	-	-	1.18	1.18	4.71	14.71
0900	-	-	-	-	-	-	1.75	11.11
0930	-	-	-	-	-	-	4.19	11.98
1000	-	-	-	-	1.13	1.13	3.39	10.17
1030	-	-	-	-	-	1.18	2.94	9.41
1100	-	-	-	-	1.16	1.16	2.91	9.30
1130	-	-	-	-	-	1.17	2.92	9.36
1200	-	-	-	-	-	-	2.31	6.36
1230	-	-	-	-	-	1.17	1.17	4.68
1300	-	-	-	-	-	-	2.38	5.95
საშუალო	-	-	-	-	0.18	0.61	3.98	13.93

თებერვლის თვეში 8000 მეტრზე ნაკლები ხილვადობის საშუალო მნიშვნელობის შემთხვევები შეადგენს 13.93%; შესაბამისად, საშუალო მნიშვნელობა - 86.07% წარმოადგენს 8000 მეტრის ან მეტი ხილვადობის შემთხვევებს.

სტატისტიკური ანალიზის შედეგად შედგენილი კლიმატოლოგიური ცხრილის მიხედვით, ჰორიზონტალური ხილვადობის 1500 მეტრზე ნაკლები მნიშვნელობის მოხდენის ალბათობა შეადგენს 0.18%.

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი **მოდელი ა**

აეროდრომი: UGMS	თვე: მაისი	პერიოდი: 2017-2021
დაკვირვებების რაოდენობა:	2945	დაკვირვების შუალედი: 30 წუთი
გრძედი: 430318N	განედი: 0424501E	სიმაღლე ზღვის დონიდან: 4778 ფუტი

ხილვადობის (პროცენტული) სიდიდის კონკრეტული მნიშვნელობის მოხდენის შემთხვევები მითითებულ დროებში								
დრო (UTC)	ხილვადობა							
	<200	<400	<600	<800	<1500	<3000	<5000	<8000
0400	-	-	-	-	-	1.04	9.38	27.08
0430	-	-	-	-	-	1.08	8.65	23.24
0500	-	-	-	-	-	2.14	6.95	19.79
0530	-	-	-	-	-	2.08	7.81	18.23
0600	-	-	-	-	-	4.55	8.08	20.20
0630	-	-	-	-	1.05	1.05	6.84	18.95
0700	-	-	-	-	-	-	6.99	16.67
0730	-	-	-	-	-	1.09	3.83	18.03
0800	-	-	-	-	-	-	3.74	19.79
0830	-	-	-	-	-	-	2.16	16.22
0900	-	-	-	-	-	1.07	2.14	18.18
0930	-	-	-	-	-	-	3.26	17.93
1000	-	-	-	-	-	-	3.30	18.68
1030	-	-	-	-	-	-	3.21	15.51
1100	-	-	-	-	-	-	2.19	17.49
1130	-	-	-	-	-	-	1.09	16.39
1200	-	-	-	-	-	-	-	16.02
1230	-	-	-	-	-	1.06	1.06	15.34
1300	-	-	-	-	-	1.65	1.65	12.09
საშუალო	-	-	-	-	0.06	0.88	4.33	18.20

მაისის თვეში 8000 მეტრზე ნაკლები ხილვადობის საშუალო მნიშვნელობის შემთხვევები შეადგენს 18.20%; შესაბამისად, საშუალო მნიშვნელობა - 81.8% წარმოადგენს 8000 მეტრის ან მეტი ხილვადობის შემთხვევებს.

სტატისტიკური ანალიზის შედეგად შედგენილი კლიმატოლოგიური ცხრილის მიხედვით, ჰორიზონტალური ხილვადობის 1500 მეტრზე ნაკლები მნიშვნელობის მოხდენის ალბათობა შეადგენს 0.06%.

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი **მოდელი ა**

აეროდრომი: UGMS	თვე: ივნისი	პერიოდი: 2017-2021
დაკვირვებების რაოდენობა:	2850	დაკვირვების შუალედი: 30 წუთი
გრძედი: 430318N	განედი: 0424501E	სიმაღლე ზღვის დონიდან: 4778 ფუტი

ხილვადობის (პროცენტული) სიდიდის კონკრეტული მნიშვნელობის მოხდენის შემთხვევები მითითებულ დროებში								
დრო (UTC)	ხილვადობა							
	<200	<400	<600	<800	<1500	<3000	<5000	<8000
0400	-	-	-	-	-	-	1.64	13.66
0430	-	-	-	-	-	-	1.65	12.09
0500	-	-	-	-	-	-	1.62	11.35
0530	-	-	-	-	-	-	1.60	10.11
0600	-	-	-	-	-	-	-	10.38
0630	-	-	-	-	-	-	-	10.00
0700	-	-	-	-	-	-	1.09	8.74
0730	-	-	-	-	-	-	-	9.39
0800	-	-	-	-	-	-	-	8.94
0830	-	-	-	-	-	0.56	0.56	8.89
0900	-	-	-	-	-	0.56	0.56	7.82
0930	-	-	-	-	-	-	-	7.22
1000	-	-	-	-	-	-	-	8.29
1030	-	-	-	-	-	-	-	7.14
1100	-	-	-	-	-	-	-	9.29
1130	-	-	-	-	-	-	-	8.33
1200	-	-	-	-	-	-	-	8.65
1230	-	-	-	-	-	-	-	8.00
1300	-	-	-	-	-	-	-	6.21
საშუალო	-	-	-	-	-	0.06	0.46	9.18

თებერვლის თვეში 8000 მეტრზე ნაკლები ხილვადობის საშუალო მნიშვნელობის შემთხვევები შეადგენს 9.18%; შესაბამისად, საშუალო მნიშვნელობა - 80.82% წარმოადგენს 8000 მეტრის ან მეტი ხილვადობის შემთხვევებს.

სტატისტიკური ანალიზის შედეგად შედგენილი კლიმატოლოგიური ცხრილის მიხედვით, ჰორიზონტალური ხილვადობის 1500 მეტრზე ნაკლები მნიშვნელობის მოხდენის ალბათობა შეადგენს 0.00%.

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი **მოდელი ა**

აეროდრომი: UGMS	თვე: ივლისი	პერიოდი: 2017-2021
დაკვირვებების რაოდენობა:	2945	დაკვირვების შუალედი: 30 წუთი
გრძედი: 430318N	განედი: 0424501E	სიმაღლე ზღვის დონიდან: 4778 ფუტი

ხილვადობის (პროცენტული) სიდიდის კონკრეტული მნიშვნელობის მოხდენის შემთხვევები მითითებულ დროებში								
დრო (UTC)	ხილვადობა							
	<200	<400	<600	<800	<1500	<3000	<5000	<8000
0400	-	-	-	-	-	-	2.04	12.24
0430	-	-	-	-	-	-	1.60	11.76
0500	-	-	-	-	-	-	2.17	9.78
0530	-	-	-	-	-	-	2.14	10.16
0600	-	-	-	-	-	-	1.57	12.04
0630	-	-	-	-	-	-	1.61	11.29
0700	-	-	-	-	-	-	2.13	10.11
0730	-	-	-	-	-	-	1.09	9.78
0800	-	-	-	-	-	-	2.07	10.36
0830	-	-	-	-	-	-	1.05	9.42
0900	-	-	-	-	-	-	0.54	10.22
0930	-	-	-	-	-	-	-	9.14
1000	-	-	-	-	-	-	1.08	8.60
1030	-	-	-	-	-	-	1.09	6.56
1100	-	-	-	-	-	-	-	3.80
1130	-	-	-	-	-	-	-	3.83
1200	-	-	-	-	-	-	-	5.38
1230	-	-	-	-	-	-	-	3.26
1300	-	-	-	-	-	-	-	3.89
საშუალო	-	-	-	-	-	-	1.06	8.51

ივლისის თვეში 8000 მეტრზე ნაკლები ხილვადობის საშუალო მნიშვნელობის შემთხვევები შეადგენს 8.51%; შესაბამისად, საშუალო მნიშვნელობა - 91.49% წარმოადგენს 8000 მეტრის ან მეტი ხილვადობის შემთხვევებს.

სტატისტიკური ანალიზის შედეგად შედგენილი კლიმატოლოგიური ცხრილის მიხედვით, ჰორიზონტალური ხილვადობის 1500 მეტრზე ნაკლები მნიშვნელობის მოხდენის ალბათობა შეადგენს 0.00%.

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი **მოდელი ა**

აეროდრომი: UGMS	თვე: აგვისტო	პერიოდი: 2017-2021
დაკვირვებების რაოდენობა:	2945	დაკვირვების შუალედი: 30 წუთი
გრძედი: 430318N	განედი: 0424501E	სიმაღლე ზღვის დონიდან: 4778 ფუტი

ხილვადობის (პროცენტული) სიდიდის კონკრეტული მნიშვნელობის მოხდენის შემთხვევები მითითებულ დროებში								
დრო (UTC)	ხილვადობა							
	<200	<400	<600	<800	<1500	<3000	<5000	<8000
0400	-	-	-	-	-	-	-	10.77
0430	-	-	-	-	-	-	-	7.98
0500	-	-	-	-	-	-	-	6.32
0530	-	-	-	-	-	-	-	5.76
0600	-	-	-	-	-	-	-	5.85
0630	-	-	-	-	-	-	-	5.76
0700	-	-	-	-	-	-	0.55	5.52
0730	-	-	-	-	-	-	-	4.37
0800	-	-	-	-	-	-	-	2.21
0830	-	-	-	-	-	-	-	3.72
0900	-	-	-	-	-	-	-	3.72
0930	-	-	-	-	-	-	-	3.30
1000	-	-	-	-	-	-	-	2.72
1030	-	-	-	-	-	-	-	2.72
1100	-	-	-	-	-	-	-	5.52
1130	-	-	-	-	-	-	-	3.76
1200	-	-	-	-	-	-	-	2.73
1230	-	-	-	-	1.09	1.09	1.09	6.01
1300	-	-	-	-	-	-	-	1.11
საშუალო	-	-	-	-	0.06	0.06	0.09	4.73

აგვისტოს თვეში 8000 მეტრზე ნაკლები ხილვადობის საშუალო მნიშვნელობის შემთხვევები შეადგენს 4.73%; შესაბამისად, საშუალო მნიშვნელობა - 95.27% წარმოადგენს 8000 მეტრის ან მეტი ხილვადობის შემთხვევებს.

სტატისტიკური ანალიზის შედეგად შედგენილი კლიმატოლოგიური ცხრილის მიხედვით, ჰორიზონტალური ხილვადობის 1500 მეტრზე ნაკლები მნიშვნელობის მოხდენის ალბათობა შეადგენს 0.06%.

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი **მოდელი ა**

აეროდრომი: UGMS	თვე: სექტემბერი	პერიოდი: 2017-2021
დაკვირვებების რაოდენობა:	2850	დაკვირვების შუალედი: 30 წუთი
გრძედი: 430318N	განედი: 0424501E	სიმაღლე ზღვის დონიდან: 4778 ფუტი

ხილვადობის (პროცენტული) სიდიდის კონკრეტული მნიშვნელობის მოხდენის შემთხვევები მითითებულ დროებში								
დრო (UTC)	ხილვადობა							
	<200	<400	<600	<800	<1500	<3000	<5000	<8000
0400	-	-	-	-	-	-	2.72	13.59
0430	-	-	-	-	-	-	2.76	12.15
0500	-	-	-	-	-	-	2.62	11.52
0530	-	-	-	-	-	-	1.09	8.15
0600	-	-	-	-	-	-	1.06	8.99
0630	-	-	-	-	-	-	0.55	10.50
0700	-	-	-	-	-	-	0.54	9.19
0730	-	-	-	-	-	-	0.55	9.29
0800	-	-	-	-	-	-	0.53	9.63
0830	-	-	-	-	-	-	1.64	8.20
0900	-	-	-	-	-	-	1.09	8.15
0930	-	-	-	-	-	-	0.56	6.11
1000	-	-	-	-	-	-	-	6.15
1030	-	-	-	-	-	-	0.55	5.49
1100	-	-	-	-	-	-	1.08	5.95
1130	-	-	-	-	-	-	-	3.33
1200	-	-	-	-	-	-	-	3.76
1230	-	-	-	-	-	-	-	3.87
1300	-	-	-	-	-	-	-	4.60
საშუალო	-	-	-	-	-	-	0.91	7.82

სექტემბრის თვეში 8000 მეტრზე ნაკლები ხილვადობის საშუალო მნიშვნელობის შემთხვევები შეადგენს 7.82%; შესაბამისად, საშუალო მნიშვნელობა - 92.18% წარმოადგენს 8000 მეტრის ან მეტი ხილვადობის შემთხვევებს.

სტატისტიკური ანალიზის შედეგად შედგენილი კლიმატოლოგიური ცხრილის მიხედვით, ჰორიზონტალური ხილვადობის 1500 მეტრზე ნაკლები მნიშვნელობის მოხდენის ალბათობა შეადგენს 0.00%.

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი **მოდელი ა**

აეროდრომი: UGMS	თვე: ოქტომბერი	პერიოდი: 2017-2021
დაკვირვებების რაოდენობა:	2945	დაკვირვების შუალედი: 30 წუთი
გრძედი: 430318N	განედი: 0424501E	სიმაღლე ზღვის დონიდან: 4778 ფუტი

ხილვადობის (პროცენტული) სიდიდის კონკრეტული მნიშვნელობის მოხდენის შემთხვევები მითითებულ დროებში								
დრო (UTC)	ხილვადობა							
	<200	<400	<600	<800	<1500	<3000	<5000	<8000
0400	-	-	-	-	-	0.68	4.08	16.33
0430	-	-	-	-	-	0.66	1.99	13.25
0500	-	-	-	-	-	0.68	2.03	14.86
0530	-	-	-	-	-	0.69	3.45	15.17
0600	-	-	-	-	-	0.68	2.74	15.07
0630	-	-	-	-	-	0.69	2.07	14.48
0700	-	-	-	-	-	-	3.47	11.11
0730	-	-	-	-	-	-	2.76	13.10
0800	-	-	-	-	-	-	3.47	11.81
0830	-	-	-	-	0.69	0.69	4.14	11.03
0900	-	-	-	-	-	-	2.07	9.66
0930	-	-	-	-	-	-	2.11	9.15
1000	-	-	-	-	-	-	2.70	8.78
1030	-	-	-	-	-	0.69	1.39	8.33
1100	-	-	-	-	-	0.70	2.10	6.99
1130	-	-	-	-	-	0.68	2.03	8.78
1200	-	-	-	-	-	-	2.07	8.28
1230	-	-	-	-	-	-	2.07	7.59
1300	-	-	-	-	-	-	2.05	6.85
საშუალო	-	-	-	-	0.04	0.36	2.57	11.09

ოქტომბრის თვეში 8000 მეტრზე ნაკლები ხილვადობის საშუალო მნიშვნელობის შემთხვევები შეადგენს 11.09%; შესაბამისად, საშუალო მნიშვნელობა - 88.91% წარმოადგენს 8000 მეტრის ან მეტი ხილვადობის შემთხვევებს.

სტატისტიკური ანალიზის შედეგად შედგენილი კლიმატოლოგიური ცხრილის მიხედვით, ჰორიზონტალური ხილვადობის 1500 მეტრზე ნაკლები მნიშვნელობის მოხდენის ალბათობა შეადგენს 0.04%.

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი **მოდელი ა**

აეროდრომი: UGMS	თვე: ნოემბერი	პერიოდი: 2017-2021
დაკვირვებების რაოდენობა:	2850	დაკვირვების შუალედი: 30 წუთი
გრძედი: 430318N	განედი: 0424501E	სიმაღლე ზღვის დონიდან: 4778 ფუტი

ხილვადობის (პროცენტული) სიდიდის კონკრეტული მნიშვნელობის მოხდენის შემთხვევები მითითებულ დროებში								
დრო (UTC)	ხილვადობა							
	<200	<400	<600	<800	<1500	<3000	<5000	<8000
0400	-	-	-	-	-	4.73	7.43	28.38
0430	-	-	-	-	-	4.79	6.85	23.97
0500	-	-	-	-	-	4.08	6.12	20.41
0530	-	-	-	-	-	3.33	6.00	18.67
0600	-	-	-	-	-	2.67	6.00	20.67
0630	-	-	-	-	-	2.08	6.25	20.14
0700	-	-	-	-	-	2.78	6.25	19.44
0730	-	-	-	-	-	2.80	6.29	19.58
0800	-	-	-	-	-	2.80	4.90	18.18
0830	-	-	-	-	-	2.05	4.11	16.44
0900	-	-	-	-	-	2.05	4.79	18.49
0930	-	-	-	-	-	2.08	4.17	17.36
1000	-	-	-	-	-	2.11	4.23	16.90
1030	-	-	-	-	-	1.41	3.52	15.49
1100	-	-	-	-	-	2.10	4.20	13.99
1130	-	-	-	-	-	1.36	3.40	12.93
1200	-	-	-	-	-	0.69	2.08	13.19
1230	-	-	-	-	-	1.38	3.45	11.03
1300	-	-	-	-	-	1.35	2.70	10.14
საშუალო	-	-	-	-	-	2.46	4.88	17.65

ნოემბრის თვეში 8000 მეტრზე ნაკლები ხილვადობის საშუალო მნიშვნელობის შემთხვევები შეადგენს 17.65%; შესაბამისად, საშუალო მნიშვნელობა - 82.35% წარმოადგენს 8000 მეტრის ან მეტი ხილვადობის შემთხვევებს.

სტატისტიკური ანალიზის შედეგად შედგენილი კლიმატოლოგიური ცხრილის მიხედვით, ჰორიზონტალური ხილვადობის 1500 მეტრზე ნაკლები მნიშვნელობის მოხდენის ალბათობა შეადგენს 0.00%.

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი **მოდელი ა**

აეროდრომი: UGMS	თვე: დეკემბერი	პერიოდი: 2017-2021
დაკვირვებების რაოდენობა:	2945	დაკვირვების შუალედი: 30 წუთი
გრძედი: 430318N	განედი: 0424501E	სიმაღლე ზღვის დონიდან: 4778 ფუტი

ხილვადობის (პროცენტული) სიდიდის კონკრეტული მნიშვნელობის მოხდენის შემთხვევები მითითებულ დროებში								
დრო (UTC)	ხილვადობა							
	<200	<400	<600	<800	<1500	<3000	<5000	<8000
0400	-	-	-	-	0.67	2.67	8.67	24.00
0430	-	-	-	-	0.67	2.68	6.04	20.13
0500	-	-	-	-	0.68	2.03	7.43	20.95
0530	-	-	-	-	0.63	3.14	6.92	15.72
0600	-	-	-	-	1.31	3.92	7.19	20.92
0630	-	-	-	0.68	2.03	4.05	5.41	19.59
0700	-	-	0.67	1.33	2.00	3.33	9.33	21.33
0730	-	-	0.68	0.68	2.70	6.76	8.11	19.59
0800	-	-	1.34	1.34	4.03	6.71	10.74	20.13
0830	-	-	0.68	0.68	2.70	6.08	9.46	18.92
0900	-	-	-	-	0.68	3.38	8.11	14.86
0930	-	-	-	-	1.37	4.79	9.59	15.75
1000	-	-	-	-	1.36	4.76	10.20	15.65
1030	-	-	-	-	1.35	4.05	9.46	12.84
1100	-	-	-	-	1.32	3.95	9.87	13.16
1130	-	-	-	-	2.04	4.08	8.16	12.93
1200	-	-	-	-	1.35	3.38	9.46	14.19
1230	-	-	-	-	1.37	2.74	8.22	13.70
1300	-	-	-	-	1.39	2.78	6.94	9.72
საშუალო	-	-	0.18	0.25	1.56	3.96	8.38	17.06

დეკემბრის თვეში 8000 მეტრზე ნაკლები ხილვადობის საშუალო მნიშვნელობის შემთხვევები შეადგენს 17.06%; შესაბამისად საშუალო მნიშვნელობა - 82.94% წარმოადგენს 8000 მეტრის ან მეტი ხილვადობის შემთხვევებს.

სტატისტიკური ანალიზის შედეგად შედგენილი კლიმატოლოგიური ცხრილის მიხედვით, ჰორიზონტალური ხილვადობის 1500 მეტრზე ნაკლები მნიშვნელობის მოხდენის ალბათობა შეადგენს 1.56%.

ხილვადობის გასაშუალოებული მონაცემები თვეების მიხედვით



	<800	<1500	<3000	<5000	<8000
იანვარი - %	-	0,88	5,54	10,07	23,82
თებერვალი - %	-	0,06	3,80	11,36	24,92
მარტი - %	-	0,32	3,50	9,58	23,92
აპრილი - %	-	0,18	0,61	3,98	13,93
მაისი - %	-	0,06	0,88	4,33	18,20
ივნისი - %	-	-	0,06	0,46	9,18
ივლისი - %	-	-	-	1,06	8,51
აგვისტო - %	-	0,06	0,06	0,09	4,73
სექტემბერი - %	-	0,06	0,06	0,09	4,73
ოქტომბერი - %	-	0,04	0,36	2,57	11,09
ნოემბერი - %	-	-	2,46	4,88	17,65
დეკემბერი - %	0,25	1,56	3,96	8,38	17,06

საავიაციო კლიმატოლოგია

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი **მოდელი B**

აეროდრომი: UGMS	თვე: იანვარი	პერიოდი: 2017-2021
დაკვირვებების რაოდენობა:	2945	დაკვირვების შუალედი: 30 წუთი
გრძედი: 430318N	განედი: 0424501E	სიმაღლე ზღვის დონიდან: 4778 ფუტი

მითითებული სიმაღლის მიხედვითღ ყველაზე დაბალი ფუძის მქონე ღრუბლების რაოდენობის (BKN ან OVC) ფაქტიური შემთხვევების სიხშირე (პროცენტში) შესაბამის (დღის ნათელი პერიოდის) დროებში						
დრო (UTC)	HS					
	<=30 (100ფტ)	<=60 (200ფტ)	<=90 (300ფტ)	<=150 (500ფტ)	<=300 (1000ფტ)	<=450 (1500ფტ)
0400	-	-	-	-	4.19	9.58
0430	-	-	-	-	4.65	10.47
0500	-	-	-	-	4.82	7.23
0530	-	-	-	-	2.99	4.19
0600	-	-	-	-	2.81	4.49
0630	-	-	-	-	1.19	4.17
0700	-	-	-	-	1.76	7.06
0730	-	-	-	-	1.76	5.88
0800	-	-	-	-	2.41	4.82
0830	-	-	-	-	3.57	5.36
0900	-	-	-	-	2.99	4.19
0930	-	-	-	-	3.01	4.22
1000	-	0.60	0.60	0.60	3.59	4.19
1030	-	0.60	0.60	0.60	3.61	5.42
1100	-	0.60	0.60	0.60	3.57	4.76
1130	-	0.61	0.61	0.61	3.64	4.24
1200	-	0.60	0.60	0.60	2.99	3.59
1230	-	0.59	0.59	0.59	2.37	2.96
1300	-	-	-	-	-	1.82
საშუალო	-	0.19	0.19	0.19	2.94	5.19



იანვარში, 1500 ფუტს ქვემოთ დაკვირვებული (მხოლოდ BKN ან OVC რაოდენობის) ღრუბლების პროცენტული მაჩვენებელი შესაბამისი სიმაღლეების მიხედვით:

1 >1000ფტ. და <= 1500ფტ. –43.3%
2 >500ფტ. და <= 1000ფტ. – 53.1%
3 >300ფტ. და <= 500ფტ. – არ დაიკვირვებოდა
4 >200ფტ. და <= 300ფტ. – არ დაიკვირვებოდა
5 >100ფტ. და <= 200ფტ. – 3.6 %
6 <=100ფტ. – არ დაიკვირვებოდა

იანვარში დაკვირვებული, 1500 ფუტზე მაღლა მყოფი ღრუბლის ქვედა საზღვრის საშუალო პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა ჯამი მოვლენების 94.81%.

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი **მოდელი B**

აეროდრომი: UGMS	თვე: თებერვალი	პერიოდი: 2017-2021
დაკვირვებების რაოდენობა:	2679	დაკვირვების შუალედი: 30 წუთი
გრძედი: 430318N	განედი: 0424501E	სიმაღლე ზღვის დონიდან: 4778 ფუტი

მითითებული სიმაღლის მიხედვითღ ყველაზე დაბალი ფუძის მქონე ღრუბლების რაოდენობის (BKN ან OVC) ფაქტიური შემთხვევების სიხშირე (პროცენტში) შესაბამის (დღის ნათელი პერიოდის) დროებში						
დრო (UTC)	HS					
	<=30 (100ფტ)	<=60 (200ფტ)	<=90 (300ფტ)	<=150 (500ფტ)	<=300 (1000ფტ)	<=450 (1500ფტ)
0400	-	-	-	-	6.02	7.83
0430	-	-	-	-	3.70	5.56
0500	-	-	-	-	4.27	6.71
0530	-	-	-	-	3.05	4.88
0600	-	-	-	-	3.49	5.81
0630	-	0.60	0.60	1.20	5.99	10.18
0700	-	-	-	0.60	5.39	11.38
0730	-	-	-	0.61	7.32	9.76
0800	-	-	-	0.62	4.97	9.32
0830	-	-	0.61	0.61	3.64	7.88
0900	1.22	1.22	1.22	1.22	3.05	5.49
0930	-	-	-	-	1.23	4.29
1000	-	-	-	-	1.26	3.77
1030	-	-	-	-	1.82	3.03
1100	-	-	-	-	1.21	3.64
1130	-	-	-	-	1.22	3.05
1200	-	-	-	-	2.37	4.14
1230	-	-	-	-	1.22	3.05
1300	-	-	-	-	1.23	2.47
საშუალო	0.06	0.10	0.13	0.26	3.29	5.91



თებერვალი, 1500 ფუტზე დაბლა დაკვირვებული (მხოლოდ BKN ან OVC რაოდენობის) ღრუბლების პროცენტული მაჩვენებელი შესაბამისი სიმაღლეების მიხედვით:

1 >1000ფტ. და <= 1500ფტ. – 44.4%
2 >500ფტ. და <= 1000ფტ. – 51.3%
3 >300ფტ. და <= 500ფტ. – 2.2%
4 >200ფტ. და <= 300ფტ. – 0.5%
5 >100ფტ. და <= 200ფტ. – 0.5 %
6 <=100ფტ. – 1.1 %

თებერვალში დაკვირვებული, 1500 ფუტზე მაღლა მყოფი ღრუბლის ქვედა საზღვრის (BKN ან OVC) საშუალო პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 94.09%.

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი **მოდელი B**

აეროდრომი: UGMS	თვე: მარტი	პერიოდი: 2017-2021
დაკვირვებების რაოდენობა:	2945	დაკვირვების შუალედი: 30 წუთი
გრძედი: 430318N	განედი: 0424501E	სიმაღლე ზღვის დონიდან: 4778 ფუტი

მითითებული სიმაღლის მიხედვითღ ყველაზე დაბალი ფუძის მქონე ღრუბლების რაოდენობის (BKN ან OVC) ფაქტიური შემთხვევების სიხშირე (პროცენტში) შესაბამის (დღის ნათელი პერიოდის) დროებში						
დრო (UTC)	HS					
	<=30 (100ფტ)	<=60 (200ფტ)	<=90 (300ფტ)	<=150 (500ფტ)	<=300 (1000ფტ)	<=450 (1500ფტ)
0400	-	-	-	-	5.29	6.88
0430	-	-	-	-	4.42	6.08
0500	-	-	-	-	3.74	5.88
0530	-	-	-	1.07	5.35	7.49
0600	-	-	-	1.08	5.38	7.53
0630	-	-	-	1.11	5.56	8.33
0700	-	-	-	-	4.44	6.67
0730	-	-	-	-	4.95	7.14
0800	-	-	-	-	5.56	7.22
0830	-	-	-	-	5.03	7.82
0900	-	-	-	-	5.43	7.61
0930	-	-	-	-	4.49	6.74
1000	-	-	-	-	2.82	6.21
1030	-	-	-	-	2.81	4.49
1100	-	-	-	-	3.83	5.46
1130	-	-	-	-	2.79	4.47
1200	-	-	-	-	2.22	3.33
1230	-	-	-	-	3.37	4.49
1300	-	-	-	-	2.26	4.52
საშუალო	-	-	-	0.17	4.20	6.23



მარტი, 1500 ფუტზე დაბლა დაკვირვებული (მხოლოდ BKN ან OVC რაოდენობის) ღრუბლების პროცენტული მაჩვენებელი შესაბამისი სიმაღლეების მიხედვით:

1 >1000ფტ. და <= 1500ფტ. – 32.6%
2 >500ფტ. და <= 1000ფტ. – 64.6%
3 >300ფტ. და <= 500ფტ. – 2.8%
4 >200ფტ. და <= 300ფტ. – არ დაიკვირვებოდა
5 >100ფტ. და <= 200ფტ. – არ დაიკვირვებოდა
6 <=100ფტ. – არ დაიკვირვებოდა

მარტში დაკვირვებული, 1500 ფუტზე მაღლა მყოფი ღრუბლის ქვედა საზღვრის (BKN ან OVC) საშუალო პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 93.77%-ი.

აეროდრომის კლიმატოლოგიური ცხრილი **მოდელი B**

აეროდრომი: UGMS	თვე: აპრილი	პერიოდი: 2017-2021
დაკვირვებების რაოდენობა:	2850	დაკვირვების შუალედი: 30 წუთი
გრძედი: 430318N	განედი: 0424501E	სიმაღლე ზღვის დონიდან: 4778 ფუტი

